პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

დღიური

—ბერლინში ჩავიდა ამხ. ჩიჩერინი.
—გუშინ მოსკოვში ფრუნზეს საფლავის პირდაპირ დაკრძალეს ამხ. კრასინის ნეშტი.
—რუმინეთის მთავრობას განზრახვა აქვს ქონება ჩამოართვას საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ბესარაბიელებს.
—პოლონეთის მთავრობამ უარჰყო მოთხოვნილება მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
—საფრანგეთის მუშათა დელეგაცია მოხსენებებს აწყობს საბჭოთა კავშირის შესახებ.

ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 276 (1731)

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. 8—81

დღეს, 2 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე
სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში
შესდგება
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრალურ კომიტეტის
გაფართოებული პლენუმი
საქ. კომუნისტურ პარტიის საოლქო და სამაზრო კომიტეტების
მდივნების თანდასწრებით
საქ. კ. პ. ცეკას მდივანი **ქართველიშვილი**

ფინლიანდია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა
ინგლისის გაზეთები შესაძლებლად სთვლიან მოლაპარაკებას კანტონთან
უ-პეი-ფუმ აღიარა თავისი დამარცხება და ხელი აიღო „პოლიტიკურ მოღვაწეობაზე"
კუკი გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში პროფკავშირების ყრილობაზე დასასწრებლად
ამხ. ჩიჩერინი ჩავიდა გერმანიაში

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი
ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ლონდონი, 1 დეკემბერი. თემთა პალატაში კონსერვატორმა დევისონმა ჩემბერლენს მისცა შეკითხვა: იცნობს თუ არა იგი ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმების მუხლს, რომლის მიხედვითაც შეთანხმების ერთი მხარე თავისუფლდებოდა ვალდებულებათაგან, თუ მეორე მხარე არღვევს შეთანხმებას იმით, რომ აწარმოებს პროპაგანდას პირველის წინააღმდეგ; და თუ იცნობს იგი ამას, მაშინ რატომ არ ხორციელდება ეს მუხლი ცხოვრებაში? ჩემბერლენმა უპასუხა, რომ თუ მთავრობამ დღემდე არ ისარგებლა ამ შეთანხმებით მინიჭებულ უფლებებით ეს აიხსნება იმით, რომ იგი ასეთ მოქმედებას არ სცნობდა მიზანშეწონილად.

„ფაქტები იმ სახით, როგორც ჩვენ ვიცით—თქვა ჩემბერლენმა,—საფუძველს გვაძლევენ სავაჭრო შეთანხმების დარღვევისათვის. მაგრამ, როცა მთავრობამ განიხილა მთელი სიტუაცია მთლიანად, არ სცნო სასურველად ასეთი პოლიტიკის გატარება. მაგრამ, როცა ბრიტანეთის ინტერესები მოითხოვენ, მთავრობა იტოვებს მოქმედების თავისუფლებას". (ადს).

მორიგი სიყალბე

ჰელსინგფორსი, 30 ნოემბერი. ოფიციოზმა „უუსი სუომიმ" მოათავსა საუბარი საგარეო საქმეთა მინისტრთან—სეტელთან, რომელმაც განაცხადა, რომ საუბარი „ჰელსინგინი სანომატი"-ს თანამშრომელთან საბჭოთა ფინეთის მოლაპარაკების შეწყვეტის მიზეზების შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო ამ გაზეთში, არ შეეფერება სიმართლეს. სეტელი აცხადებს, რომ მას გაზეთის თანამშრომლისათვის არ მიუცია რაიმე ისეთი მასალა, რომელიც გახდებოდა ჰელსინგფორსსა და რიგაში საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ წამოყენებულ პირობების საფუძვლად. მოლაპარაკების შეწყვეტის მთავარ მიზეზს, სეტელის სიტყვით, ერთა ლიგაში ფინეთის მონაწილეობა კი არ წარმოადგენს, როგორც ეს გაზეთში იყო აღნიშნული, არამედ მოლაპარაკების მწარმოებელ სახელმწიფოებს შორის აღმოცენებული უთანხმოება სადავო საკითხების გადაწყვეტის მეთოდების გარშემო. სეტელი ფიქრობს, რომ მიუხედავად არსებული სიძნელეებისა, მოლაპარაკება მაინც განახლებული იქნება, თუ ამის სურვილს განაცხადებენ ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები.

„ჰელსინგინ სანომატი" მორიგ ნომერში აღიარებს თავის შეცდომებს და აცხადებს, რომ რიგასა და ჰელსინგფორსში საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ პირობების შედარება გაზეთმა მოახდინა რიგის კორესპონდენტისაგან, და არა სეტელისაგან მიღებულ ცნობების საფუძველზე. (ადს).

ჩინეთის ამბები

მოლაპარაკება თუ ძალადობა

ლონდონი, 1 დეკემბერი. გუშინ [illegible] კაბინეტმა განიხილა ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა. უკიდურესი მემარცხენეების ორგანოები მხარს უჭერენ [illegible] გამოსვლას. უფრო ზომიერი გაზეთები კი შესაძლებლად სცნობენ კანტონთან მოლაპარაკებას.

„წითლების წინააღმდეგ"

პეკინი, 1 დეკემბერი. გამოქვეყნდა ცირკულიარი ჩან-ძო-ლინის დანიშვნის შესახებ ჩრდილო ჩინეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. ცირკულიარს ხელს აწერენ სუნ-ჩუან-ფანი და 14 სამხედრო უფროსი. ჩრდილოეთის პროვინციების გუბერნატორები ღებულობენ მთავარსარდლის თანაშემწის სახელწოდებას „წითლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის".

ამხ. ჩიჩერინი გერმანიაში

ბერლინი, 30 ნოემბერი. 30 ნოემბერს ამხ. ჩიჩერინი ჩავიდა შტეტინში. ჩიჩერინს შეხვდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლი, შტეტინის ობერ-ბურგომისტრი და სხვები. ნავთსადგურის და ქალაქთვალიერების შემდეგ გაიმართა საუზმე, რომელიც მოაწყო შტეტინის ქალაქის თვითმმართველობამ.

იმავე დღის საღამოთი ჩიჩერინი ჩავიდა ბერლინში. სადგურზე ჩიჩერინს შეხვდნენ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის საელჩო სრული შემადგენლობით და სხვები. (ადს).

ბრიანის განცხადება

პარიზი, 30 ნოემბ. ჰავასი იუწყება, რომ დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, საგარეო პოლიტიკის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გარეშე საქმეთა მინისტრმა **ბრიანმა**.

„მშვიდობა—სთქვა ბრიანმა—მშვიდობიანი გარანტიები. ამისთვის საჭიროა პირველ რიგში გადაჭრილ იქნეს უშიშროების საკითხი. მე ვფიქრობ, რომ ერთა ლიგამ დაიჭიროს არსებულ საკონტრ. ორგანოების ადგილი. განიარაღების საკითხი გერმანიასა და საფრანგეთის გარდა სხვა სახელმწიფოებსაც ეხება. **ლოკარნოს შემდეგ საფრანგეთი მრავალ დათმობებზე წავიდა რეინის ოლქში, სადაც გერმანიის მოთხოვნილებების ცხრა მეათედი დაკმაყოფილებულ იქნა.** ეს დიდი პროგრესია, რომელიც უზრუნველყოფს უშიშროებას. საკონტროლო კომისიის გაუქმებისა და მისი ფუნქციების ერთა ლიგისათვის გადაცემის შემდეგ საფრანგეთის უშიშროება სრულებით არ მცირდება, არამედ პირიქით იზრდება. (ადს).

განიარაღების კონფერენცია
ლორდ სესილის განცხადება

ბერლინი, 30 ნოემბერი. ინგლისის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში ლორდმა სესილმა ჟენეველ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ, მისი აზრით, განიარაღების საერთაშორისო კონფერენცია საეჭვოა რომ მოწვეულ იქნეს 1927 წელს, მიუხედავათ ერთა ლიგის პლენუმის გადაწყვეტილებისა, რომელიც ჰგულისხმობს კონფერენციის მოწვევას 1927 წლის სექტემბრამდე. (ადს).

ოპოზიცია პილსუდსკის წინააღმდეგ
პიასტის პარტია პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 30 ნოემბ. კრაკოვში პიასტის პარტიის ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნდობას უცხადებს ვიტოსს და წინანდელი მთავრობის წევრებს, იმისთვის, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მაისის გადატრიალებას, რომელიც მოახდინა პილსუდსკიმ.

„ნაშ პრჟეგლონდ" აცხადებს: „პიასტის" ყრილობა მოწმობს, რომ **დაიწყო მაისში დამარცხებულ ბანაკის კონტრ-შეტევა". (ადს).**

მუშების მოთხოვნილებები უარყოფილია

ვარშავა, 30 ნოემბ. დამთავრდა პროფკავშირთა წარმომადგენლების თათბირი, რომელიც მოიწვია ბარტელმა. **ბარტელმა კატეგორიულად უარყო მუშათა ორგანიზაციების მოთხოვნილებები სამუშაო ხელფასის სიძვირის ზრდის მიხედვით მოწესრიგების შესახებ. (ადს).**

ვინ მოაწყო აჯანყება ალბანეთში

ბერლინი, 30 ნოემბ. ამერიკის სააგენტო „იუნაიტედ პრეს" ცნობით, ბელგრადში სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში დადის ხმები, რომ **ალბანეთში აჯანყების მოწყობის ინიციატივა ეკუთვნის იტალიას და რომ აჯანყებულებს დახმარებას აწვდიდენ რომიდან,** საიდანაც მათ უგზავნიდენ იარაღს და ფულს. ამტკიცებენ, რომ მუსოლინი უკანასკნელ 5 თვის განმავლობაში არა ერთხელ ცდილობდა მჭიდრო კავშირი დაემყარებია იტალიასა და ალბანეთს შორის და ამ ცდების დამარცხების შემდეგ მოაწყო აჯანყება.

იტყობინებიან, რომ 1926 წლის ივნისში იტალიის ელჩი ტირანში ცდილობდა, რათა ახმედ ზოგუს (ალბანეთის პრემიერს) დაემტკიცებინა ელჩთა კონფერენციის დეკლარაცია, რომელიც სცნობს იტალიის განსაკუთრებულ ინტერესებს ალბანეთში და აგრეთვე მის უფლებას აღადგინოს წესრიგი ალბანეთში მღელვარების შემთხვევებში. ახმედ ზოგუმ უარი სთქვა ამ დეკლარაციის დამტკიცებაზე, რის გამო იტალიის ელჩი დაემუქრა მას დესანტით.

შემდეგ მუსოლინმა უკან წაიღო თავისი მოთხოვნილებები და დაავალა იტალიის ელჩს ტირანში მიეღო ალბანეთის წინადადება მეგობრულ ხელშეკრულების დადების შესახებ. (ადს).

რუსული ენა ლიტვაში

კოვნო, 30 ნოემბერი. ოფიციალურ გაზეთ „ლეტუვაში" გამოქვეყნებულ საუბარში, ლიტვის სახ. განათლების მინისტრმა **ჩაპინსკიმ** განაცხადა:

„სკოლებში და საზოგადოებაში ამ ჟამად ირჩევა საკითხი სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების შემოღების შესახებ. მინისტრმა დააკმაყოფილა მშობელთა კომიტეტების შუამდგომლობა რუსული ენის სწავლების ნებადართვის შესახებ იმ პირობით, რომ ენის სწავლება არ იქნება სავალდებულო". (ადს).

ფაშისტების თარეში იტალიაში

ბერლინი, 1 დეკემბერი. „ველტ ამ აბენდი" იუწყება, რომ იტალიაში დაიწყო პატიმართა პირველი ჯგუფის გადასახლება „ფაშისტური რეჟიმისადმი მტრული დამოკიდებულების გამო". პატიმართა უმრავლესობას ასახლებენ კოლონიებში ან ნახევრად უდაბურ კუნძულებზე სიცილიის მახლობლად. გადასახლების ვადა უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება 5—6 წლით. გადასახლებულთათვის დაწესებულია მეტად მკაცრი რეჟიმი. აკრძალულია თეატრებში, სამკითხველოებში, კინოებში, კაფეებში და რესტორანებში სიარული და რაიმე კრებაზე დასწრება. სახლიდან გამოსვლის ნება აქვთ მხოლოდ მთავრობის მიერ დაწესებულ საათებში.

ფაშისტების ძალადობა ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ კვლავ გრძელდება. ფაშისტების ჯგუფი შეიჭრა ყოფილი დეპუტატის **ხელვადორის** ბინაზე და მოჰკლა იგი. ნეაპოლში თავს დაესხნენ პროფესორ **ლაბრიოლას**. თვით მას სახლში ვერ მოუსწრეს, სამაგიეროდ გამოათრიეს გარედ მისი ვაჟი, რომელიც გაატიტვლეს და მათრახის ცემით ჩამოატარეს ქალაქის ქუჩებში. (ადს).

8 საათის სამუშაო დღე

ბერლინი, 30 ნოემბერი. კანონპროექტი შრომის დაცვის შესახებ, რომელიც მოიწონა გერმანიის მთავრობამ, 8 საათის სამუშაო დღის პრინციპის თეორიულად აღიარებასთან ერთად, მაინც გულისხმობს მთელ რიგ გამონაკლისს შემთხვევებს და შეიცავს დაწვრილებით დადგენილებას ზედმეტი სამუშაოს და სხ. შესახებ. ეს დადგენილება არსებითად არ სცვლის არსებულ მდგომარეობას საკითხში სამუშაო დროის შესახებ. (ადს).

ამხ. კრასინის დაკრძალვა
ნეშტის გამოტანა

მოსკოვი, 1 დეკემბერი. სადგურზე შესავალთან შავი არშიაა წარწერით:

„საკავშირო კომპარტიამ დაჰკარგა ერთი თავისი უძველესი მებრძოლთაგანი".

სადგურზე შეგროვდენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, ცენტრ. საკონტრ. კომისიის, მოსკოვის კომიტეტის, საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირის ცეკას და მოსკოვის კომიტეტის წევრები.

ის ადგილი, სადაც უნდა გაჩერდეს ვაგონი ამხ. კრასინის ნეშტით, შემოსილია სამგლოვიარო არშიებით.

მატარებლის ორთქლმავალი და ვაგონები, რომლითაც ჩამოიტანეს ამხ. კრასინის ნეშტი, მორთულია ყვავილებით და სამგლოვიარო არშიებით. წინ, ორთქლმავალზე მოთავსებულია ამხ. კრასინის სურათი.

ამხ. კრასინის ნეშტის ურნას გვირგვინები დაადვეს გერმანიის ელჩმა საბჭოთა კავშირში ბროკდორფ-რანცაუმ, საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა და დიდ ბრიტანეთის საბჭოთა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ხოჯსონმა.

ვაგონში შედიან ამხ. ლიტვინოვი, ენუქიძე და სხ. და გამოაქვთ ურნა ამხ. კრასინის ნეშტით. ურნა ხელით გამოაქვთ მოედანზე ამხ. ლიტვინოვს, ენუქიძეს, ვოროშილოვს, მიქოიანს, კამენსკის და სტომიანიკოვს. სამგლოვიარო მარშის ხმაზე ურნას სდებენ სამგლოვიარო კატაფალკაზე, რომელზედაც გადაჯვარედინებულია დროშები. კატაფალკა ხელით მიაქვთ მთავრობის წევრებსა და განსვენებულის მეგობრებს. კატაფალკას უკან მისდევენ განსვენებულის ძმები, დები და ქალიშვილები. მათ მისდევენ მთავრობის წევრები, საკავშირო კომპარტიის ცეკას, ცენტრ. საკონტრ. კომისიის, და მოსკოვის კომიტეტის წევრები, საკავშირო ახალგ. ლენინურ კავშირის ცეკას და მოსკოვის კომიტეტის წევრები და სხ. კატაფალკის წინ მიაქვთ გვირგვინები და დროშები. სამგლოვიარო კორტეჟს მისდევს მუშა-მოსამსახურეთა დელეგაცია, რომელიც თავის დროშებით მიდის. ორი ორკესტრი მთელი მსვლელობის განმავლობაში ასრულებს სამგლოვიარო მარშს. ხანგამოშვებით ერთმანეთს სცვლიან მთავრობის წევრები, რომელთაც კატაფალკა მიაქვთ ხელით.

წითელ მოედანზე

პროცესია ნელ-ნელა მიემართება წითელი მოედნისაკენ, სადაც მივიდნენ 2 ს. 45 წ. ლენინის აკლდამისაკენ კატაფალკა ხელით მიაქვთ საკავშირო კომპარტიის (ბ) უძველეს წევრებს. წითელ მოედანზე გრძელი რიგებით სდგანან წითელი არმიის ფეხოსანი და ცხენოსანი ნაწილები. ლენინის აკლდამის ტრიბუნაზე ადიან ამხ. კალინინი, რიკოვი, რუძუტაკი, ცხაკაია, ვოროშილოვი, ბუხარინი, კოლაროვი და კომინტერნის აღმასკომის წევრები.

ამხ. კალინინის სიტყვა

იწყება სამგლოვიარო სახალხო სხდომა. პირველ სიტყვას მთავრობის, პარტიის და მასთან ნამუშევარ ამხანაგების სახელით ამბობს ამხ. კალინინი.

„კრასინი, ამბობს ამხ. კალინინი, მთელ თავის მოღვაწეობაში აღჭურვილი იყო უდიდესი ნებისყოფით. იგი აღგზნებული იყო ამ აქტივიზმით, რომლითაც აღთებული იყვნენ რევოლიუციონურ მოძრაობის მოღვაწენი. მე კი ვისურვებდი, რომ მუშათა და გლეხთა ჩვენი ახალგაზრდა მოზარდი თაობა გაეცნოს ამხ. კრასინის ცხოვრებას და ისწავლოს მის მაგალითზე, თუ როგორ უნდა ბრძოლა დასახულ ამოცანათა მისაღწევად. ამხ. კრასინი სინდისიერად, კეთილშობილად და აქტიურად იღებდა მონაწილეობას მუშათა კლასის ბრძოლაში. და ჩვენ, მის დიდი ხნის თანამებრძოლებს, გვსურს, რომ კრასინის ხსოვნა კიდევ დიდხანს დარჩეს მუშათა და გლეხთა გულში და რომ მისი ცხოვრების ისტორიამ აღაგზნოს ისინი ბრძოლისათვის მშრომელთა საბოლოო გამარჯვებამდე მთელ მსოფლიოში".

ამხ. კოლაროვის სიტყვა

ამხ. კალინინის სიტყვის შემდეგ კომინტერნის აღმასკომის და საკავშირო კომპარტიის (ბ) სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კოლაროვმა.

„კრასინი—უდიდესი დანაკლისია ყველა ქვეყნების კომუნისტური პარტიებისათვის—სთქვა ორატორმა. კრასინის საქმიდან საერთაშორისო პროლეტარიატი იარაღს მოაგროვებს კაპიტალისტურ ქვეყანასთან საბრძოლველად. მოკვდა კიდევ ერთი მებრძოლი-რევოლიუციონერი, მაგრამ რჩება კომუნისტური პარტია და კომინტერნი, რომელიც მსოფლიო ძალად გადაიქცა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საერთაშორისო პროლეტარიატი უსაზღვრო რწმენით არის აღჭურვილი ლენინის პარტიისადმი. საერთაშორისო პროლეტარიატი, ხრის რა თავის დროშებს ამხ. კრასინის ნეშტის წინაშე, ღრმად არის დარწმუნებული, რომ მებრძოლი რევოლიუციონერის საქმე გაგრძელებულ იქნება მსოფლიო რევოლ [illegible] ჯვებამდე".

ნეშტის დაკრძალვა

ამხ. კოლაროვის სიტყვის შემდეგ ამხ. კალინინი, რიკოვი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, მიქოიანი, ენუქიძე ჩამოდიან ტრიბუნიდან და მიდიან კატაფალკისაკენ. „ინტერნაციონალის" სიმღერით ურნას ხსნიან კატაფალკიდან და მიაქვთ კრემლის კედლისაკენ (ლენინის აკლდამის მახლობლად), სადაც ფრუნზეს საფლავის პირდაპირ გამზადებულია ადგილი ამხ. კრასინის ნეშტის დასაკრძალავად.

ურნას ნეშტით კრემლის კედელში სდებენ ამხ. კალინინი და რიკოვი „ინტერნაციონალის" სიმღერით, რომელსაც სცვლის სამგლოვია [illegible] ზარბაზნების სა [illegible] მარშის განუწყვეტ [illegible] კრემლის კედელშ [illegible] ურნა ნეშტით, ს [illegible] დაფას, წარწერით [illegible] კრასინი", მისი [illegible] ვალების წელი.

დაკრძალვის [illegible] მოედანზე იმლე [illegible] ორგანიზაციების [illegible] როცა მუშათა ო [illegible] საფლავის მახლობლ [illegible] თი დროშები დახარ [illegible]

ამხ. კრასინის ნეშტის ჩამო [illegible]

ნეგორელოეში

ნეგორელოე, 1 დეკემბერი. სამგლოვიარო მარშის ხმების, ჩირაღდნების სინათლის და დახრილ დროშების ქვეშ შემოვიდა სადგურ ნე [illegible] ლონეთის მატარებელი [illegible] ნეშტით.

ყვავილებით დაფარუ [illegible] მოსკოვისა და მინსკის წარ [illegible] ბმა, რკინისგზელთა და სხ [illegible] მელთა თანადასწრებით, წ [illegible] სიტყვები, რომლის შემდეგ უ [illegible] ტანილ იქნა საბჭოთა რონოდა [illegible]

მინსკში

მინსკი, 1 დეკემბერი. მიუხ [illegible] იმისა, რომ გვიან იყო, **მინსკის სად [illegible] ზე მაინც თავი მოიყარა მრავალმა [illegible] და წითელარმიელმა.** სადგურის ბაქ [illegible] შეიკრიბნენ უკრაინის კომპარ. (ბ), [illegible] ჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსი და ცაკ [illegible] წევრები. ბელორუსის მშრომელთა ს [illegible] ხელით ურნაზე დადებულ იქნა წითელ [illegible] დროშა. გვირგვინის მაგიერ გადადებულია 1.000 მანეთი უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ (ადს).

სხდომა ამხ. კრასინის ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 1 დეკემბერი. 1 დეკემბერს შესდგა მთავარი საკონცესიო კომიტეტის მუშაკთა სამგლოვიარო სხდომა. სხდომა მოწვეული იყო ამხ. კრასინის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც 1923 წ. მთავარი საკონცესიო კომიტეტის კოლეგიის წევრი იყო. ამხ. იოფემ ვრცლად დაახასიათა ამხ. კრასინის ის როლი, რომელიც მან ითამაშა ჩვენს პარტიაში. კრებამ დაადგინა, რომ გვირგვინის მაგიერად უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ ჯამაგირიდან გადაირიცხოს ნახევარი პროცენტი. (ადს).

გერმანიის გენერალური კონსულის სამძიმარი

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში გერმანიის გენერალური საკონსულოსაგან შემდეგი წერილი მიიღო:

„საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ლონდონში ლ. ბ. კრასინის გარდაცვალების გამო მაქვს პატივი გამოუცხადო ბატონ რწმუნებულს ჩემი წრფელი თანაგრძნობა და ამასთან უმორჩილესად გთხოვ გადასცეთ ჩემი სამძიმარი ამიერ-კავკასიის მთავრობას.

„პრიუფერი"

საბჭოთა პრესა
ბრძოლა საქონლის ნაკლებობასთან

ბევრი იმ აზრის იყო, რომ ა. წ. შემოდგომაზე ე. წ. საქონლის ხიმშილი გაცილებით უფრო ფართე ხასიათს მიიღებდა, ვინემ შარშან. სინამდვილე კი გვეუბნება, რომ საქონლის ნაკლებობა ამჟამად არ არის ისე მწვავე, როგორც გასულ წელს. ბაზარს წინანდელი ციებ-ცხელება არ ეტყობა. მოთხოვნილება საქონელზე შედარებით შენელებულია. და ეს მაშინ, როცა წრეულს უცხოეთიდან სამომხმარებლო საქონელი არ შემოგვიტანია (შარშან შემოვზიდეთ 75 მილიონ მანეთის სამომხმ. საქონელი). ყველაფერი ეს მოწმობს ქვეყნის მეურნეობის ზრდას და ვაჭრობის გაჯანსაღებას, მაგრამ აქედან არ შეიძლება გადაჭარბებულ ოპტიმიზმს მივეცეთ და გულზე ხელი დავიკრიფოთ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ" სამართლიანად წერს:

„საქონლის სიმშილის სიმწვავის საგრძნობი შენელების მიუხედავათ, ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქონლის ნაკლებობა არ შეიძლება დაძლეულ იქნას ერთი ან ორი წლის განმავლობაში. ამიტომ შეცდარია მტკიცება, თითქოს ამჟამად ჩვენ ვიმყოფებოდეთ მთელ რიგ სამრეწველო საქონლის გასაღების კრიზისის წინაშეც კი. ცალკე ბაზრებზე საქონლის სიჭარბე არ არის სამეურნეო კონიუნქტურის დამახასიათებელი. ხოლო თუ ამ სიჭარბეს სადმე აქვს ადგილი, მისი აცილება შეიძლება სამრეწველო ფასების დაკლებით. ამასთან, ზოგიერთ ნაწარმოების სიჭარბე ბაზარზე იმას მოწმობს, რომ ჩვენ უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვინემ დღემდე საქონლის ასორტიმენტის და ხარისხის საკითხებს. **ვინაიდან ელემენტარული მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე** დაკმაყოფილებელია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსხვილი სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციის ასორტიმენტის და ხარისხის საკითხებს. საქონლის ნაკლებობის საკითხების განხილვის დროს ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის სპეციფიური მიზეზები, რომლებმაც, გასულ წელთან შედარებით, გამოიწვიეს საქონლის სიმშილის სიმწვავის შენელება. პურის დაკლებულ ფასებმა სათანადოთ შეამცირეს გლეხობის მსყიდველობითი ფონდი. ახალ სამეურნეო წლის პირველ თვეებში შეხვდა აგრეთვე გადასახადების საგრძნობი ნაწილის გასტუმრება, რასაც მოჰყვა გლეხობის მოთხოვნილების შეზღუდვა. ქალაქის მოთხოვნილებაც, ხელფასის დარგში ფრთხილ პოლიტიკასთან დაკავშირებით, იზრდება საქონლის რესურსებთან უფრო მეტი შეთარდებით, ვინემ ამას შარშან ჰქონდა ადგილი. შემდეგ, აღსანიშნავია სამრეწველო პროდუქციის შეუჩერებელი ზრდა უკანასკნელ თვეებში".

მიუხედავათ ყველაფერ ამისა, ბოლო დროს ვამჩნევთ სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების ერთგვარ ზრდას, რაც საფრთხეს უმზადებს ჩვენს მიღწევებს სამეურნეო დარგში. საქონლის რაც შეიძლება მეტი მასის გამოშვება, მისი თვითღირებულების შემცირება, ენერგიული ბრძოლა ვაჭრობის რაციონალიზაციისა და საცალო ფასების დაკლებისათვის,—შემდეგშიაც ამ მიმართულებით უნდა წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა.

საბჭოების გადარჩევის მოლოდინში

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, 1927 წლის 15 აპრილს მოსკოვში მოწვეულ იქნება საბჭოების მორიგი სრულიად საკავშირო ყრილობა, ხოლო ცალკე რესპუბლიკებში პირველ იანვრიდან უნდა დაიწყოს საბჭოთა საარჩევნო კამპანია და არჩევნები უნდა დამთავრდეს საკავშირო ყრილობის მოწვევის ვადისათვის.

წინასწარ მზადებას არჩევნებისათვის, ცხადია, ამ თავითვე უნდა შევუდგეთ. პირველ ყოვლისა, აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საარჩევნო ინსტრუქციას. როგორც ვიცით, საკავშირო ცაკმა გამოსცა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც, საბჭოთა კონსტიტუციის ნიადაგზე და ქვეყნის ეხლანდელ სოციალურ - ეკონომიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტიულად და დაწვრილებით, ვინემ წინად, განსაზღვრავს საარჩევნო უფლების მქონე, თუ მას მოკლებულ მოქალაქეთა კატეგორიებს და ჰქმნის ისეთ პირობებს, როცა ერთი მხრით სავსებით უზრუნველყოფილია მშრომელთა რაც შეიძლება ფართოდ და ნამდვილად მიზიდვა საარჩევნო კამპანიაში, ხოლო მეორე მხრით—ექსპლოატატორულ და ანტი-საბჭოთა ელემენტებს ყოველგვარი შესაძლებლობა ესპობათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. მაგრამ საკ. ცაკის საარჩევნო კანონი რა გინდ სრულიც არ უნდა იყოს ის მაინც, აშკარაა, ვერ ამოსწურავს ყველა ადგილობრივ თავისებურებათ და მომენტებს. ამიტომ თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა ამ საარჩევნო კანონის საერთო საფუძველზე და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით გამოსცემს რესპუბლიკანურ საარჩევნო ინსტრუქციას; ასეთი ინსტრუქცია ჩვენში ახლო მომავალში იქნება გამოქვეყნებული.

უნაკლო საარჩევნო ინსტრუქციის შედგენა კიდევ არ არის საკმარისი არჩევნების სისწორით ჩატარებისათვის. საჭიროა ამ ინსტრუქციის გამოყენება, შეფარდება ცხოვრებასთან. ეს კი უწინარეს ყოვლისა და უშუალოდ ევალება საარჩევნო კომისიებს. საარჩევნო კომისიების შემადგენლობას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. კომისიები უნდა იქნენ შევსებული გლეხურ და მუშათა ორგანიზაციების ჭეშმარიტ წარმომადგენლებით, რომელნიც სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგნენ კლასობრივ-პოლიტიკურ შეგნების მხრივ და ამასთან საერთოდ მომზადებული უნდა იყვნენ თავისი საპასუხისმგებლო მოვალეობათა პირნათლად შესრულებისათვის. საარჩევნო კომისიებზეა უმთავრესად დამოკიდებული, რომ საბჭოთა წყობილებისათვის უცხო ელემენტები არ გაძვრენ საარჩევნო სიებში და ამასთან საარჩევნო უფლება არ წაერთვათ იმათ, ვისაც ის უნდა ეკუთვნოდეს. ამიტომ, ვიმეორებთ, საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ფრთხილად უნდა შევარჩიოთ და ამავე დროს ზევით მდგომ სათანადო ორგანოებმა მათ მუშაობას სისტემატიური კანტროლი უნდა გაუწიონ, რომ რაიმე შეცდომას არ ექნეს ადგილი.

უაღრესი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო უფლება წართმეულ პირების სრულ და სწორ სიების შედგენას. წინედ არსებული ასეთი სიები მხოლოდ მასალად გამოდგება და ეხლა მათზე მთლიანად დაყრდნობა შეუძლებელია. უკანასკნელ დროს საგრძნობი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში; მაგ., სოფლად აქაიქ რამოდენიმედ გაიზარდა კულაკობა. ამასთან საკავშირო ცაკის ახალი საარჩევნო კანონი მნიშვნელოვნად აფართოვებს საარჩევნო უფლებას მოკლებულ კატეგორიების რიცხვს, რათა ზედმიწევნით დაიცვას მშრომელთა ინტერესები და რათა საბჭოებში არ მოყვენ ისეთი ელემენტები, რომელნიც შეეცდებიან მათ გადაქცევას მშრომელ მასების დიქტატურის ორგანოებიდან კულაკურ ჯგუფთა ინტერესების დამცველ დაწესებულებებად. ამიტომ, ცხადია, საარჩევნო სიების შედგენის და ამ დარგში საარჩევნო ინსტრუქციის გამოყენების დროს უნდა იქნას გამოჩენილი განსაკუთრებული სიფრთხილე, მიუდგომლობა, ამა თუ იმ პირის მდგომარეობის საფუძვლიანი ცოდნა, რომ კულაკები საარჩევნო სიებში არ მოხვდენ და, პირიქით, ნამდვილად მშრომელი ელემენტები არ დარჩენ მათ გარეშე.

არჩევნებში სოფლის მოსახლეობის ფართე მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, სხვათა შორის უნდა იქნეს გამრავლებული საარჩევნო უბნები, რომ გლეხობას შორს არ მოუხდეს წასვლა საარჩევნო ვალდებულების მოსახდელად. ამასთან ამომრჩევლები თავის დროზე უნდა იქნენ გაფრთხილებული საარჩევნო კრებების დროისა და ადგილის შესახებ. ადგილი და დრო კრებებისათვის უნდა იყოს ისე შერჩეული, რომ მოსახლეობას არ გაუჭირდეს მათზე დასწრება. ყველა ამ პირველ შეხედვით წვრილმან მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ამომრჩევლები სრულად გამოცხადდნენ საარჩევნო კრებებზე. ყველაფერი ეს წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ.

თავის-თავად იგულისხმება, რომ საარჩევნო კამპანიაში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ამომრჩეველ მასებისათვის ანგარიშების წარდგენას საბჭოების მუშაობის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების საერთო მიღწევების აღნიშვნასთან ერთად, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა გაკეთდა ადგილობრივ—სოფლის, თემის და მაზრის მასშტაბით. ამასთან საჭიროა მითითება იმეზე, თუ რა არ გაკეთდა, რა ნაკლულევანებანი ახასიათებდა საბჭოს მუშაობას და რა იყო ამის მიზეზები. ამავე დროს უნდა იქნას დასახული მომავალი მუშაობის რეალური და კონკრეტიული გეგმა. საანგარიშო კამპანიის დაწვრილებითი გეგმა უნდა იქნას შემუშავებული დაუყოვნებლივ.

მომავალ საარჩევნო კამპანიას ჩვენ უაღრეს მნიშვნელობას ვაკუთვნებთ. თუ წინანდელ არჩევნებმა ხელი შეუწყვეს საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას, მასების თვითმოქმედების გაშლას, მათ უშუალოდ დაახლოვებას სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობასთან და ჩვენს პარტიასთან,—მომავალმა არჩევნებმა ამ მხრივ მიღწეული შედეგები უნდა გაამრავლონ, გააფართოვონ და განამტკიცონ. ამ მიზნის წარმატებით განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის დროულად და მიზანშეწონილად ჩატარებაზე, რასაც კიდევაც უნდა მოვკიდოთ ხელი.

სახელმწიფო კრედიტი საბჭოთა კავშირში
(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

სახელმწიფო კრედიტი საბჭოთა კავშირის საფინანსო მეურნეობის ყველაზე უფრო ნორჩი დარგია. საბჭოთა მთავრობა მხოლოდ ოქტომბრის მეხუთე წლის თავზე შეუდგა თავის სახელმწიფო სესხების გამოშვებას.

სახელმწიფო კრედიტი საბჭოთა კავშირში ნაკარნახევი იყო მთელ რიგ მიზეზებით, რომელთაგან უმთავრეს მიზეზებათ ჩაითვლება შემდეგი: საფინანსო მეურნეობის განმტკიცება და ფულის ტრიალის მოწესრიგება დღის წესრიგში დაისვა, როგორც ძირითადი ამოცანა, რომლის გადაჭრა აუცილებელი იყო, როგორც წინასწარი პირობა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის. ქაღალდის ფულის ემისიის შესაძლებლობა საგრძნობლად ამოწურული იყო. საჭირო იყო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავათ წყაროების გამოძებნა ისე, რომ არ დაგვჭირვებოდა ფულის ახალი ნიშნების გამოშვება, უნდა გამოგვეძებნა საშუალება, რომლითაც უკანვე ხაზინაში დავაბრუნებდით გამოშვებულ ფულის ნიშნებს. სახელმწიფო სესხების გამოშვება ორივე ამ ამოცანას სწყვეტდა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის პირველი საკრედიტო ოპერაციები ნაკარნახევი იყო ბიუჯეტის გადაუდებელ მოთხოვნილებებით.

მაგრამ 1922—24 წლებში სესხების გასაღების ობიექტიური პირობები მეტად არახელსაყრელი იყო. საჭირო იყო სესხების გასაღების გაძლიერება იძულებითი ზომებით.

საქმის ვითარება სავსებით შეიცვალა 1925 წელს. ფულის რეფორმა წარმატებით იქნა ჩატარებული. მტკიცე ვალუტის ნიადაგზე სწრაფად ვითარდებოდა სახალხო მეურნეობა და იზრდებოდა მოსახლეობის კეთილდღეობა. მიმდინარე სახელმწიფო ხარჯებს ფარავდა ჩვეულებრივი სახელმწიფო შემოსავალი. სახელმწიფო სესხების შემოსავალი ხმარდებოდა მხოლოდ ძირითად ხარჯების დაფარვას სახალხო-სამეურნეო მშენებლობის დარგში. ამიტომ სახელმწიფო კრედიტს განვითარების საშუალება მიეცა, ის ეგუებოდა ფულის ბაზრის ტევადობას და იმ თავისუფალ თანხების არსებობას, რომელნიც სახელმწიფო სესხების ობლიგაციებში უნდა ყოფილიყვნენ დაბანდებული. დადგა სახელმწიფო კრედიტის ნორმალური განვითარების პერიოდი.

პირველ საბჭოთა სახელმწიფო სესხის გამოშვების—1922 წლის მაისის შემდეგ 4½ წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, რომ არ ვიანგარიშოთ სამეურნეო აღდგენისათვის გამოშვებული სესხი, განხორციულია 12 სახელმწიფო საკრედიტო ოპერაცია, რომელთა საერთო შემოს. 1,073.700.000 მანეთს უდრის.

იმის, რომ წარმოვიდგინოთ სახელმწ. ბიუჯეტისა და სახელმწიფო კრედი [illegible] მიღებული რესურსების რაოდე [illegible] უნდა მივმართოთ მასალებს [illegible] მწიფო დავალიანების მოძრაობისებ.

მეურს ასალორძინებელი სესხის გარე [illegible] სახელმწიფო დავალიანების ნარჩენი მანეთებში უდრის: 1923 წლის ოქტომბრისათვის—118.200 მანეთს, [illegible] წლის 1-ლ ოქტომბრისათვის—2 [illegible] მან., 1925 წლის 1-ლ ოქტომბრ [illegible]—366.700 მან., 1926 წლის ო [illegible] რისათვის—413.200 მან.

იმისა, რომ შევაფასოთ სახელმწიფო დ [illegible] ების რაოდენობა და მისი მნიშვნე [illegible] ჩვენს სახალხო მეურნეობაში, სა [illegible] შევადაროთ სახელმწიფო დავალ [illegible] ჯამი საბჭოთა კავშირის ნაციონ [illegible] შემოსავალს და მის ბიუჯეტს, ე [illegible] მხრივ, და ომის წინადროინდელ, რუსეთის სახელმწიფო დავალია [illegible] დამახასიათებელ სათანადო ციფრებს მეორე მხრივ.

იმ დრ [illegible] მეფის რუსეთის სახელმწიფო [illegible] დავალიანება, გაფანტული ქვეყნის [illegible], შეადგენდა წლიური ნაციონა [illegible] შემოსავლის 35,8 პროც., საბჭოთა [illegible] ის სახელმწიფო დავალიანება [illegible] ნს მხოლოდ 2,1 პროც. ნაციონალ [illegible] შემოსავლისა. მოსახლეობის [illegible] სულზე მეფის რუსეთის დავა [illegible] 1914 წლის 1-ლ იანვრისათვის [illegible] 34 მან. 85 კაპ. საბჭოთა კავ [illegible] სახელმწიფოებრივი დავალიანება [illegible] ხლეობის თვითეულ სულზე 1 [illegible] 1-ლ ოქტომბრისათვის შეადგ [illegible] მან. და 90 კ.

საბჭოთა [illegible] ის სახელმწიფოებრივი დავალ [illegible] სიმცირეს ამტკიცებს შეფარდებ [illegible] მწიფო ბიუჯეტთან. იმ დროს, [illegible] მეფის რუსეთის შინაური სახელ [illegible] დავალიანება სჭარბობდა წლ [illegible] ელმწიფო ბიუჯეტს და შეადგე [illegible] 22 პროც., საბჭოთა კავშირის ს [illegible] ფო დავალიანება შეადგენს [illegible] ბიუჯეტის მხოლოდ 10 პრ [illegible]

საჭიროა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო [illegible] იანების ზრდა [illegible] რომ არ წარ [illegible] დადებით ფაქტს საბჭოთა კავშირის ასე მცირე დავალიანება? ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია დიდ თანხებს მოითხოვს. საგარეო კრედიტის უქონლობის პირობებში, ეს თანხა შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ ქვეყნის შინა რესურსების ხარჯზე. ამნაირათ, შემოსავალი სახელმწიფო სესხიდან, იმ საშუალებებთან ერთად, რომელიც გროვდება შემნახ. სალაროების, საკრედიტო დაწესებულებების, მიმდინარე ანგარიშზე მყოფ ანაბარების საშუალებით, წარმოადგენს იმ რესურსებს, რომლითაც იკვებება სახალხო-სამეურნეო მშენებლობა და რომლითაც, საბოლოო ჯამით, განისაზღვრება მისი ტემპი. აი რატომ არის საჭირო სახელმწიფო კრედიტის ყოველმხრივი განვითარება ობიექტიურ შესაძლებლობათა ფარგლებში და სახელმწიფო კრედიტის საშუალებით ფინანსების დაბანდება ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციაზე.

რომელი დაგროვილი კაპიტალის იმედი შეიძლება იქონიოს სახელმწიფომ თავის სესხების დასაბანდებლად და მეურნეობის რომელი დარგების იმედი უნდა იქონიოს ამ მხრივ? პასუხი ამ კითხვაზე ჩვენ შეიძლება მივიღოთ მხოლოდ იმ მუშაობის გამოცდილებიდან, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით ამ განვლილი უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში.

რამდენადაც ობლიგაციები წარმოადგენენ გასანაღდებელ ქაღალდს, რომელიც გადადის ხელიდან ხელში ყოველგვარ ფორმალობის გარეშე, იმდენად შეუძლებელია სწორი აღრიცხვა სახელმწიფო ფონდის მფლობელთა. მაგრამ, პირობითი სტატისტიკური მეთოდების და არაპირდაპირი მასალებით შეიძლება დაახლოვებით წარმოვიდგინოთ, თუ როგორ არის განაწილებული საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სესხი.

ჩვენი სესხის ძირითად მფლობელთ წარმოადგენენ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროები, რომლებიც აბანდებენ ობლიგაციებში მათ მიერ შეგროვილ ანაბარების ნარჩენს. შემნახველ სალაროებს ეკუთვნით სახელმწიფო სესხი, 70½ მილიონი მანეთის რაოდენობით, ე. ი. ბაზარზე გაშვებულ სესხების ნომინალური ღირებულების 22 პროც., მეურნეობის აღდგენის სესხისა და 8 პროცენტიან სესხის გარეშე. სახელმწიფო ვალის განაწილებაში შემნახველი სალაროების ასეთი მონაწილეობა ნორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, მეფის რუსეთის შინაური ვალის 50 პროც. მოთავსებული იყო შემნახველ სალაროებში. შემნახველი სალაროები წარმოადგენენ სესხის კოლექტიურ ამღებთ, რომელნიც სესხის ობლიგაციებში ათავსებენ მათ მიერ დაგროვილ, მეურნეობის წვრილ ნაწილებში გაბნეულ საშუალებებს. დანარჩენ სახელმწიფო ორგანოებს უჭირავთ 74 მილ. მანეთი, ე. ი. სახელმწიფო ვალის 21 პროც. ამ ორგანიზაციებს შეაქვთ ფონდში უმთავრესად ცენტრალურ სახელმწიფო სალაროს გასანაღდებელი ქაღალდები და თავისი, მოკლევადიანი, თავისუფალი სალარო თანხები. სესხის ფონდების დაბანდების მნიშვნელობა სახელმწიფო ორგანოების ხარჯზე იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო კრედიტის საშუალებით ხდება სახელმწიფო გეგმიან მეურნეობაში შეტანილ საშუალებების გადანაწილება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საფონდო ბრუნვის საშუალებით მოკლევადიანი თავისუფალი თანხები იქცევიან გრძელვადიან მოთავსებისათვის გამოსადეგ თანხებათ. ამნაირად, მიუხედავა იმისა, რომ ცენტროკასის გასანაღდებელი ვალდებულებები წარმოადგენენ მოკლევადიან ქაღალდს, რადგან ისინი გამოშვებულია მხოლოდ 6 თვის ვადით, სახელმწიფოს ამ სესხის ოპერაციებიდან მაინც აქვს გრძელვადიანი სესხი, რომელიც 75 მილიონ მანეთზე ქვევით არ მიდის.

სახელმწიფო სესხების დანარჩენი ობლიგაციები, რომელნიც ხმარებაში არიან ბირჟაზე, დაახლოვებით 130 მილ. მანეთის რაოდენობით კერძო პირთა ხელშია.

თუ გავითვალისწინებთ გირაოების და სესხების ოპერაციების აღრიცხვას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ 40—30 მილ. მანეთი ნომინალით დანაწილებულია მსხვილი პარტიების სახით კერძო პირებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელნიც შეადგენენ მოსახლეობის არამშრომელ ფენებს და ეკუთვნიან საბირჟო და სავაჭრო-სამრეწველო წრეებს.

დანარჩენი 90—100 მილ. მანეთი ნომინალით ქალაქის მშრომელების, მუშა-მოსამსახურეების და თავისუფალი პროფესიის პირების და აგრეთვე გლეხობის მცირე ნაწილის ხელშია.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი სახელმწიფო ვალის ასეთი ფაქტიური დაბანდების ანალიზს, შეგვიძლია დავსახოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კრედიტის შემდეგი პერსპექტივები.

1) შემნახველ სალაროების, სოციალურ დამზღვევის ცენტრალურ სამმართველოს და სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს საშუალებების მონაწილეობა ჩვენი სესხების გასაღების საქმეში გაიზრდება სისტემატიურად მათი მუშაობის გაფართოების მიხედვით;

2) სესხების გასაღებას სახელმწიფო მრეწველობის და საკრედიტო დაწესებულებების საშუალებების ხარჯზე არ აქვს მნიშვნელოვანი როლი ამჟამად და არც მომავალში ექნება დიდი მნიშვნელობა.

3) საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კრედიტის ძირითად ბაზას ამჟამად წარმოადგენენ მოსახლეობის მშრომელი ფენების საშუალებები—ისინი აწვდიან ფინანსებს—რომ არ ვიანგარიშოთ ის საშუალებები, რომელნიც სახელმწიფო სესხებს ერთვიან შემნახველ სალაროების საშუალებით,—ჩვენი სახელმწიფო ვალის დაახლოვებით 32 პროცენტს (100 მილ. მანეთს სახელმწიფო ვალის რაოდენობიდან, რაც სამეურნეო აღდგენის სესხისა და რვა პროცენტიან სესხის გარეშე 315 მილიონ მანეთს უდრის). სამუშაო ხელფასის ზრდისა და იმის მიხედვით, თუ რამდენად შეეჩვევა მოსახლეობა თანხების შემონახვას, კერძო დაგროვების ამ სექტორს სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცემა ჩვენი სახელმწიფო კრედიტის განვითარებისათვის;

კერძო კაპიტალი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით მონაწილეობას იღებს სახელმწიფო სესხებში არა საკმაო თანხებით. სახელმწიფო კრედიტი არ უნდა გაურბოდეს ამ საშუალებების მიზიდვას, ვინაიდან ამ გზით შესაძლებელია მათი ჩამოცილება საქონლისა და ვალიუტის ბაზრებისაგან. ამ გზით განხორციელებულ იქნება ფულის ტრიალის მოწესრიგება და კერძო კაპიტალის გამოყენება სახელმწიფო მეურნეობის სექტორში.

მოსკოვი, 1 დეკემბერი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ეროვნულ უმცირესობათა დევნა რუმინეთში

ვენა, 30 ნოემბერი. ეროვნულ უმცირესობათა დევნა რუმინეთში გრძელდება. შინაგან საქმეთა მინისტრმა გოგამ აღკრძალა ყოველგვარ უკრაინული ლიტერატურის, თვით გაზეთების შეტანაც კი რუმინეთში, განათლების მინისტრმა აღუკრძალა მოწაფეებს ლაპარაკი უკრაინულ ენაზე.

უ-პეი-ფუს აღსასრული

პეკინი, 1 დეკემბერი. დღეს მიღებულია უ-პეი-ფუს დეპეშა, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ ვინაიდან ზოგიერთმა მისმა გენერალმა უარი სთქვა მასთან თანამშრომლობაზე, მან ვერ შესძლო წითლების დამარცხება. ეს გარემოება აიძულებს მას, რომ ხელი აიღოს უფროსობაზე და აღარ ჩაერიოს პოლიტიკაში. (ადს).

უმუშევართა კონფერენცია

ბერლინი, 1 დეკემბერი. გაიხსნა გერმანიის უმუშევართა კონფერენცია. ესწრება 600 დელეგატი. კონფერენცია მოწვეულია უმუშევართა მდგომარეობის განსახილველად და საორგანიზაციო ზომების შესამუშავებლად გერმანიის ყველა უმუშევართა გაერთიანების მიზნით. (ადს).

კუკი საბჭოთა კავშირში მოდის

ლონდონი, 1 დეკემბერი. ხვალ კუკი მიემგზავრება საბჭოთა კავშირში საბჭოთა პროფკავშირების ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად. იგი ამ ყრილობაზე დელეგატია მეშახტეთა საერთო ინგლისური ფედერაციისა. (ადს).

აფეთქება გიურკოვოში

ვენა, 30 ნოემბერი. გიურკოვოში (რუმინეთის ნავთსადგური დუნაიზე) მოხდა დიდი აფეთქება. დაიწვა 10 გემი, 2 საგრძნობლად დაზარალდა. დაიღუპა 12 კაცი.

ოსმალეთის საავიაციო საზოგადოების ყრილობა

ანგორა, 30 ნოემბერი. ოსმალეთის საავიაციო საზოგადოების ყრილობამ, რომელიც 28 ნოემბერს გაიხსნა, 30 ნოემბრის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა საბჭოთა კავშირის ავიაქიმის დეპეშა და საბჭ. კავშირის წარმომადგენლის (ოსმალეთში) სურიცის წერილი, სადაც ესალმებიან ყრილობას და უსურვებენ წარმატებას შემდეგ მუშაობაში, ყრილობამ დაადგინა მადლობის დეპეშა გაუგზავნოს ავიაქიმს და ამხ. სურიცს. (ადს).

1926 წ. მოგების ტირაჟი.

მოსკოვი, 1 დეკემბერი. 1 დეკემბერს მოსკოვში შესდგება მომგებიანი სახელმწიფო სესხის 1926 წლის ტირაჟი. (ადს).

სახ.-სამ. მანქანების შემოტანა.

მოსკოვი, 1 დეკემბერი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, პირველ კვარტალში სასოფლო-სამეურნეო მანქანები სოფლისათვის შემოტანილი იქნება 112 მილ. მან. პირველ რიგში შემოტანილი იქნება სახნავი და სათესი მანქანები და იარაღები. (ადს).

მეფის ნავების გაყიდვა

ლენინგრადი, 1 დეკემბერი. სახელმწიფო საფლოტო სამმართველომ გადასწყვიტა გაყიდოს მეფის ყოფილი ნავები. „სტრელა", „ალექსანდრია" და „ზარნიცა". (ადს).

მოხსენებები

პარიჟი, 30 ნოემბ. საფრანგეთის მუშურ ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინად ინახულა საბჭოთა კავშირი, შეუდგა საბჭოთა კავშირის შესახებ მოხსენებების მოწყობას საფრანგეთის ყველა კუთხეებში. დელეგაციის წევრების მოხსენებებს ესწრება ათასობით მუშები (ადს).

ტერორი რუმინეთში

ვენა, 30 ნოემბერი. რუმინეთის გაზეთი „ადევერულ" იუწყება, რომ ამჟამად კიშინიოვში ადგენენ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ბესარაბიელთა სიებს მათი ქონების კონფისკაციის მიზნით. (ადს).

სხვადასხვა

საქმე კუნძულ იავაზე აჯანყების შესახებ

ამსტერდამი, 30 ნოემბერი. კოლონიების მინისტრმა დაავალა გამომძიებელს გამოძიების წარმოება 600 დაპატიმრებულის საქმეზე კუნძულ იავაზე აჯანყების მოწყობის გამო. (ადს).

დეპუტატი კენვორტი

ლონდონი, 30 ნოემბერი. ლიბერალ კენვორტის მუშათა პარტიაში გადასვლის გამო დაცარიელდა ცენტრალ-გულის ოლქის სადეპუტატო მანდატი. ოლქში მოხდა დეპუტატის გადარჩევა, კენვორტი, რომელიც გამოვიდა როგორც მუშათა პარტიის კანდიდატი, ხელმეორედ იქნა არჩეული. (ადს).

რუმინეთში

ბერლინი, 30 ნოემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, რუმინეთის პრესას აეკრძალა რაიმე ცნობების მოთავსება მეფის მდგომარეობის შესახებ.

მენშევიკების კავშირი

სტოკჰოლმი, 29 ნოემბერი. ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას პლენუმმა მიიღო პროექტი შეერთებისა ნორვეგიის ძლიერ პარტიასთან, რომელსაც ტრანმელი მეთაურობს. (ადს).

მილიონერის წინადადება

ბერლინი, 30 ნოემბერი. კანადის მილიონერი ჩარლზ მილლერი 2 მილიონ დოლარს პირდება პრემიად იმ ქალს ონტარიოს პროვინციაში, რომელიც 1935 წლის 19 ოქტომბრამდე აჩენს ყველაზე მეტ ბავშვს.

პარტიზანულ რაზმებში მონაწილეობისათვის

ვენა, 30 ნოემბერი. პლევნის საოლქო სასამართლომ პარტიზანულ რაზმებში მონაწილეობისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 5 გლეხს. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

კანადის მომავალი როლი პან-ამერიკულ კავშირში

ამერიკაში არსებობს საკუთარი ერთა ლიგა: ეს არის პან-ამერიკული (სრულიად ამერიკის) კავშირი. ეს კავშირი შექმნილია შეერთებული შტატების მიერ და წარმოადგენს მთელს ამერიკაზე მისი გავლენის გავრცელების ერთ-ერთ იარაღს. პან-ამერიკულ კავშირში (რომელიც აერთიანებს ამერიკის 21 სახელმწიფოს) გაბატონებულია შეერთებული შტატები. ეს უკანასკნელი მიმართავს კავშირის პოლიტიკას, რასაკვირველია, მონროეს ცნობილ პრინციპთან („ამერიკა ამერიკელებისათვის") სრული თანხმობით. ეს პრინციპი კი, როგორც ვიცით, შესანიშნავ ფორმას წარმოადგენს ამერიკის სახელმწიფოთა საქმეებში ევროპის შესაძლებელი ჩარევის თავიდან ასაცილებლად.

პან-ამერიკულ კავშირში განუწყვეტლივ სწარმოებს ყრუ ბრძოლა შეერთებული შტატების დიქტატურის წინააღმდეგ. დღემდის შეერთებული შტატების ჰეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრს წარმოადგენდა მექსიკა, რომელიც ცდილობს თავის გარშემო შემოიკრიბოს პან-ამერიკული კავშირის ყველა უკმაყოფილო ელემენტები. ლიბერალების აჯანყება ნიკარაგუაში დიქტატორ ჩამორროს წინააღმდეგ, როგორც ვაშინგტონში ამტკიცებენ, დაიწყო მექსიკის მთავრობის დახმარებით. უკანასკნელი მიზნად ისახავდა შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებას.

შეერთებული შტატების იმპერიალიზმთან აშკარად ბრძოლას ამერიკის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ ხედავს და არც შესწევს ამისი ღონე და უკმაყოფილება გამოსავალს პოულობს ინტრიგებში, რომლებსაც განუწყვეტლივ აწარმოებენ პან-ამერიკულ კავშირში.

უკანასკნელ ხანებში მორიგი ინტრიგების ობიექტად გადაიქცა კანადა. საქმე იმაშია, რომ კანადის ახალმა (ლიბერალურმა) მთავრობამ უარი სთქვა ვაშინგტონში დიპლომატიური წარმომადგენლობის გაგზავნაზე. როგორც ამერიკული რესპუბლიკების ყველა დანარჩენი ელჩები ვაშინგტონში, კანადის ელჩიც შევა პან-ამერიკული კავშირის საბჭოში. პან-ამერიკული კავშირის წევრებს იმედი აქვთ, რომ კანადის ელჩში ჰპოვებენ მოკავშირეს შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

ამ იმედებს ის საფუძველი აქვს, რომ კანადისა და შეერთებული შტატების ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან ლათინურ (ე. ი. სამხრეთ) ამერიკაში. ინგლის - კანადის კაპიტალმა ლათინურ ამერიკაში დაიპყრო პოზიციები ჯერ კიდევ მანამდის, სანამ შეერთებული შტატების კაპიტალი ფართოდ გაიკაფავდა გზას კანადისაკენ. ინგლის - კანადის კაპიტალი, „როიალ ბანკ ოფ კანადა"-ს სახით, ლათინურ ამერიკაში მუშაობდა და ახლაც მუშაობს სრულიად დამოუკიდებლად. მაგრამ უკანასკნელ ხანებში „როიალ ბანკ ოფ კანადა"-ს ლათინურ ამერიკაში და კუნძულ კუბაზე დიდ მეტოქეობას უწევს ნიუ-იორკის ბანკი „ნეშენელ სიტი ბანკ". ეს წინააღმდეგობანი, ლათინურ ამერიკის რესპუბლიკების ელჩების აზრით, აიძულებენ კანადის ელჩს პან-ამერიკულ კავშირში აწარმოოს პოლიტიკა, მიმართული შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

ეს ცოტაა. მათი იმედები კიდევ უფრო შორს მიდის. ისინი ოცნებობენ, რომ კანადა, როგორც ერთა ლიგის წევრი, პან-ამერიკულ კავშირში შეიტანს „ახალ სულს", ბრძოლას გამოუცხადებს „მონროეს პრინციპს", რომელიც ესოდენ არახელსაყრელია ევროპულ სახელმწიფოებისათვის და პირველ რიგში ინგლისისათვის. სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებს იმედი აქვს, რომ ამ საკითხში კანადის ელჩს მხარს დაუჭერს ერთა ლიგა, სადაც ინგლისი, ჯერ-ჯერობით, პირველი სკრიპკის როლს თამაშობს.

ასე ოცნებობენ სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკების წარმომადგენლები.

ვაშინგტონის მთავრობა კი კანადასთან თავისი ურთიერთობის პროგრამას აშენებს პრაქტიკულ საფუძვლებზე. ის ცდილობს კანადაში შეერთებული შტატების კაპიტალის მოქმედების ასპარეზის გასაფართოებლად გამოიყენოს ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი, რომელსაც ცხოვრებაში ატარებს კანადის მთავრობა. შეერთებული შტატების მთავრობას იმედი აქვს აგრეთვე, რომ კანადის ლიბერალების ლტოლვა სრული სახელმწიფოებრივი ავტონომიისაკენ, ინგლისთან კავშირის შესუსტებისაკენ, ხელს შეუწყობს კანადის დაახლოებას შეერთებულ შტატებთან.

ა. ხ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

სააღმშენებლო დარგის მუშების მოწოდება

მოსკოვი, 1 დეკემბ. სააღმშენებლო დარგის მუშაკთა კავშირის ცეკამ მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით იმ დადგენილების შესახებ, რომელიც მიიღო სააღმშენებლო დარგის მუშაკთა ინტერნაციონალის კონფერენციამ ლუგანოში (შვეიცარია) და რომლის თანახმად შეუძლებელია საბჭოთა პროფკავშირის მიღება ინტერნაციონალის შემადგენლობაში.

აშკარავებს რა სააღმშენებლო დარგის მუშაკთა ინტერნაციონალის გამთიშავ პოლიტიკას, კავშირის ცეკა მოუწოდებს ყველა ქვეყნების სააღმშენებლო დარგის მუშებს იბრძოლონ პროფკავშირთა მთლიანობის მსოფლიო კონგრესის მოწვევისათვის. (ადს).

ა.-კ. სამთამადნო მრეწველობისათვის

მოსკოვი, 1 დეკემბ. „გლავგორტოპის" თათბირზე პროფ. გუბკინის თავმჯდომარეობით განხილულ იქნა საკითხი ა.-კავკასიის სამთამადნო მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდების შესახებ 1926-27 წლის მეორე მეოთხედში.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოს ქვემდებარე სამთამადნო მრეწველობას მიეცემა 380.000 მანეთი, აქედან აზერბაიჯანს—175.000 მან., საქართველოს—65.000 მან., სომხეთს—140.000 მანეთი. (ადს).

ცისტერნების დაკვეთა

მოსკოვი, 1 დეკემბ. რკ. გზათა ცენტრალურმა სამმართველომ სამანქანო მრეწველობის სახელმწიფო სამმართველოს დაუკვეთა 300 დიდი ცისტერნი 3.000 ფუთი ნავთის პროდუქტის მოცულობის თვითეული. ცისტერნები დამზადებულ იქნება ნიკოლაევში მარტის სახელობის ქარხანაში. დამზადების ვადაა 1928 წლის პირველი იანვარი. (ადს).

ჭურჭელი ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 1 დეკემბ. ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის მოსკოვის წარმომადგენლობამ „პროდოსილიკატთან" გენერალური ხელშეკრულება დასდო 350 ვაგონ სხვადასხვა ნაწარმოებზე 1.622.000 მანეთის ღირებულებით. გარდა ამისა ცენტროკავშირის გენერალურ ხელშეკრულებით „პროდოსილიკატი" ა.-კ. კოოპერაციას მიაწოდებს 350.000 მანეთის საქონელს. ცენტრალურ მუშათა სექციის ხაზით თბილისის მუშკოოპი წლის განმავლობაში მიიღებს 26 ვაგონ „პროდოსილიკატის" ნაწარმოებს, ბაქოს ცენტრალური მუშათა კოოპერატივი 3 თვის განმავლობაში მიიღებს 24 ვაგონს. ხელშეკრულებაში შედის ა.-კავკასიაში შემოსაზიდ ჭურჭლის 50 პროც. დანარჩენი რაოდენობა გამოეგზავნება ტრესტის ადგილობრივ განყოფილებებს (ადს)

წყალთა მეურნეობის კოდექსი.

მოსკოვი, 1 დეკემბერი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამუშავა წყალთა მეურნეობის კოდექსის პროექტი. ამ პროექტით რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიის ყველა წყლები წარმოადგენენ ერთიან სახელმწიფო წყალის ფონდს, რომლის გამოყენებასაც აწესრიგებს წყალთა მეურნეობის კანონმდებლობა. ადგილებზე წყალთა მეურნეობა უნდა მართონ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკანურმა, საოლქო და გუბერნიის კომიტეტებმა, რომელნიც გენერალური მასშტაბით გაერთიანებული არიან რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ერთიან კომიტეტში. (ადს).

ლენინგრადის მუსლიმანების ხმა

ლენინგრადი, 1 დეკემბერი. ლენინგრადის მუსლიმანებმა მოისმინეს თავის იმ წარმომადგენლის მოხსენება, რომელიც გაგზავნილი იყო მუსლიმანთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე უფაში და გულწრფელ მისალმებას უგზავნიან ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინსა და სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვს. ისინი გამოსთქვამენ ღრმეს მადლობას მუსლიმანებისათვის რელიგიურ საკითხების განხილვის ნებადართვაზე. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბაიჯანი

განათლების მუშაკთა კონფერენცია

ბაქო, 1 დეკემბერი. განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენციის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ბაქოს განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ. მოხსენების მიხედვით 1926-27 წელს სახალხო განათლებისათვის გადადებულია 4.556.000 მანეთი. მიმდინარე წლის ბიუჯეტში შეტანილია აგრეთვე 150 ათასი მანეთი ახალი სკოლების ასაგებად.

წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების რიცხვი 99-დან გადიდდა 175-მდე. გარდა ამისა, ბაქოს განათ. განყოფილების უწყებაში გადავიდა 210 სალიკვიდაციო პუნქტი, რომელიც მანამდე პროფკავშირების ხელში იყო.

სადგურების შეკეთება

განჯა, 1 დეკემბერი. შეკეთების შემდეგ ამუშავებულ იქნა ქედაბეკის სპილენძის ჩამოსასხამ ქარხნის სადგური. (ადს).

საცდელ-საჩვენებელი მინდვრები

განჯა, 1 დეკემბერი. სამაზრო აგრონომიულმა პუნქტმა, მაზრის სხვადასხვა პუნქტებში მოაწყო 60 სათესი-საჩვენებელი მინდორი. (ადს).

ნავთის შადრევანი.

ბაქო, 1 დეკემბერი. გუშინ სადგურ პუტასთან ნავთის ახალმა შადრევანმა ამოხეთქა, საიდანაც 5 საათის განმავლობაში 20.000 ფუთი ნავთი ამოვიდა. (ადს.).

ტროპიკული ინსტიტუტი.

ბაქო, 1 დეკემბერი. აზერბაიჯანში მალარიის შესწავლის მიზნით იხსნება ტროპიკული ინსტიტუტი, რისთვისაც ჯამრთელობის სახალხო კომისარიატმა გადასდო 100.000 მან. (ადს).

ახალი პოლიტეხნიკუმები.

ბაქო, 1 დეკემბერი. მიმდინარე წელში ბაქოში შეუდგენ სამი ახალი პოლიტეხნიკუმის შენობის აგებას. ამ მუშაობისათვის გადადებულია 120.000 მანეთი. (ადს).

სომხეთი

სომხეთის კომპარტიის ერევნის ორგანიზაციის კონფერენცია.

ერევანი, 1 დეკემბერი. სომხეთის კომპარტიის ერევნის ორგანიზაციის კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე არჩეულია ახალი კომიტეტი 33 წევრისა და 13 კანდიდატის შემადგენლობით. ერევნის ორგანიზაციის მდივნად ისევ ამხ. შახგელდიანი იქნა არჩეული. (ადს).

საგზაო აღმშენებლობა.

კეშიშკენდი, 1 დეკემბერი. მუშაობა ქეშიშკენდ-გორისის გზის ასაგებად კარგად მიმდინარეობს. გლეხები საგზაო ბეგარაზე ზურნითა და სიმღერით გამოდიან. გზის მახლობელ სოფლებში ფუთი ერბო 10 მან. იყიდება. (ადს).

საქონლის რიცხვის ზრდა.

ერევანი, 1 დეკემბერი. წარსულ წელთან შედარებით, მსხვილფეხა საქონლის რიცხვი დარალაგეზის მაზრაში გაიზარდა 22 პროცენტით. (ადს).

კომუნალური აღმშენებლობისათვის.

ერევანი, 1 დეკემბერი. სომხეთის კომუნალური აღმშენებლობისათვის გადადებული თანხა 225.000 მან. სომხეთის ეკონომიურმა საბჭომ ასე გაანაწილა: ერევნის მაზრას—60.000 მან., ლენინაკანის—36.693 მან., ეჩმიაძინის—20.308 მ., ლორი-ბამბაკის—25.000 მან., დელიჟანის—57.000 მან., ნორ-ბაიაზეთის—6.000 მან., ზანგეზურის—3.000 მან., დარალაგეზის—17.000 მანეთი. (ადს).

აზერბაიჯანის ჰიდროელსადგური

მოსკოვი, 1 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა აზერბაიჯანის ცენტრალური ჰიდროელექტროსადგურის აგების პროექტის შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს აცნობა, რომ ივი მეტად საინტერესო პრობლემად სცნობს დიდი რაიონული ჰიდროელექტროსადგურის აგებას, რომლის დანიშნულებაც უნდა იყოს ელექტრონის ენერგიის მიწოდება განჯისა და მტკვრის რაიონისათვის.

ამავე დროს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს არ შეუძლია დაეთანხმოს ამიერ-კავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის თხოვნას, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭომ გამოსცეს დადგენილება კარასახკალის ჰიდროსადგურის აგებისათვის მუშაობის დაწყებისა და 1926—27 წელში ამ საქმისათვის 2,5 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს შემდეგი მოსაზრებებით: ამ მუშაობის ეკონომიური მხარე ჯერ კიდევ სავსებით გარკვეული არაა და იგი ნათლად უნდა იქნეს დაკავშირებული აზერბაიჯანის საირიგაციო აღმშენებლობის გეგმასთან. ამ სადგურის აგების პრობლემა უნდა დაუკავშირდეს „აზნეფტ"-ის მთელ ენერგეტიულ პრობლემას. მხოლოდ ამ ძირითადი საკითხების გადაწყვეტის შემდეგ შეიძლება შეუდგეთ ჰიდროსადგურის აგების ოთხი ვარიანტის განხილვას (მდ. არაქსზე, ტერტერზე, მტკვარზე და სამურზე) და ამოვარჩიოთ მათგან ყველაზე უკეთესი. მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო ამოარჩევს ერთ-ერთ ვარიანტს, მაშინ შეიძლება შეუდგეთ პროექტის დეტალურ ტეხნიკურ დამუშავებას; ამასთანავე მოწონებული პროექტი განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა გადაეცეს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ორგანოებს.

ამგვარად, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სცნობს, რომ აზერბაიჯანის ჰიდროცენტრალები ჯერ კიდევ არ არიან იმდენად დამუშავებული, რომ შეუდგეთ სადგურის აგებას. (ადს).

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მისალმებები

მოსკოვი, 1 დეკემბერი. 30 ნოემბერს საღამოს გაიმართა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის მორიგი სხდომა. სხდომის დასაწყისში მოსმენილ იქნა კომინტერნის სახელობის სამხედრო-საინჟინერო კურსების ორი წარმომადგენლის მისალმება, რომელსაც პლენუმი შეხვდა მქუხარე ტაშით.

პლენუმის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **სემარმა**.

კამათის გაგრძელება

მისალმების შემდეგ განახლდა კამათი **ტან-პინ-სიანის** მოხსენების გარშემო.

ამხ. **დუნკანი** (ამერიკა) შეჩერდა იმ უდიდეს რეაქციონურ როლზე, რომელსაც თამაშობს ამერიკის იმპერიალიზმი ჩინეთის რევოლიუციის მიმართ. ჩინეთის კომპარტიამ ენერგიული მუშაობა უნდა აწარმოოს გლეხობას შორის და აგრეთვე, სახალხო რევოლიუციონური არმიის რიგებში.

სენ-კატაიამა (იაპონია) ლაპარაკობს სხვადასხვა მეთოდებზე, რომელსაც მიმართავენ ამერიკის, ინგლისის და იაპონიის იმპერიალისტები თავის პოზიციების განსამტკიცებლად ჩინეთში. შემდეგ კატაიამა ჩერდება ჩინეთის კომპარტიის ორგანიზაციულ ამოცანებზე და აღნიშნავს, რომ საორგანიზაციო მუშაობა ადვილდება სხვადასხვა გილდიებისა და მშრომელთა გაერთიანებების (მუშები, ხელოსნები და სხ.) არსებობით ჩინეთში.

ებერლეინი (გერმანია) აღნიშნავს გერმანიის ბურჟუაზიის შეჭრის ცდას ჩინეთში.

„ჩვენ უნდა აუხსნათ ჩინეთის მუშებს და გლეხებს —ამბობს ებერლეინი,—რომ გერმანიის ბურჟუაზია არსებითად ისეთივე რეაქციონური და მძარცველი ბურჟუაზიაა, როგორც ამერიკისა და ინგლისის ბურჟუაზია".

პეტროვი (კომინტერნის აღმასკომი) არკვევს ჩინეთის კომპარტიაში შექმნილ მდგომარეობას. ჩინეთის კომპარტიაში შემჩნეულია ნაციონალურ-რევოლიუციონური ფრონტის მნიშვნელობის გადაჭარბებულად შეფასების ტენდენცია. ეს ტენდენცია მიდის მუშათა კლასის მიერ უარის თქმამდე, დამოუკიდებლათ გამოსვლაზე. საჭიროა ბრძოლა ამ მაინც გადახრის წინააღმდეგ. მეორე, არასწორ მოსაზრებას წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ, თითქოს, გომინდანმა უკვე დაასრულა თავისი ისტორიული მისია და ამიტომ კომუნისტებმა უნდა დასტოვონ მისი რიგები. ეს გადახრა უფრო მავნეა, ვიდრე პირველი.

დორიო (საფრანგეთი) ჩერდება შეიარაღებული ინტერვენციის საშიშროებაზე ჩინეთში. ასეთი საფრთხე სავსებით მოსალოდნელია. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ მუშაობა არა მარტო ჩინეთის მილიტარისტების ჯარებში, არამედ ჩვენი ჯარისკაცთა და მეზღვაურთა შორისაც. უნდა წამოყენებულ იქნას ლოზუნგი: „ხელები შორს ჩინეთისაგან".

საუკეთესო დახმარება,—ამბობს დორიო,— რომელიც ჩვენ შეგვიძლია გაუწიოთ ჩინეთის რევოლიუციას—ეს არის ბრძოლა საკუთარ იმპერიალისტების წინააღმდეგ.

როი (ინდოეთი) მოკლედ ახასიათებს ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიას და ხაზს უსვამს ამერიკის იმ იმპერიალიზმის როლს, რომლის გამოჩენილი წარმომადგენლები სულ უფრო ხშირად იწყებენ ლაპარაკს ჩინეთის საქმეებში ჩარევის აუცილებლობის შესახებ.

შაო-ლი-ცზე (ჩინეთი) უერთდება ამხ. ტან-პინ-სიანის მოხსენებიდან გამოტანილ დასკვნებს და ხაზს უსვამს გომინდანისა და კომპარტიის გულწრფელი თანამშრომლობის აუცილებლობას. გომინდანი, ახორციელებს რა სუნ-იატ-სენის ანდერძს, მიისწრაფვის ქვეყნის არა-კაპიტალისტურ განვითარებისაკენ, რომელიც სავსებით შესაძლებელია, რომ გაიმარჯვოს ნაციონალურმა რევოლიუციამ. ამისთვის საჭიროა ქვეყნის ყველა რევოლიუციონური ძალების ერთი მთლიანი ფრონტი და აგრარულ საკითხის სწორად გადაჭრა.

ჩო-ხუნი (კორეა) ამბობს, რომ ყველაზე საშიშ მტერს ჩინეთის რევოლიუციისათვის წარმოადგენს იაპონია.

ამით დასრულდა კამათი ტან-პინ-სიანის მოხსენების გარშემო.

პლენუმის ქრონიკა

1-ლ დეკემბერს არ შესდგება პლენუმის სხდომა. მხოლოდ კომისიები იმუშავებენ.

დღის 3 საათზე პლენუმის დელეგატები მონაწილეობას მიიღებენ ამხ. კრასინის ნეშტის წითელ მოედანზე დაკრძალვის სამგლოვიარო ცერემონიაში.

2 დეკემბერს დილით იმუშავებენ კომისიები. საღამოს გაიმართება პლენუმის სხდომა, რომელზედაც საპასუხო სიტყვით გამოვა ტან-პინ-სიანი და შემდეგ მოხსენებით ინგლისის [illegible] გამოვა **მერფი**.

დაღესტანის ნავთი და „გროზნეფტ"

მოსკოვი, 1 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა აცნობა რ. ს. ფ. ს. რ.-ის ცაკს, რომ ს. მ. უ. ს-მა ნება დართო „გროზნეფტ"-ს აწარმოოს კვლევა-ძიებითი მუშაობა ნავთის აღმოსაჩენად ნაკლებად გამოკვლეულ, მაგრამ ნავთიან წყაროებით მდიდარ მახაჩ-კალას რაიონში, რომელიც დაღესტანის რესპუბლიკის ფარგლებში მდებარეობს. ამ ნებართვის დამოუკიდებლად, მახაჩ-კალას რაიონი დამტკიცებულია აგრეთვე შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ, როგორც „გროზნეფტ"-ის საკვლევი ფონდი.

მიუხედავად ამისა, დაღესტანის რესპუბლიკის მთავრობა საშუალებას არ აძლევს ტრესტს აწარმოოს კვლევაძიებითი მუშაობა, და მოითხოვს ტრესტისაგან წინასწარ მთელ რიგ პირობებს, რომელიც არსებითად და ფორმალურადაც ტრესტისათვის მიუღებელია. დაღესტნის მთავრობა „გროზნეფტ"-ს სთხოვს მახაჩ-კალას რაიონის მომავალ ექსპლოატაციიდან 15-პროცენტიანი ანარიცხების სავალდებულო გადებას დაღესტნის რესპუბლიკის ბიუჯეტის სასარგებლოდ. დაღესტნის მთავრობა მოითხოვს აგრეთვე დაღესტნის ნავთის მადნების და მათ შორის „გროზნეფტ"-ის ერთი უბნის საექსპლოატაციო საგანგებო ნავთის [illegible] მოწყობას. „გროზნეფტ"-ს რჩება მ[illegible] 50 დესეტინა მიწის ნაჭერი, სადაც [illegible] მხოლოდ 5 სანავთე ჭა.

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მ[illegible] გამოცემულ კანონის თანახმად, მ[illegible] საექსპლოატაციოთ გადაცემა საკა[illegible] დეზე შეადგენს მხოლოდ მარტო [illegible] შრის ს. მ. უ. ს. უფლებას, რომ[illegible] ს. მ. უ. ს. შეუძლია წამოუყენოს [illegible] თუ ის პირობები, მიუხედავად იმ[illegible] რესპუბლიკის ფარგლებშიც არ [illegible] რეობდეს მადნეულობა.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. სთ[illegible] თა რუსეთის ცაკს ვალდებული [illegible] ღესტნის რესპუბლიკა ხელი არ შე[illegible] მავალში „გროზნეფტ"-ის კვლევ[illegible] მიწის ნაჭრების ფარგლებში, რო[illegible] ხებულია ს. მ. უ. საბჭოს და შრ[illegible] დაცვის საბჭოს მიერ, და წინად[illegible] დაღესტნის მთავრობას დაუყოვ[illegible] ცეს „გროზნეფტ"-ს ის უბნებ[illegible] აუცილებელ საჭიროებას წარმო[illegible] ვა-ძიების საწარმოებლად.

ტრამვაის მოძრაობის შემცირება ლენინგრადში

მოსკოვი, 1 დეკემბ. ლენინგრადში არსებულ ელექტროენერგიის მარაგის სიმცირის გამო, მოსალოდნელია ტრამვაის მოძრაობის რამოდენიმეთ შემცირება. „ელექტროტოკმა" დაამთავრა ყველა მოსამზადებელი სამუშაოები „ვოლხოვსტროიდან" ენერგიის მისაღებათ, მაგრამ ვოლხოვის დენის მიცემა ტრამვაისთვის არ შეიძლება, რადგან ის ტრამვაის მავთულებში გადაყვანამდე გატარებულ უნდა იქნეს სინჯიეან მიმართებლებში, რომლებიც მხოლოდ საზღვარ გარეთ იშოვება, ხო[illegible] მართებლების შესაძენათ მინ[illegible] ჯერ არ არის მიღებული. მინ[illegible]

ამ ჟამად სადგურზე მუშის [illegible] ტურბინა, ამიტომ ყოველგვარი [illegible] დატვირთვა დიდ საშიშროებ[illegible] გენს. სამრეწველო ბიურ[illegible] ტოკს" დაეთანხმა იმაში, [illegible] სადგურის დატვირთვის შემ[illegible] საჭიროა რამოდენიმეთ [illegible] იქნეს ტრამვაის მოძრაობ[illegible] ში. ტრამვაის მოძრაობა [illegible] 10—15 პროცენტით. (ადს).

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტის პლენუმი

ამხ. სუხიშვილის მოხსენება

მოხსენების დასაწყისში ორატორმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ქალაქების საბჭოების მუშაობის გაცხოველებისა და გაუმჯობესების საკითხი პარტიის ყურადღებას მოითხოვს. პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ სათანადო დირექტივება მოგვცა ამ მიმართულებით, რომელთა ცხოვრებაში გატარება აუცილებელია. გადავიდა რა თბილისის საბჭოს მუშაობის დახასიათებაზე ორატორმა აღნიშნა, რომ თბილისის საბჭო იკრიბებოდა დაახლოვებით თვეში ერთხელ. სულ რვა თვის განმავლობაში მოხდა საბჭოს პლენუმის 9 სხდომა, რაც ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. სხდომებზე დასმული და გარჩეული იყო 20 საკითხი, რაც აგრეთვე დამაკმაყოფილებლად უნდა იქნეს აღიარებული. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოს კრებები ხდება და საკითხებიც ირჩევა, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე გვაქვს.

საქმე იმაშია, რომ საბჭოს სხდომებს წევრთა ძლიერ მცირე რიცხვი ესწრება. ასე მაგალითად, საშუალოდ ყველა ცხრა სხდომას დაესწრო საბჭოს წევრთა მხოლოდ 27 პროც., რაც რასაკვირველია ვერ ჩაითვლება ნორმალურ მოვლენად. გარდა ამისა, სუსტია საბჭოსთან არსებულ სექციების მუშაობაც. სულ საბჭოსთან დაარსებულია 6 სექცია, რომელთაგან ორი სექცია თითქმის დარსების დღიდანვე მხოლოდ ქაღალდზე ირიცხება. ცოტად თუ ბევრად მუშაობს დანარჩენი ოთხი სექცია. მაგრამ საბჭოს წევრები არც სექციების მუშაობაში იღებენ მაინც და მაინც აქტიურ მონაწილეობას. სექციის წევრთა დასწრების პროცენტი დაახლოვებით 31-ს უდრის. საბჭოს წევრთა ასეთი გულგრილობის მიზეზი მომხსენებლის აზრით პირველ ყოვლისა უნდა ვეძიოთ საბჭოს სტრუქტურაში. საქმეც ისაა, რომ თბილისის საბჭოს ამჟამად არა ჰყავს აღმასრულებელი ორგანო. მართალია, არსებობს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი. მაგრამ ის არ ექვემდებარება თბილისის ქალაქის საბჭოს; მას ირჩევს თბილისის მაზრის ყრილობა და ამრიგად აღმასკომი მხოლოდ 7 მაზრის და ქალაქის საბჭოთა ყრილობის წინაშეა პასუხისმგებელი. მეორე გარემოება, რომელიც ხ[illegible] უშლის საბჭოს მუშაობას ეს არის საბჭოს წევრთა ზედმეტი დატვირთვა სხვადასხვა მუშაობით. საბჭოში ეხლა არის დაახლო[illegible] წევრთა საერთო რიცხვის 26 პროც., რომლებიც თითქმის არც ერთ სხდომას არ დასწრებიან. ამ რიცხვში შედიან უმთავრესად პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებსაც არა აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობაში, უდროობის გამო.

ორატორის აზრით, საჭიროა საბჭოს სტრუქტურის შეცვლა იმრიგად, რომ თბილისის ქალაქის საბჭოს ჰყავდეს აღმასრულებელი ორგანო პრეზიდიუმის სახით, ჰქონდეს ფინანსიური და ადმინისტრატიული უფლებები და ერთი სიტყვით ის იყოს ქალაქის ბატონ - პატრონი.

იმისათვის, რომ ქალაქისა და მაზრის აღმასკომისა და საბჭოს პრეზიდიუმს შორის არ იქნეს პარალელიზმი მუშაობაში, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი უნდა შევიდეს აღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

გარდა ამისა, საჭიროა აგრეთვე მომავალ საბჭოში დეპუტატებად იქნას არჩეული ისეთი ამხანაგები, რომელთაც საშუალება ექნებათ იმუშაონ მასში. მარტო ამ ზომებითაც ვერ მივაღწევთ მიზანს. საჭიროა აგრეთვე საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობის გაძლიერება ამომრჩეველთა წინაშე. საბჭოს ისეთი წევრები, რომლებიც სისტემატიურად არ ესწრებიან სხდომებს, უნდა იქნენ გაწვეული და მათ მაგიერ გაიგზავნონ ისეთები, რომელთაც მუშაობის დრო, უნარი და ხალისი აქვთ.

ამხ.სუხიშვილის შემდეგ ამავე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვართაპეტოვმა რუსულ ენაზე. კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. მზარეულიშვილმა, ლაშქარაშვილმა, ტაკტაევმა, კახიანმა, ქავთარაძემ და ორლოვმა მიღებულ იქნა ამხ. ვართაპეტოვის მიერ წარმოდგენილ საბჭოს ახალი დებულება.

რეზოლიუცია ამხ. სვანიძის მოხსენების გამო

მოისმინა რა მოხსენება უჯრედთა ბიუროების გადარჩევის შედეგების შესახებ, თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს:

1. პარტიულმა ორგანოებმა ჩაატარეს ფართო მოსამზადებელი კამპანია, რომელმაც გააძლიერა პარტიულ მასების ყურადღება გადარჩევის ძირითად ამოცანებისადმი, რომელნიც მიზნად ისახავენ პარტიული მუშაობის ყველა მხარეების გაუმჯობესებას, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებას და უჯრედთა ბიუროებში უჯრედის აქტივის ახალ კადრების ჩაბმას;

2. გადარჩევამ ცხადჰყო თბილისის ორგანიზაციის პოლიტიკურ-იდეური შეკავშირება. პარტიული მასის აქტივობის და შეგნების ზრდა. ამიტომ ოპოზიციონურ ელემენტების ცდა გამოეყენებინათ უჯრედთა ბიუროების გადარჩევა ცალკე საუჯრედო პარტიულ აპარატის დასაპყრობად (კანდიდატობიდან ბრალდების წაყენებით მოხსნა და სახელის გატეხა), სრული მარცხით დამთავრდა.

3. უეჭველად გამოცოცხლდა უჯრედების მუშაობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა) საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები ფართოდ იქნენ გაშუქებული, ბ) პარტიის უბრალო წევრები მეტი რაოდენობით იქნენ ჩაბმული უჯრედების საერთო მუშაობაში, გ) უჯრედებმა გააძლიერეს და გაუმჯობესეს პარტხელმძღვანელობა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და ადგილკომების არჩევნებისადმი, დ) მეტ მონაწილეობას იჩენენ წარმოების სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობაში და ე) უფრო მეტი გეგმიანობა იქნა შეტანილი უჯრედების მუშაობაში.

4. ბიუროების და უჯრედთა მდივნების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება და მათი საგრძნობად განახლება.

ამავე დროს უჯრედთა ბიუროების გადარჩევამ ცხადჰყო მთელი რიგი ნაკლულოვანებებისა, როგორიც არის:

1. უჯრედების მასიური მუშაობის შესუსტება, რადგან პარტორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ შინაპარტიულ ბრძოლის საკითხებს.

2. საბჭოთა უჯრედები სუსტ მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა აპარატის შემადგენლობის გაუმჯობესების საქმეში და ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში (უბრალო წევრების პასუხისმგებელ თანამდებობებზე წამოყენება, მუშურ ელემენტებით აპარატის შევსება და კომუნისტური კადრის გაძლიერება).

3. უჯრედები არა საკმაო მონაწილეობას იღებდენ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში, ამ მხრივ სუსტად მუშაობდენ საწარმოო თათბირები და ეკონომიური კომისიები.

4. სუსტი იყო ახალ. ლენ. კომკავშირის უჯრედებზე მიმაგრებულთა შემადგენლობა და აგრეთვე პარტუჯრედები საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევდენ ახალ. ლ. კომკავშირის უჯრედებს.

ითვალისწინებს რა უჯრედთა ბიუროების გადარჩევის კამპანიის შედეგებს, თბილისის კომიტეტის პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ღონისძიებანი თბილისის საბჭოს მუშაობის გამოსაცოცხლებლად

1. თბილისის საბჭოს სტრუქტურის შესახებ

თბილისის საბჭოს სტრუქტურის მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მას აკლია საბიუჯეტო-ადმინისტრატიული უფლებები და არ ჰყავს თავისი აღმასრულებელი ორგანო. მუშათა მასების გაძლიერებულ აქტივობის გამოყენებისა და საბჭოს მასიურ მუშაობაში მათი ჩაბმის მიზნით, საჭიროა არსებობდეს მატერიალური და ორგანიზაციულ-უფლებრივი ბაზა, რომლის ნიადაგზე თბილისის საბჭო განავითარებს თავის მუშაობას.

ამ მიზნით:

1. საჭიროა თბილისის საბჭოს მიეცეს საბიუჯეტო და ადმინისტრატიული უფლებები, რისთვისაც გამოყოფილი და ფაქტიურად შედგენილი უნდა იქნეს საქალაქო ბიუჯეტი.
2. აუცილებელია გამოყოფილ იქნეს თბილისის საბჭოს აღმასრულებელი ორგანო—პრეზიდიუმი.
3. თბილისის საბჭოთა ყრილობაზე თბილისის საბჭო გამოჰყოფს თავისი პრეზიდიუმის მთელ შემადგენლობას თბილისის აღმასკომში.
4. მთავარ მუშაობას ქალაქის ფარგლებში ახალი დებულების თანახმად აწარმოებს საბჭოს პრეზიდიუმი.
5. თბილისის საბჭომ თავისი აპარატი არ უნდა შექმნას, მან უნდა გამოიყენოს თბილისის აღმასკომის აპარატი.
6. თბილისის საბჭო ასახელებს განყოფილებების გამგეებს და მათ დასამტკიცებლად უდგენს თბილისის აღმასკომს.
7. თბილისის აღმასკომის განყოფილებები ემსახურებიან თბილისის საბჭოსაც, ასრულებენ რა უკანასკნელის განკარგულებებს, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან თბილისის აღმასკომის დირექტივებს და მითითებებს.

II. საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

თბილისის საბჭო მომავალ არჩევნებში

1. საჭიროა შენარჩუნებულ იქნეს მუშების არსებული პროცენტი და დასახული იქნეს მიზნად წარმოებაში მომუშავე მუშების უფრო მეტი რაოდენობით ჩაბმა საბჭოში.
2. შემცირებულ იქნეს პასუხისმგებელ მუშაკების პროცენტი.
3. საჭიროა მიღებულ იქნეს საბჭოს წევრებად უპარტიოების (35—40 პროც.) ჩაბმა.
4. შენარჩუნებულ იქნეს ქალების არსებული პროცენტი.
5. საჭიროა კომკავშირელების უფრო მეტი რაოდენობით შეყვანა საბჭოს შემადგენლობაში.

III. საბჭოს პლენუმის მუშაობის შესახებ.

1. თბილისის საბჭოს მასიური მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ითვლება სისტემატიური ბრძოლა თბილისის აღმასკომის აპარატის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ მშრომელი მოსახლეობის ფართო მასები და, პირველ ყოვლისა, მუშათა მასები. ამ მიზნით საჭიროა აღმასკომის აპარატის შევსება მუშური ნაწილით, მუშათა აქტივის წამოყენების გზით.
2. თავის დროზე უნდა იქნენ დასმული საკითხები, რომელნიც შეეხებიან ქალაქის ადმინისტრატიულ - სამეურნეო და კულტურულ მდგომარეობას, მშრომელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, ქალაქის ბიუჯეტის შედგენას და დამტკიცებას, მისი შესრულების ანგარიშების დამტკიცებას, აგრეთვე დასმული უნდა იქნენ საერთო პოლიტიკური ხასიათის საკითხები.
3. განყოფილებების და წარმოებების მოხსენებებთან ერთად საბჭოს პლენუმზე საჭიროა სათანადო სექციებიც აკეთებდენ თანამოხსენებებს.
4. საბჭოს სხდომა რეგულიარულად თვეში ერთხელ მაინც უნდა იკრიბებოდეს, ხოლო ერთი დღე კვირაში უნდა დაეთმოს თბილისის საბჭოს და მის სექციების მასიური მუშაობისათვის.
5. მორიგ პრაქტიკულ ამოცანად დასახულ იქნეს პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების დაახლოვებული მუშაობა და მჭიდრო კავშირი თბილისის საბჭოს მუშაობასთან, რისთვისაც აღნიშნულ ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩაბმული უნდა იქნენ როგორც საბჭოს, ისე მისი სექციების მუშაობაში.
6. საბჭომ ანგარიში უნდა ჩააბაროს მშრომელთა ფართო მასებს ორჯერ მაინც ერთი წლის განმავლობაში.
7. სავალდებულო სისტემად იქნეს შემოღებული ის, რომ საბჭოს წევრები თავთავის ამომრჩევლებს ანგარიშს უნდა აბარებდენ გაწეულ მუშაობის შესახებ ორჯერ მაინც წელიწადში, ფართოდ იქნეს შემოღებული საბჭოს ისეთი წევრების უკანვე გამოწვევა, რომელნიც გაურბიან დეპუტატობის მოვალეობის შესრულებას.

IV. სექციების მუშაობის შესახებ.

1. სექციების მუშაობაში სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს საკომისიო და გამოკვლევითი მუშაობაზე.
2. თბილისის საბჭოს პლენუმი დაყოფილი უნდა იქნეს შემდეგ სავალდებულო სექციებად:
   1) კომუნალური,
   2) საფინანსო-საგადასახადო,
   3) სახალხო განათლების
   და 4) ჯანმრთელობის დაცვის.

სექციები საბჭოს მუშაობის ცალკე დარგებში უნდა მოეწყოს საჭიროების მიხედვით.

3. სექციის თავმჯდომარედ არ შეიძლება იყოს სათანადო განყოფილების გამგე. უკანასკნელი მხოლოდ შედის ბიუროს შემადგენლობაში.
4. სათანადო სექციების წევრები საჭიროა შეყვანილ იქნენ იმ კომისიებში, რომელთაც საბჭოს პრეზიდიუმი გამოჰყოფს საბჭოს დადგენილებების და წარმოების მუშაობის შესასწავლად და შესამოწმებლად.
5. სექციების პრაქტიკულ მუშაობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალთა აქტივის (მუშა-ქალების, დელეგატ-ქალების) მონაწილეობა.

„წყნარი კოალიცია" და გერმანიის პროლეტარიატი

(წერილი გერმანიიდან)

სრულიად გერმანიის მსხვილ მრეწველების ყრილობაზე ქ. დრეზდენში (სექტემბერში) ახალი „წინასწარმეტყველი ალაპარაკდა—ეს „წინასწარმეტყველია ქვანახშირის „მეფე" სილვებერგი. მან სთქვა: ევროპაში კაპიტალიზმის ახალი ეპოქა იწყება; ეს ეპოქა ძლიერია იმით, რომ სცნობს რესპუბლიკის აუცილებლობას. სცნობს მუშათა კლასის მნიშვნელობას და განსაკუთრებით სცნობს იმ როლს, რომელიც მოწოდებულია ითამაშოს სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ, ის სცნობს, რომ პარტია, რომელსაც ხმას აძლევს 8 მილიონი ამრჩეველი, შეუძლებელია რესპუბლიკის მმართველობის გარეშე იდგეს და სწორედ ამ რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვენ სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან უმჭიდროეს თანამშრომლობას.

ჩვენ არ შევუდგებით იმის ახსნა განმარტებას, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები, თუ რამდენად დამახასიათებელია მსხვილ ინდუსტრიელთა ეს კომპლიმენტი გერმანიის სოც.დემოკრატიულ პარტიისათვის. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სოც.-დემოკრატიის ცნობილი თეორეტიკოსი რუდოლფ ჰილფერდინგი ამ სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა. მაშინვე გადმოღებულ იქმნა მის მიერ მივიწყებულ და დამტვერიანებულ თაროდან „მარქსისტული მეთოდი" და ჰილფერდინგი შეუდგა იმის მტკიცებას და გამართლებას ეკონომიურათ თუ რისთვის და როგორ არის ქიმიური ინდუსტრიის კაპიტალი მუშათა კლასის მეგობარი, რისთვის ეთანხმება სოც.-დემოკრატიის ტაქტიკას სილვებერგის მოსაზრებანი და რატომ არის ბურჟუაზიულ პარტიებთან უმჭიდროესი თანამშრომლობა საჭირო და აუცილებელი. როგორც ცნობილია ძველად ჰილფერდინგმა დაწერა ერთი მნიშვნელოვანი წიგნი, რომელშიაც დღის სინათლეზე გამოათრია ფინანსიური კაპიტალის როლი, მისი გაუმაძღარი ექსპლოატაცია. ეხლა კი თავის ჟურნალში („Die Gesellschaft" № 10) იგივე ჰილფერდინგი ამტკიცებს სოც.-დემოკრატიულ ბლოკის აუცილებლობას ამ კაპიტალის პატრონებთან (სილვებერგთან, ლიუსბერგთან და სხ.)

ჰილფერდინგი ამტკიცებს, რომ გერმანულმა კაპიტალმა თავისი სტრუქტურა იცვალა და მსხვილ კაპიტალის ხელმძღვანელთა კადრში მრეწველთა ახალი ჯგუფები შევიდა „უბედური სტინესი" გატყდა და მისი ყოვლად შემძლე კონცერნები, რომელიც სახელმწიფოს იმორჩილებდა დაიღუპა, დაინგრა მსხვილი ინდუსტრია, რომელმაც ომის დროს დაჰკარგა დიდი ნაწილი წარმოების საფუძვლებისა. ეხლა მძიმე ინდუსტრიას მეორე ადგილი უკავია და არა პირველი, როგორც უწინ. სამაგიეროთ წელი გაიმართა ქიმიურ ინდუსტრიამ. საღებავთა ტრესტი ევროპის უძლიერეს მონოპოლიურ გაერთიანებას წარმოადგენს. „მაგრამ ეს ინდუსტრია, ამბობს ჰილფერდინგი, არ არის ისეთ უშუალო წინააღმდეგობაში მუშათა კლასისადმი, როგორც მძიმე ინდუსტრია"-ო.

ჰილფერდინგი ამტკიცებს: მძიმე ინდუსტრიაში შრომის ხელფასის ფონდი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოების საერთო ხარჯების ჯამში; ამიტომ ყოველივე ცვლილება ხელფასის და სამუშაო დარგში მძიმე პირობებში აყენებს წარმოების პატრონს.

ქიმიურ ინდუსტრიაში და დამამზადებელ ინდუსტრიაში— ამბობს ჰილფერდინგი—გაუმჯობესებულ ტეხნიკურ საშუალებათა, მონოპოლისტურ უფლებების და ზედმეტ მოგების გამო, რომელიც ინდუსტრიის ამ დარგს აქვს, ხელფასის ზრდა წინააღმდეგობას არ იწვევსო.

ჰილფერდინგის ეს ლამაზი თეორია არ ეთანხმება სინამდვილეს. ჰილფერდინგი ამბობს, რომ მძიმე ინდუსტრიის ხარჯების უმთავრეს „სტატიას" ხელფასის ხარჯები წარმოადგენს და დამამზადებელ ინდუსტრიაში ასეთი მდგომარეობა არ არისო. ფაქტია კი შემდეგი: რკინის წარმოების ინდუსტრიას (ტიპიური მძიმე ინდუსტრია) 260 ათასი მუშა ჰყავს, რკინის დამუშავების ინდუსტრიას (ე. ი. დამამზ. ინდუს.) კი ერთნახევარი მილიონი მუშა. ყველასათვის ნათელია, რომ ხელფასის ხარჯების ნაწილი პირველში ნაკლებს თუ არა, ყოველ შემთხვევაში მეტ პროცენტს არ წარმოადგენს შედარებით.

ქიმიური ინდუსტრია? ჰილფერდინგი რომ მართალი ყოფილიყო ამ ინდუსტრიაში მუშის ხელფასს უკვე უნდა დატყობოდა ამაღლების ტენდენცია და არა მხოლოდ უბრალო ამაღლება, არამედ გერმანელ მუშის ხელფასს უმაღლეს დონეს იქ უნდა მიეღწია. სინამდვილე კი წინააღმდეგს გვიჩვენებს. ანილინის წარმოების მუშები ეკუთვნიან ყველაზე უმდაბლეს ხელფასის მქონე პროლეტარებს გერმანიაში. ხელფასი მოიმატა მხოლოდ უმაღლესი კვალიფიკაციის მუშებს.

ხელფასის ყოველთვიური მიმოხილვა,—რომელსაც ჟურნალი „მეურნეობა და ტეხნიკა" სისტემატიურად აქვეყნებს გვიჩვენებს, რომ ქიმიურ ინდუსტრიაში მუშის ხელფასი ბევრჯერ ნაკლებია ვიდრე სამთამადნო და ლითონის ინდუსტრიაში (რაც მძიმე ინდუსტრიას ეკუთვნის). ჰილფერდინგი სტყუის.

ჰილფერდინგმა თავის წიგნიდანაც კარგად იცის, რომ კაპიტალის მაღალი ორგანიზაცია, მისი ტეხნიკური საშუალებათა პროგრესი, უფრო სწრაფი ზრდა წარმოების ნივთიერ საშუალებათა შრომის ხელფასის ფონდთან შედარებით, კლასთა წინააღმდეგობას კი არ სპობს არამედ აძლიერებს. დღეს კი კაპიტალის ტეხნიკურად მაღალი ორგანიზაცია ხორციელდება „რაციონალიზაციის" საშუალებით ე. ი. მუშათა კლასის მეტი გა[illegible]ებით ვიდრე ეს ომამდე იყო.

ქიმიური, თუ მძიმე ინდუსტრია ეჯიბრება ერთმანეთს იმაში, რომ წარმოების ხარჯების შემცირება „რაციონალიზაციის" საშუალებით ხელფასის ხარჯზე იქმნეს გატარებული. და თუ საღებავის ტრესტი, რომლის თავმჯდომარე ჰილფერდინგის მეგობარი ლიუსბერგია, ზედმეტ მოგებაში „იღრჩობა"—ეს იმის გამო, რომ ხელფასის შემცირებას ატარებს და მუშებს ქუჩაში „გამოარაციონალიზაციებს" (ეს მოდაში შემოსული ახალი გამოთქმაა).

ჰილფერდინგმა ყველაფერი ეს კარგად იცის, მაგრამ სოც. დემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტს დღეს კოალიციის გასამართლებელი თეორია ესაჭიროება.

ზემომოყვანილით ჩვენ იმის აღნიშვნა გვსურდა, რომ გერმანიის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა და სოც.-დემოკ. ხელმძღვანელთა შორის წინასწარ „ნოტების" გაცვლა მოხდა. სილვებერგმა ინდუსტრიელთა კონგრესზე საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა და ჰილფერდინგმა უპასუხა თეორიული წერილით: ორთავემ სცნო მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა.

ამ ამბავს დაუყოვნებლივ მოჰყვა შედეგი. პრუსიის მთავრობის თავმჯდომარემ ს.-დემოკრატ ოტტო ბრაუნმა (რომელმაც ერთი თვის წინ ყოფილ კაიზერისათვის 500 მილიონის მიცემის შეთანხმებას ხელი მოაწერა) ოფიციალურად მიიღო თავის თავზე მზრუნველობა დიდი კოალიციის შედგენაზე. ეს ბრაუნი სოც.-დემოკრატიული პარტიის, გამოჩენილი „პრაქტიკოსია".

უკვე ორთვენახევარია, რაც გერმანიის პოლიტიკას დიდი კოალიციის აჩრდილი დასტრიალებს თავზე. მაგრამ ჯერ კიდევ სისრულეში არ არის მოყვანილი, რადგან გერმანიის ფაშიზმის რაინდები ჯორზე ჯერ კიდევ არიან შემჯდარი. სოც.-დემოკრატიის ხელმძღვანელნი კი დღითი დღე ახალ დათმობაზე მიდიან მთავრობის და მთავრობის პარტიების მიმართ, რათა დიდი კოალიციის განხორციელებას ხელი არ შეუშალონ. ერთი თვის წინ ჩვენ დავინახეთ, როგორ მოიქცა სოც. დემოკრატიული ფრაქცია ჰოჰენცოლერნის შეთანხმების დამტკიცების დროს. 20 დღის წინ ჩვენ ვიხილეთ სოც. დემოკრატიული ფრაქციის საქციელი, როდესაც ჰინდენბურგის უფლებების გაფართოების კანონპროექტი იდგა დღის წესრიგში; დღეს ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ დასცინის უმუშევართა ინტერესებს იგივე სოციალ-დემოკრატია.

⁂

უმუშევართა რიცხვი გერმანიაში საზღაპრო რიცხვს აღწევს. გერმანიას 3 მილიონი უმუშევარი ჰყავს. ამათგან მხოლოდ ერთნახევარი მილიონი იღებს უმუშევართა დახმარებას. დიდი ნაწილი მოკლებულია ამ დახმარებას.

გერმანელი მუშა, ის პროფესიონალური კავშირის წევრია, უმუშევრობის შემთხვევაში იღებს მცირეოდენ დახმარებას განსაზღვრულ დროს და თუ ის ამ დროის განმავლობაში სამუშაოს ვერ იშოვის, მას მოუსპობენ დახმარებას და თავის ოჯახით ქუჩაზე რჩება. უწინ ეს დრო (დახმარების ვადა) განისაზღვრებოდა 39 კვირით. კატეგორიულ მოთხოვნის და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მუშებმა მიაღწიეს იმას, რომ ვადა გაგრძელებული იქნა 52 კვირამდე. მუშების გაჭირვებას ცხადია ეს არ შ[illegible]ის. 3 მილიონს ყოველდღიურად ახალი უმუშევართა კადრები ემატება. სამუშაოს სად იშოვი, როდესაც ყველა ქარხნები მუშების რიცხვს ამცირებს. მაგრამ გერმანიის შრომის მინისტრისათვის ესეც არ არის საკმარისი. მისი წინადადებით უმუშევართა დახმარების ვადა ისევ შემოკლებულ უნდა იქნეს 52 კვირიდან 39 კვირამდე. ამის შემდეგ უმუშევარი გადარიცხული იქნება ახალად დაარსებულ „ქველმოქმედების ფონდის" ხარჯზე. ამ წერილში ბევრ ადგილს დაიკავებდა იმის განხილვა, თუ რას წარმოადგენს ეს ახალი „საქველმოქმედო ფონდი" (ე. წ. Kriegstürsorge), აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს ფონდი ფაქტიურად არ არსებობს, ის ფიქციაა და ეს პროექტი რესპუბლიკის შრომის მინისტრისა ახალი ტრიუკია, რომლის ფაქტიური „ღირებულება" იმაშია, რომ უმუშევრებმა დაჰკარგონ ის ყოვლად საცოდავი დახმარებაც კი, რომელსაც ეხლა იღებენ.

კომუნისტურმა ფრაქციამ კონტრ-მოთხოვნილება წარადგინა რეიხსტაგში: უმუშევართა დახმარების ვადა სრულიად არ იქმნეს განსაზღვრული, უმუშევარი, დახმარებას უნდა იღებდეს მთელი თავისი უმუშევრობის პერიოდის განმავლობაში.

საკითხი გადასცეს რეიხსტაგის სოციალ-პოლიტიკურ კომისიას. პირველი შეხედვით ვინმეს ეგონებოდა, რომ ამ კომისიაში სასწაული მოხდა: კომუნისტურ წინადადებას უმუშევართა დახმარების ვადის განუსაზღვრელობის შესახებ ხმა მისცა სოციალ-დემოკრატებმა და ნაციონალურმა პარტიამ და ამგვარად წინადადება გავიდა დიდი უმრავლესობით (ს.-დ. ნაც.-პარტია და კომ.). ეს „სასწაული" მალე გამოირკვა: ნაციონალისტურ პარტიის და სოც. დემოკრატიის ბლოკმა ყოვლად უშნო დემაგოგიური მოსაზრებით მისცა ხმა უმუშევართა დახმარების წინადადებას. მაგრამ კანცლერმა მარქსმა რეიხსტაგის დადგენილება გააუქმა და გასცა ბრძანება გერმანიის შრომის მინისტრის პროექტის გატარებისათვის. და იგივე რეიხსტაგი, რომელმაც გუშინ სოციალ-პოლიტიკურ კომისიაში უმუშევართა დახმარების დროის განუსაზღვრელობის დადგენილება მიიღო, თავისი სოც.-დემოკრატიულ-ნაციონალისტურ უმრავლესობით ენას არ სძრავს...

ეს და მრავალი ასეთი მანიოვრები სოც.-დემოკრატიულ პარტიისა უკანასკნელ თვეების განმავლობაში, შედეგია იმ „კოალიციის", რომელიც თავისი დაბადებისთანავე „წყნარი კოალიციის" სახელით იქნა მონათლული (Stille Koalition).

⁂

ბურჟუაზიული გაზეთი „ბერლინერ ფოლკსცაიტუნგ" გვაცნობებს ამ კოალიციის შესახებ: „სოც. დემოკრატების და მთავრობის პარტიების წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკების დროს სოც.-დემოკრატებმა თანხმობა განაცხადეს: კანონმდებლობის ხასიათის მქონე საკითხების გარჩევის დროს სოც. დემოკრატია ყოველ ცალკე შემთხვევაში წინასწარ შეუთანხმდება მთავრობის პარტიების წარმომადგენლებს„-ო. „ყოველ ცალკე შემთხვევაში" „წინასწარ", „ჩუმად"—აი რისთვის უწოდებენ ამ კოალიციას „წყნარს".

მეორე ბურჟუაზიული გაზეთი („ბერლინერ ტაგებლატ") გვაცნობებს: „რეიხსტაგის სოც.-დემოკრატიული ფრაქცია იმ აზრის არის, რომ „წყნარი კოალიცია" ხანგრძლივი არ არის. შესაძლებელია მხოლოდ ალტერნატივა: ან რეიხსტაგის დათხოვა, ანდა დიდი კოალიციის შედგენა. მაგრამ არც ერთი ფრაქცია იმ აზრის არ არის, რომ რეიხსტაგის დათხოვა სასარგებლო იყოს, ამიტომ დიდი კოალიცია უახლოეს მომავალში ხელშესახებ ფორმას მიიღებს".

საკითხავია: რისთვის არიან სოც.-დემოკრატიიდან დაწყებული ფაშისტებით დამთავრებული ყველანი იმ აზრის, რომ რეიხსტაგის დათხოვა მათთვის სასარგებლო არ არის?

პოლიტიკური განწყობილება გერმანიაში დღეს სდგას ფართე მასსების მარცხნით მოძრაობის ნიშნის ქვეშ. 3 მილიონი უმუშევარი, ცხადია, არ გაჰყვება სოც.-დემოკრატიულ გზას, ტრესტების კაპიტალთან კოალიციის გზას. ათეული მილიონი გერმანიის პროლეტარიატი, რომლის უკანასკნელ სისხლს სწოვს „რაციონალიზაცია", ძველებური ნდობის თვალით ვერ შეხედავს სოც.-დემოკრატიას, რომელიც ერთგულად იცავს „რაციონალიზაციის" გატარებას გერმანიის მეურნეობაში. 15 მილიონი მოქალაქე, რომელმაც მოითხოვა ყოფილი მეფის გვარეულობის ქონების სრული ჩამორთმევა და რომელსაც სოც.-დემოკრატიამ უღალატა ცხადია ისეთივე გულუბრყვილობით არ უყურებს საქმეს, როგორც უწინ.

⁂

სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანომ „ფორვერტს"-მა უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში დაჰკარგა საგრძნობი ნაწილი ხელისმომწერთა. მე არ შემიძლია ერთ საინტერესო ფაქტზე არ შევაჩერო მკითხველის ყურადღება. მოხდა პარტიის ისტორ[illegible]უმო სკ[illegible]ნდალი. სოც.-დემოკრატიის [illegible] პარტიულ ორგანიზაციებმა „ფორვერტ[illegible]ტი გამოუცხადეს და შესწყვიტეს [illegible]ერა. რედაქცია იძულებული შეიქნა [illegible] წერილით მიემართა მათთვის, რომ ეს [illegible] ისტორიას რომ არ ახსოვს ისეთი სკან[illegible] გთხოვთ ბოიკოტი მოხსნათო. ერთი [illegible]რილი ამ დღეებში გამოაქვეყნა „რო[illegible] მომყავს ნაწყვეტი ამ წერილიდან. „[illegible] ვაძლევთ თავს გიპასუხოთ თქვენ წ[illegible]რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ გვაცნ[illegible]ომ თქვენ „ფორვერტს"-ის გამოწ[illegible]ყვეტით. აზრთა სხვადასხვაობა პარ[illegible]იკის შესახებ პარტიის დასაწყისიდა[illegible]ბდა. პარტიაში, რომელსაც 8 მ[illegible]მრჩეველი ჰყავს... აზრთა სხვადასხ[illegible]ლებელია. მაგრამ ერთი კი ამდენ ხ[illegible]ბელი იყო ეს ის, რომ სოც.დემოკრატ[illegible]ტიკის ტაქტიურ საკითხებში უთანხ[illegible] პარტიული ორგანოსათვის ბო[illegible]უცხადებიათ".

ფაქტი გერმანიის მუშა[illegible]ანდათანობით რადიკალიზაცია, მა[illegible] მოძრაობისა უტყუარია. ეს აღიარეს [illegible] პარტიებმაც-კი, საქსონიის ლა[illegible] არჩევნებმა და საქსონიაში და ბადენში [illegible]რებით დათვითმართველობაში [illegible] ინდუსადასტურეს ეს ფაქტი. [illegible] ამ არჩევნეტრიელთა მთავარი ორ[illegible] არჩევნებისა) ბის მეორე დღეს: „ეს [illegible]რის, რომელიყველაზე უფრო მძიმე [illegible] ანიცადა მალიც კი ლეიპციგის ბ[illegible] უკანასკნელ რქსიზმის წინააღმდეგ [illegible] წლებში"-ო.

მოგვყავს შედარები[illegible] არჩევნებისა მთელ საქსონიაში 192[illegible] 1926 წლის.

	ლანდტაგის არჩევ. 1922 წ.	რეიხსტა[illegible] არჩევ. 19[illegible]	[illegible]ტაგის არჩ. ოქტ. 26 წ.
გერმანიის სახალხო პარტიამ მიიღო	474.708	409.720	[illegible]79
დემოკრატებმა — — —	214.189	192.082	[illegible]51
გერმანიის ნაციონალურ პარტიამ	482.469	546.964	[illegible]65
სოც. დემოკრატიულ პარტიამ მიიღო	1.060.247.	986.20[illegible]	[illegible]42
კომუნისტურ პარტიამ მიიღო	266.864	294.45[illegible]	[illegible]12

ციფრები არავითარ ახსნა-განმარტებას არ მოითხოვს. ყველა პარტიები კარგავენ ამრჩევლებს. კომუნისტური პარტიის გავლენა კი შეურყევლივ იზრდება.

საქსონიის ლანდტაგის მანდატები შემდეგნაირად განაწილდა.

კომ. ჰქონდა	10 მანდატი,—ეხლა აქვთ	14
სოც. დემოკრატებს	40	31
დემოკრატებს	8	5
გერ. სახ. პარტიას	19	12
გერ. ნაც. პარტიას	19	14

ასეთი სულისკვეთების პირობებში ყველა პარტიები, გარდა კომუნისტებისა წინააღმდეგი არიან რეიხსტაგის ახალი არჩევნებისა. ეშინიათ ფათერაკი არ დაგვემართოსო. ამიტომ პარტიები კოალიციას ირჩევენ და წინააღმდეგი არიან რეიხსტაგის დათხოვნისა.

მაგრამ ბურჟუაზიის ეს არჩევანი კიდევ უფრო გაამწვავებს დამოკიდებულებას მუშათა კლასის და რეიხსტაგის შორის.

ბურჟუაზიის და ს[illegible] კოალიციის კოალიციამ გამოიწვია მე[illegible] კოალიცია გერმანიის პროლეტ[illegible]მანიის მუშათა მთლიანი ფრონტ[illegible]ბის გამომხატველი იქნება სრულ[illegible] მშრომელთა კონგრესი, რომელი[illegible] გაიხსნება ახლო მომავალში და[illegible] სოც-დემოკრატიის საბჭოთა[illegible]ხანამ, ყოველმა უმ[illegible] ყოველმა ქარხიდან აირჩია წარმო[illegible] ყოველ კუთკონგრესის მიზანი[illegible] ორგანიზაციული გამოხატულ[illegible]ერმანიის პროლეტარიატის ერთი[illegible] ერთობას კონცერნ-ტრესტების კა[illegible] წინააღმდეგ და მშრომელთა საერთო[illegible] გამარჯვებისათვის. ამ კონგრესზე გა[illegible] სილვებერგი [illegible] ჰილფერდინგი ვერ გა[illegible].

მეგრელიძე.

ბერლინი, 21 ნოემბე[illegible]

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ლენინის გზით

29 ნოემბერს შესდგა ჭიათურის პარტაქტივის კრება, რომელსაც დაესწრო ა. ლ. კომკავშირის აქტივიც. კრებაზე ვრცელი მოხსენებით საკავშირო კომპარტიის მე-15 პარტკონფერენციის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. პ. საყვარელიძე. მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

„შორაპნის მაზრის პარტიული და კომკავშირის აქტივის კრება მოისმენს რა მან ამხ. პ. საყვარელიძის მოხსენება მე-15 პარტკონფერენციის შესახებ, პირობას დებს, რომ ის სისწორით გაატარებს ცხოვრებაში პარტკონფერენციის ყველა დადგენილებებს.

ამასთანავე კრება აღნიშნავს, რომ: 1) მე-15 კონფერენცია სავსებით ჩატარდა ლენინიზმის დროშის ქვეშ.

2) კონფერენციამ ღირსეულად შეაფასა ახლათ მოვლენილი ოპოზიციის მუშაობა, რომელიც მიმართული იყო ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობის დადგენილების გაბათილებისაკენ და ამავე ყრილობაზე არჩეულ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ.

3) თავის გამოსვლებით მე-15 პარტკონფერენციაზე ოპოზიციამ თვალსაჩინოთ დაამტკიცა, რომ ის ჩამოშორდა ლენინიზმის გზას მთელ რიგ ძირითად საკითხებში.

კრება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ ოპოზიციამ უარყო ბრძოლა ფრაქციული საშუალებებით, ის (ოპოზიცია) მაინც არ სტოვებს თავის შემცდარ შეხედულებებს. ამიტომ კრებას საჭიროთ მიაჩნია მოუწოდოს პარტიის ყველა წევრებს:

1) სასტიკად ებრძოლონ ყოველგვარ გადახრას ლენინიზმის გზისაგან.

2) გამოააშკარავონ ოპოზიციის შემცდარი თვალსაზრისი და განმარტონ, რომ ოპოზიციის ხაზით სიარული სრულ დაღუპვამდე მიიყვანს პარტიისა და ოქტომბრის რევოლიუციას.

კრება აღნიშნავს, რომ მე-15 პარტკონფერენციის დადგენილებების სრულად და უკლებლივათ ცხოვრებაში გატარება, რასაც ხელი უნდა შეუწყოს პარტიის თვითეულმა წევრმა, საუკეთესო თავდებია იმისათვის, რომ ჩვენ წავიდეთ ლენინის მიერ ნაჩვენები სწორი გზით სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს მთლიანს საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის გამოცდილ ბელადსა და ხელმძღვანელს ცენტრალურ კომიტეტს!

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ამხ. ფ. მახარაძე ოზურგეთში

ოზურგეთი, 1 დეკემბერი. ოზურგეთში ჩამოსვლისას ამხ. მახარაძემ დაათვალიერა აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა, ბავშვთა თავშესაფარი და ჯერ მოუთავებელი სადგური. ამხ. მახარაძემ პარტიულ კრებაზე მოხსენება გააკეთა „მე-15-ე პარტკონფერენციის შესახებ". (ადს).

ბრძოლა ტუბერკულოზთან

ქუთაისი, 1 დეკემბერი. ქუთაისის ტუბერკულოზო დისპანსერში უკანასკნელ 6 თვეში გატარდა 850 პირველი სტადიის ავადმყოფი და 2500 მეორე სტადიის. მთელ ამ ხნის განმავლობაში ტუბერკულოზის დისპანსერმა მოახდინა 250 სოციალური გამოკვლევა. მკურნალობის კურსი ტუბერკ. დისპანსერში ჩვეულებრივ არ აღემატება ორ თვეს. ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფები იმდენად ჯანმრთელდებიან, რომ მატულობენ წონაში 2-6 კილოგრამამდე. (ადს).

პასტერის ქვესადგურის მუშაობა

ქუთაისი, 1 დეკემბერი. ქუთაისის პასტერის ქვესადგურმა 23 აგვისტოდან 1-ლ დეკემბრამდე დახმარება აღმოუჩინა ცოფიან ცხოველებისაგან დაკბენილ 124 ავადმყოფს. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფთ შორის მრავალი იყო ძლიერ დაკბენილი, სიკვდილის შემთხვევას მაინც არ ჰქონია ადგილი. ქვესადგურს აქვს 10 საწოლიანი ოთახი ავადმყოფებისათვის. (ადს).

ვენერიული დისპანსერი

ქუთაისი, 1 დეკემბერი. ქუთაისის ვენერიულმა დისპანსერმა დახმარება აღმოუჩინა [illegible] კაცს. დღემდე დისპანსერი უწევდა უფასო დახმარებას, მაგრამ ამჟამად დახმარება უკვე ფასიანია. დისპანსერის საექიმო პერსონალი აწარმოებს ფაბრიკების, ქარხნების, სასურსათო, გასტრონომიული მაღაზიებისა და პურის საცხობების გამოკვლევას, კვირაობით დისპანსერში იკითხება ლექციები. (ადს).

საკრედიტო ამხანაგობის დაარსება

ახალ სენაკი, 1 დეკემბერი. ახალ-სენაკში მუშაობას შეუდგა ახლათ მოწყობილი საკრედიტო საზოგადოება. (ადს).

საბჭოთა საქართველო

დახმარება ლენინაკანს

ახალქალაქი, 1 დეკემბერი. ყველა თემებში მოეწყო კომისიები მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ. შემოწირულებების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს. ამ დღეებში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სამაზრო კომისიამ მოაწყო საღამო, რომელმაც 1000 მანეთის წმინდა მოგება დასტოვა. (ადს).

ქუჩების დანომვრა

ახალქალაქი, 1 დეკემბერი. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა დაამტკიცა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის პროექტი, ქუჩების სახელების რიგის ნომრებით შეცვლის შესახებ. (ადს).

აჭარისტანი

სახლების შეკეთება

ბათომი, 1 დეკემბერი. მიმდინარე წელს ქალაქის აღმასკომმა 10.000 მანეთი გადასდო კომუნალური სახლების შესაკეთებლათ. (ადს).

ნავთსადენის მილების გამოცვლა

ბათომი, 1 დეკემბერი. ნავთის სინდიკატი შეუდგა მუშაობას ნავთსადენის ნავთის-მილების გამოსაცვლელათ: ძველი ხუთდიუმიანი მილები შეცვლილ იქნება 10 დიუმიანი მილებით, რაც მნიშვნელოვნათ დააჩქარებს გემებში ნავთის ჩასხმას. მუშაობა ჯდება 1 მილიონი მანეთი. (ადს).

ნავთსადგურში

ბათომი, 1 დეკემბერი. ბათომის ნავთსადგურში უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია მოძრაობის გაცხოველება, 29 ნოემბერს ნავთსადგურში გადასატვირთათ და დასატვირთათ იდგა 12 უცხოეთის გემი. კიდევ მოვიდა იტალიის ორი სამხედრო ტრანსპორტი ნავთის პროდუქტების წასაღებათ. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

გრეხილ-ავეჯის ფაბრიკა

ცხინვალი, 1 დეკემბერი. სამხრეთ-ოსეთის ლერწამმა მოსკოვის, ლენინაკანის და ოდესის რამოდენიმე სხვილ წარმოებათა ყურადღება მიიპყრო. ამ დღეებში მოსკოვიდან სამხრეთოსეთის გრეხილ-ავეჯის ფაბრიკა გრეხილ-ავეჯის დიდ შეკვეთას მიიღებს. (ადს).

წერილები

ტყის მტაცებლობას ბოლო უნდა მოეღოს

(წერილი შორაპნის მაზრიდან)

ტყეების მნიშვნელობაზე ბევრი დაიწერა და კიდევ მეტი ითქვა. მიუხედავად ამისა ტყის დაუზოგავათ განადგურება მაინც გრძელდება აქა-იქ. რატომ ხდება ეს? რასაკვირველია, ვერავინ იტყვის, რომ გლეხს, რომელიც ტყეს სჩეხავს, არ ესმის რა ბოროტებას სჩადის ის. მას ამის ახსნა-განმარტება არ ესაჭიროება. ამიტომ აქ აგიტაცია-პროპაგანდას ტყის მნიშვნელობის შესახებ იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია იმ მიზეზების გამოკვლევა, რომელიც ხელს უწყობს ტყის მტაცებლობას.

ამგვარი მიზეზები კი საკმაოზე მეტია. არის შემთხვევები, როცა მაზრების საზღვრებზე მდებარე სოფლებს ფულადაც კი ეკრძალებათ მოსჭრან ტყე მოსაზღვრე მაზრაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სხვა მაზრის არიან. არის აგრეთვე ისეთი მაგალითებიც, როცა ტყეს არ აძლევენ ღარიბ გლეხებს შეღავათიან ფასებში, ურომლისოდაც ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას შეიძინონ ხე-ტყე.

სოფელი კი შეუჩერებლივ იზრდება. ეს ზრდა მოითხოვს ახალ საშენ მასალას. ამასთან ერთად ცვდება ძველი ნაშენობა და ხის იარაღები. ტყის მოთხოვნილება დღითი-დღე მწვავდება. საჭიროა ამას ანგარიში გაეწიოს. აკრძალვით და პროპაგანდით ჩვენ ტყეს ვერ დავიცავთ განადგურებისაგან. უნდა გამოიძებნოს საშუალებანი გლეხთა მოთხოვნილების ნორმალურ პირობებში ტყით დასაკმაყოფილებლათ. მაშინ უთუოდ იკლებს ტყის უთავბოლოთ დატაცება.

მაგრამ არიან ასე ვსთქვათ ტყის პროფესიონალი მტაცებლები. ესენი ტყეს ანადგურებენ სხვადასხვა ანგარების მიზნით. ისინი ვაჭრობენ, მოურიდებელ სპეკულიაციას ეწევიან სახელმწიფო საქონელზე. ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია აქ ის გარემოება, რომ ამგვარ მტაცებლობას ხელს უწყობს ზოგიერთი ულირსი ტყის მუშაკი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სასტიკი და დაუყოვნებლივ ზომების მიღება დამნაშავის წინააღმდეგ.

რამდენად დასაშვებია, მაგალითად, ის, რაც ჩხარის რაიონში მოხდა? გლეხები შეესიენ ტყეებს და სჩეხავენ დაუზოგავათ. ზოგიერთ მათგანს: ნიკოლა ქოჩიაშვილს და მოსე მარუაშვილს კიდევაც აღმოუჩინეს მოჭრილი მასალა. მაგრამ ადგილობრივ ტყის მუშაკებმა ამას ხელი დააფარეს.

ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა ტყის დაცვის საქმეში. ღარიბ და საშუალო გლეხობას უნდა შეუქმნათ პირობები ტყით ნორმალურად სარგებლობისა, ხოლო რაც შეეხება ბოროტმოქმედ ტყის ადმინისტრაციას, ის მაგარი წკეპლით უნდა გაიდევნოს ტყის დაცვის საქმიდან.

მელამური.

ჩვენი ჩამორჩენილობის მიზეზი

(წერილი ქვემო-სვანეთიდან).

ქვემო სვანეთისა და ხარ-ურმით ტვირთის ზიდვაზე ლაპარაკი ზედმეტია. ცხენითაც ძალიან ძნელია ამ რაიონში რამეს ვატანა. ამიტომ არის, რომ სვანეთში ზოგიერთი მასიური მოხმარების საგნები ორჯერ მეტი ღირს, ვიდრე ქ. ცაგერში, თუმცა არც იქ არის დიდი იაფობა.

მაგალითად: ცაგერიდან ქვემო სვანეთში სამი ფუთი მარილის ატანას ცხენი და კაცი უნდება 2 დღეს. ცხენი ღირს დღეში 2 მ. 50 კ.-დან 3 მ. კაცის ქირა კი—1 მ. 50 კ. ასე რომ სვანეთში ატანილ სამ ფუთ მარილს ემატება 9 მანეთი. ეს არის უმთავრესი მიზეზი ქვემო სვანეთის ეკონომიურ სიბეჩავის და უკულტურობისა. ასეთ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს, ზოგიერთი ულირსი საბჭოთა მუშაკების მოქმედება.

ქვემო სვანეთში ხე-ტყის ექსპლოატაციას აწარმოებს რკინის გზის სატყეო განყოფილება, რომელითაც ძალზე უკმაყოფილოა ხე-ტყეზე მომუშავე სვანები. აქ მოკალათებულან ისეთი პირები, რომლებიც ყოველნაირი ხელისუფლების დროს იჯაბნებდნენ მშრომელ გლეხობას და არც ახლა აკლებენ ხელს.

ასე მაგალითად, სატყეო განყოფილებას გაუცია სვანებზე სამუშაო ნარდათ და ხელშეკრულება დაუდვია, თუ სვანები ნარდათ მუშაობაში აზარალებდნენ. რკინის გზის სატყეო განყოფილება ვალდებული იქნება ხელფასი მისცეს დღიური მუშაობის მიხედვით. ეს შესრულებული არ იქნა. სვანებს კი საშუალება არა აქვთ უგზო-უკვლობის და უცოდინარობის გამო სდიონ თავიანთ საქმეს.

ლეჩხუმის ხელისუფლება უკვე შეუდგა გზების გაყვანას, მაგრამ პირველ რიგში, ქალ. ცაგერში მიმავალი გზა სდგას (ცაგერ-ორბელის გზა), რომლის გაყვანაში 40 ვერსის მანძილიდან ჩამოსული სვანებიც ღებულობენ მონაწილეობას.

ეს გზა მალე დამთავრდება, რომელიც დიდ შეღავათს მისცემს ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებლებს. გზის დამთავრების შემდეგ ჯერი მიმდგარია ცაგერ ქვემო სვანეთის გზაზე. რასაკვირველია, ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ აუცილებელია, ისეთი გზა მაინც გაეიყვანოთ, რომ შესაძლებელი იქნეს მაარხილით და ლეჩხუმურ არაჩა უღემით მოგზაურობა.

ნ. ჩალაძე.

მუშათა ცხოვრება

მისაბაძი მუშაობა

სადგ. თბილისის მოძრაობის დარგთან არსებული მეორე განყოფილების შემფასებელი საკონფლიქტო კომისია პირველ იანვრიდან 21 ოქტომბრამდე ასეთ მუშაობას აწარმოებდა. მიმდინარე წლის **იანვრის** თვეში კომისიას ჰქონდა ოთხი სხდომა. გაირჩა 33 საკითხი. აქედან მუშათა სასარგებლოდ გადაწყდა 15 საკითხი, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 14, მომრიგებელ კამერას გადაეცა 4 საკითხი.

მომრიგებელ კამერამ საკითხების 50 პროც. გადასწყვიტა მუშათა სასარგებლოდ, მხოლოდ ამდენივე ადმინისტრაციის სასარგებლოდ.

თებერვალში შესდგა ორი სხდომა, გაირჩა 18 საკითხი, აქედამ მუშათა სასარგებლოდ—12 საკითხი, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 6 საკითხი, მომრიგებელ კამერას გადაეცა ერთი საკითხი, რაც მუშათა სასარგებლოდ გადაწყდა.

მარტში შესდგა 3 სხდომა. გაირჩა 38 საკითხი, აქედან მუშათა სასარგებლოდ 25 საკითხი, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 1 საკითხი; მომრიგებელ კამერას გადეცა 5 საკითხი, უკანასკნელმა სამი საკითხი გადასწყვიტა მუშათა სასარგებლოდ, ხოლო ორი ადმინისტრაციის სასარგებლოდ.

აპრილში სხდომა სამჯერ შესდგა. გაირჩა 50 საკითხი. აქედან 25 მუშების სასარგებლოდ, 21 ადმინისტრაციის სასარგებლოდ, ხოლო მომრიგებელ კამერას გადაეცა ხუთი საკითხი. მომრიგებელ კამერამ მუშათა სასარგებლოდ გადასწყვიტა ორი საკითხი, ხოლო განურჩეველი დარჩა ერთი საკითხი. ადმინისტრაციის სასარგებლოდ ორი საკითხი.

მაისში სხდომა შესდგა ორი; გაირჩა 22 საკითხი. აქედან მუშათა სასარგებლოდ 10, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 11 საკითხი. მომრიგებელ კამერას გადაეცა ერთი საკითხი, რაც მუშების სასარგებლოდ გადაწყდა.

ივნისში სხდომა იყო სამჯერ. გაირჩა 34 საკითხი. აქედან მუშათა სასარგებლოდ 16, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 13, მომრიგებელ კამერას გადაეცა 5. აქედან მუშათა მხარის სასარგებლოდ გადაწყდა ოთხი საკითხი, განუხილველი დარჩა 1 საკითხი.

ივლისში სხდომა შესდგა 3; გაირჩა 36 კონფლიქტი. აქედან მუშათა სასარგებლოდ 22, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 11, მომრიგებელ კამერას გადაეცა 4.

აგვისტოში სხდომა მოწვეულ იქნა 2. გაირჩა 19 საკითხი. მუშათა სასარგებლოდ 10 საკითხი, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 5 საკითხი, მომრიგებელ კამერას გადეცა სამი საკითხი. კრებამ მუშათა სასარგებლოდ გადაწყვიტა 75 პროც.

სექტემბერში სხდომა იყო 4. გაირჩა 23 საკითხი, მუშების სასარგებლოდ—11 საკითხი, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 9 საკითხი, მომრიგებელ კამერას გადაეცა სამი საკითხი, რაც მუშათა მხარის სასარგებლოდ გადაწყდა მთლიანად

ოქტომბერში იყო ოთხი სხდომა. გაირჩა 30 საკითხი. აქედან ადმინისტრაციის სასარგებლოდ —10; მუშათა მხარის სასარგებლოდ 16 საკითხი, მომრიგებელ კამერას გადაეცა სამი საკითხი, ერთი საკითხი დარჩა განუხილველი.

საერთოდ მთელი კონფლიქტების 60 პროც. გადაწყვეტილი იქნა მუშათა სასარგებლოდ.

საანგარიშო ხნის განმავლობაში 77 კაცს მიეცათ ხარისხების განსხვავება; 920 კაცს მიეცათ მივლინების ფული, ხოლო 920 კაცს მიეცა სავერსტო ჯილდო.

ჩვენი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია ენერგიულ მუშაობას აწარმოებს როგორც ადმინისტრაციის, ისე მუშათა მხარის სასარგებლოდ, რაც იწვევს წარმოების აწევა-გაჯანსაღებას.

შემფასკომის ასეთი მუშაობა სწორედ მისაბაძია.

მუშკორი განყენებული.

მოჯამაგირეთა შორის

(წერილი ლეჩხ. მაზრიდან)

ა. წ. 16 სექტემბრიდან ლეჩხ. მაზრის მიწა-ტყის კავშირის მიერ მაზრის ოთხ რაიონში—ცაგერის, ლაილაშის, ჭრებალოს და მექვენისაში ჩამოყალიბებულია მოჯ. ადგილკომები 5—5 კაცის შემადგენლობით. ხოლო ორ თემში არსებობს მოჯამაგირეთა სარწმუნოებლო.

აღნიშნული ადგილკომები და რწმუნებულები გამოყოფილნი არიან თვით მოჯამაგირეთა წრეებიდან, რომლებსაც ხელმძღვანელობს ადგილობრივი ახ.-ლ. კავშირის უჯრედისა და თემკომის მიერ მიმაგრებული თითო აქტიური კომკავშირელი.

ზემოდ აღნიშნული ოთხი ადგილკომი და ორი სარწმუნებლო ჯერ-ჯერობით აერთიანებს 92 მოჯამაგირეს. მათ შორის მოჯამაგირე 42 და შეგირდები 50. წერა-კითხვის უცოდინარია 28, ხოლო დანარჩენი 64. მცირე-მცოდნეებთა შორის კ. კ. წევრებია—15; კომპარტიის—1 და უპარტიო კი 76.

აღნიშნულ 92 მოჯამაგირეში ქალი არის 29 და დანარჩენი მამა-კაცია. ეროვნების მიხედვით 90 ქართველია და 2 სომეხი.

მუშაობა, როგორც ასეთი ჯერ-ჯერობით არ არის სავსებით ჩამოყალიბებული და მიმდინარეობს თანდათანობით.

ხელშეკრულების დადებისას უდიდესი ყურადღება ექცევა მოჯამაგირის დაზღვევას, სამუშაო საათების განსაზღვრას, ხელფასის მიცემას თავის დროზე, სასმელ-საჭმლის, ტანისამოსის მიცემას და მათ შვებულება-დასვენების დღეებს.

ადგილკომების სხდომებზე იწვევიან როგორც მოჯამაგირენი, ისე შეგირდებიც, სადაც კეთდება მოხსენება შრომის კანონებზე, კავშირის მნიშვნელობაზე და სხვადასხვა საჭირო საკითხებზე.

დოდლი.

მუშათა ქრონიკა

— **ექსკურსია.** ამას წინედ მოეწყო სამტრედიის მუშა-მოსამსახურეთა მასიური ექსკურსია ოჯახის წევრებითურთ საჯევახოს ხიდის დასათვალიერებლად.

— **პურის საცხობი.** სადგ. სვირის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება სთხოვს „ზაკტპო"-ს გამგეობას, რათა გაიხსნას პურის საცხობი მუშებისათვის.

— **დახმარება ინგლისელებს.** სამტრედიის მუშებმა გაიღეს ერთი პროც. ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ.

— ასეთივე დახმარება გაუწიეს ინგლისის გაფიცულ მუშებს შავი ზღვის რკინის გზის მუშებმა.

— **მოწოდება.** „ზაკტპო"-ს გამგეობა მოუწოდებს რკინის გზის ყველა კავშირის შეგნებულ წევრებს, რათა ჩაეწერონ „ზაკტპო"-ს წევრებად და გაამაგრონ კოოპერატივის რიგები.

— **ბავშვთა მოედნის მოსაწყობად.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ ბავშვთა მოედნის მოსაწყობად გადასდო 100 მანეთი.

— **160 მანეთი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ ოქტომბრის რევოლუციის ბელადების სურათების შესაძენად გაიღო 160 მანეთი.

— **შრომის გმირი.** ა.-კ. რკინის გზის საწარმოო თათბირმა გარაჟის მექანიკი ამხ. თ. მაჩაიძე—აღიარა შრომის გმირად.

— **გამოკვლევა.** თბილისის საუბნო პროფკავშირმა მოახდინა კახეთის ხაზის ადგილკომების მუშაობის გამოკვლევა.

— **შეკეთება.** ა.-კ. რკ. გზ. სალიანდაგო სამსახურის ნაწილმა უკვე დაამთავრა სადგ. ქსანის და მარელისის ხიდების საფუძვლიანი შეკეთება.

— **შეშის გაცემა.** რკინის გზის მთავარ საწყობში შეშის გაცემა შესწყდა 23 ნოემბრიდან.

— **სალაროს წევრების რაოდენობა.** ხაშურის უბნის ურთიერთ დამხმარე სალაროს წევრებად ითვლება 2.814 კაცი.

რას მოველით საკავშირო აღწერიდან

გუშინ მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა ამიერ-კავკასიის ცენტრალურ - სტატისტიკურ სამმართველოს უფროსი გრიგორიანი, რომელიც იქ დაესწრო მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოების უფროსთა თათბირს.

ამხ. გრიგორიანმა თათბირის შედეგების შესახებ შემდეგი აცნობა ჩვენს თანამშრომელს:

— თათბირის მიზანი იყო ჯამის გაკეთება საკავშირო აღწერის მოსამზადებლად წარმოებულ მუშაობისათვის. გამოირკვა, რომ საერთოდ მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობდა და ახლო ხანში დამთავრდება.

მოხსენებებიდან სჩანდა, რომ არა მარტო ცენტრალური ორგანოები, არამედ ადგილებიც დიდ ყურადღებას აქცევენ აღწერის საქმეს, რადგან მისგან ელიან მნიშვნელოვან მასალებს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

თათბირზე განხილული იქნა აღწერის მასალების დამუშავების პროექტიც. გეგმის მიხედვით, მასალების დამუშავება დაიწყება თებერვლის პირველ რიცხვებში და გაგრძელდება 2 — 2½ წელიწადი პირველ რიგში დამუშავებული იქნება დემოგრაფიული ნიშნები (სქესი, ასაკი, ეროვნება, დაბადების ადგილი და სხვა), შემდეგ კი სოციალური ნიშნები (ხელობა, პროფესია, მდგომარეობა პროფესიაში ძირითად დემოგრაფიულ ნიშნებთან დაკავშირებით). დამუშავების ასეთი წესი ყველაზე უფრო მიზანშეწონილად არის ცნობილი, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესება და მაქსიმალური სისწორის მიღწევა.

შემოდგომაზე დაიწყება აღწერის სხვა მასალების დამუშავებაც. ეს მასალები ეხება მხოლოდ ქალაქებს; ეს არის ერთის მხრივ საკითხები, რომლებიც ეხება ოჯახის, როგორც სოციალური, ეკონომიური და ბიოლოგიური უჯრედის შესწავლას (ასეთი მუშაობა პირველად სწარმოებს არა მარტო ჩვენში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც); ამასთანავე გამორკვეული იქნება მოსახლეობის ზრდის პირობები და ხასიათი.

მეორეს მხრივ, შესწავლილი იქნება საბინაო საკითხები ტეხნიკურ-საამშენებლო და სანიტარულ-ჰიგიენურის თვალსაზრისით; ამავე დროს გამორკვეული იქნება ჩვენი ქალაქების შენობათა ექსპლოატაციის ხასიათი.

აღწერისათვის მიმდინარე საბიუჯეტო წელში გადადებულია 9 მილიონი მანეთი; აქედან აღწერის ჩასატარებლად 7 მილიონი და მასალების დასამუშავებლად—2 მილიონი მანეთი.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, უნდა ითქვას, რომ მოსამზადებელი მუშაობა საერთოდ დამთავრებულია და ადგილებზე სწარმოებს აღმწერელთა პერსონალის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ნაციონალურ ყოფა-ცხოვრების სიჭრელე ტოპოგრაფიული პირობები, წერა-კითხვის სუსტად ცოდნა და მთელი რიგი სხვა მომენტები საგრძნობლად ართულებს აღწერის საქმეს ჩვენში.

აღწერის ჩასატარებლად მთელს ამიერ-კავკასიაში გადადებულია 425.000 მანეთი. ეს თანხა არ არის საკმარისი. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა გადასწყვიტეს გაიღონ ადგილობრივ წყაროებიდან დამატებითი თანხები. ამას გარდა ჩვენ ყოველგვარ დახმარებას გვიწევენ როგორც ამიერ-კავკასიის, ისე რესპუბლიკანური უმაღლესი ორგანოები და ცალკე სახალხო კომისარიატები.

ჩვენში განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს აღწერის ჩატარება მთიან ადგილებში. საამისოთ გამომუშავებულია სათანადო საორგანიზაციო გეგმები. რაც შეეხება აბსოლიუტურად მიუდგომელ რაიონების აღწერას (საქართველოში), იქ მოსახლეობის აღწერა ჩატარებული იქნება გაზაფხულზე.

მილიციის უფროსთა თათბირი

1-ლ დეკემბერს თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში გაიმართა თბილისის მაზრის რაიმილიციის უფროსთა თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, მილიციის დამოკიდებულება ადგილობ. აღმასკომებთან და საერთო თანამშრომლობის საკითხები, მილიციის მიმდინარე ამოცანები, პროკურატურის და სხვ. სამ. მილიციის სადირექტივო მოხსენებანი და სხვ.

პირველ სხდომაზე გაკეთებულ იქნა მოხსენებები მაზრის დამახასიათებელ უფრო ტიპიური რაიონებიდან.

მოხსენებებით გამოვიდნენ: წალკის, მანგლისის, ალგულაღის, ყარაიაზის, ეროვ. თიანეთის და სართიჭალის რაიონების წარმომადგენლები.

თავიანთ მოხსენებებში ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ადგილებზე ძლიერ სუსტია პროფკავშირის ხელმძღვანელობა მილიციაზე, არ სწარმოებს შესაფერად კულტურული მუშაობა, გაზეთები თითქმის არსად არაა გამოწერილი და სხვ.

ადმინისტრატიულ საქმიანობის დარგში მომხსენებლებმა აღნიშნეს დიდი მიღწევები. ბანდიტიზმს იშვიათად აქვს ადგილი და ბოროტმოქმედებანი თითქმის ყოველთვის იხსნება. მილიციის შტატი ყველგან მცირეა და ამის გამო ბევრ საჭირო ადგილზე ვერ აწყობენ მილიციის სადარაჯოებს. ხშირად ადგილებზე მილიცია უხდება ს.-სამეურნეო გადასახადის აკრეფა, სასამართლოს მიერ გამოგზავნილ უწყებების დარიგება და სხვ.

დიდ დაბრკოლებას იწვევს მილიციის მუშაობაში სასამართლოს ორგანოების მიერ უწყებების მილიციისათვის თავის დროზე გადაუცემლობა.

ადგილებიდან მოსმენილი მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ხმალაძემ, ბარამიძემ, გვალიამ, კარსანიძემ, ესებუამ, მელაძემ** და სხვ.

ამხ. **ქ. გვალია** აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მილიციის დამოკიდებულების შეთანხმებას ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან. ამისათვის საჭირო იქნება ახლად დაარსებულ თემებში საგუშაგოების გახსნა და მთელი რიგი სხვა ზომების მიღება.

ამხ. **ბარამიძე** ამბობს, რომ გლეხები ხელისუფლებას ყოველთვის აფასებენ მათთან უფრო ახლო მდგომი ადმინისტრაციის საქმიანობით. ამიტომ, ორატორის აზრით, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მილიციელების მომზადებას და მათი კულტურული დონის ამაღლებას.

ამხ. **გ. ხმალაძე** თავის სიტყვაში ეხება მომხსენებლებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას და რაიონში წარმოებულ მუშაობის სუსტ მხარეებს. მისი აზრით, ჩვენი მილიციის მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება დამოკიდებულია თვით მილიციის თანამშრომელთა უნარზე და პოლიტიკურ მომზადებაზე.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს ადგილებზე მილიციის სამმართველოებთან და აღმასკომებთან იურიდიული წრეების დაარსების საჭიროებას, რომ შესაძლებელი გახდეს საბჭოთა კანონმდებლობის შესწავლა, ხოლო თუ კანონმდებლობა მილიციის თანამშრომელს კარგად ეცოდინება, იგი არასოდეს არ დაუშვებს ადმინისტრატიული ხასიათის შეცდომას.

თათბირი გაგრძელდება კიდევ ერთი დღე.

წესიერების დაცვა

საუბარი ამხ. ხმალაძესთან

ხულიგნობასთან ბრძოლის და საერთოდ, როგორც ქალაქში, ისე მაზრაში წესიერების დაცვის შესახებ თბ. ადმ. განყოფილებისა და მილიციის უფროსმა ამხ. გ. ხმალაძემ ჩვენს თანამშრომელს განაცხადა შემდეგი:

— როგორც მოგეხსენებათ, უკანასკნელი თვეების განმავლობაში მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო ხულიგნობასთან და წესიერების სისტემატიურად დამრღვევლებთან ბრძოლის კამპანია. თბილისში იმ თავითვე გვქონდა ზომები მიღებული ხულიგნობის წინააღმდეგ. მართლაც, უკანასკნელ ხანებში თბილისში ხულიგნობის შემთხვევებმა ძლიერ იკლო. ყველა კლუბებში და საზოგადოებრივ საკრებ ადგილებში შევადგინეთ ხულიგნობასთან მებრძოლი კომისიები და მივიღეთ სპეციალური ზომები ქალაქის ზოგიერთ უბნებში წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელათ ჩვენ გადავსწყვიტეთ მივეღოთ ზომები სამილიციო აპარატის მუშაობის გადასახალისებლად. სხვათა შორის, ამ მიზნით არის მოწვეული თბილისის მაზრის რაიმილიციის წარმომადგენელთა თათბირიც. თათბირზე გამოირკვევა, თუ სად უფრო მოიკოჭლებს ადმინისტრატიული მუშაობა და შევეცდებით იქ საქმე დავაყენოთ საჭირო სიმაღლეზე.

როგორც თქვენს გაზეთში უკვე იყო ცნობა მოთავსებული, ქალაქში ძლიერ გახშირდა სულით ავადმყოფების ხეტიალი. ზოგი მათგანი არაფერს აფუჭებს, მაგრამ შემთხვევითი აფექტაციის დროს ისინი იწვევენ ხალხის შეშინებას, უწესობებს და სხვ. მე მინდა განვაცხადო ჯანმრთელობის ორგანოების სახაყვედუროდ, რომ მათ დღემდე ჩვენს განცხადებას ასეთი ავადმყოფების სადმე მოთავსების შესახებ, არ მიაქციეს არავითარი ყურადღება, და ჩვენ თვითონ გვიხდება საკუთარი ძალებით ბრძოლა ასეთ მოვლენებთან.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ის უდაო ფაქტი, რომ საერთოდ თბილისის მაზრაში შესამჩნევი გახდა ადმინისტრატიული აპარატის გაჯანსაღება და მისი დაახლოება მოსახლეობასთან.

ინჟ. ვ. ბუხბოლცის ჩამოსვლა

გუშინ გერმანიიდან თბილისში ჩამოვიდა ს. მ. უ. ს. მიერ მოწვეული ინჟ. ვილჰელმ ბუხბოლცი, რომელსაც დავალებული აქვს უხელმძღვანელოს თბილისის მაუდის ქარხანაში მანქანების და სხვა მოწყობილობის დადგმას.

მაუდის საქსოვი ფაბრიკის აგების შესახებ ინჟ. ბუხბოლცმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— საფეიქრო ტეხნიკაში წარსული ომიანობის შემდეგ დიდი მიღწევებია ევროპაში. თითქმის ყოველგვარი მუშაობა მექანიკურად სწარმოებს.

ჩემის დაკვირვებით თბილისის მაუდის ქარხანა იქნება ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა კავშირში. გარდა საქსოვ მანქანების დადგმისა, მე დავალებული მაქვს ქარხანაში მოვაწყო ვენტილიაცია და გათბობა.

ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობათა ნაწილები, ჩემის ცნობით, შეკვეთილი აქვს განთქმულ ფირმას „გროვე"-ს. ამ დღეებში შევუდგები საჭირო პროექტების დამუშავებას და შემდეგ დავიწყებთ უშუალო პრაქტიკულ მუშაობას.

„საქართველ. მარგანეცი"

ჭიათურის კონცესიის ზედამხედველობის რწმუნებული ამხ **ვაშაძე** და კონცესიის კონსულტანტი **თუმანოვი** მთავარი საკონცესიო კომიტეტის მიერ გაწვეული არიან მოსკოვში. მოსკოვში გაემგზავრა აგრეთვე სააქციო ამხანაგობის საქართველოს მარგანეცის გამგეობის წევრი მოქ. რასკოვიჩი.

მთავარ საკონცესიო კომიტეტში ამჟამად განსახილველად სდგას საკითხები, რომელნიც დაკავშირებული არიან ჭიათურის კონცესიასთან, საკონცესიო მუშაობასთან და კონცესიონერების მიერ დადებულ ხელშეკრულების და საფინანსო ვალდებულებების შესრულებასთან.

დახმარება

მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

11 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოვიდა:

საქართველოს პროფსაბჭოსაგან — 5.778 მანეთი 90 კაპ., თბილისის აღმასკომი—40.000 მანეთი, თამბაქოს ტრესტი—1.000, საქართველოს პოლიგრაფიული ტრესტი—300 ,საქ. ს. მ. უ. ს. სპირტის და კონიაკის ტრესტი—500, ახალციხის სამაზრო აღმასკომი—2.445, „საქ. სახელმწიფო სათბობი"—1.000, ფოთის აღმასკომი2.000, მეორე საკავშირო ბატალიონი—34 მანეთი 70 კაპ., სამხრეთოსეთის ცაკი—500, შინა-მრეწველობის კავშირი—1.300, ამიერ-კავკასიის რკინისგზის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო—231, ს. მ. უ. ს. ტყავის ტრესტი (ფეხსაცმელები და ტანსაცმელი)—1.415, სამთო ქიმიური კომბინატი (12.500 ცალი ღრუა აგური), ტყის მრეწველობის ტრესტი—ერთი ვაგონი სამშენებლო მასალა და დუშეთის სამაზრო აღმასკომი—5250 ცალი კრამიტი.

სანატორიუმების მოწყობა

ქობულეთში

წლევანდელი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია ქობულეთის სანატორიუმის შეკეთების დამთავრება, აგარაკის კეთილმოწყობა და ერთი საბავშვო სანატორიუმის მოწყობა. სააგარაკო მშენებლობისათვის გადადებულია სულ სამას ოთხმოცდა თხუთმეტი ათასი მანეთი.

სოხუმი

15 დეკემბერს სოხუმში გახსნილი იქნება სამაზრო საკურორტო სასტუმრო, რომელიც მოთავსებულია ყოფილ სასტუმრო „რივიერა"-ს საუკეთესო შენობაში. სასტუმროს გარდა, ამ შენობაში მოთავსებული იქნება თვით საკურორტო სამმართველო, ყველა სანატორიუმების ცენტრალური საწყობი, ავტო-გარაჟი, ავადმყოფთა მიმღები პუნქტი და ცნობათა ბიურო. ამჟამად სწარმოებს შენობის კაპიტალური შეკეთება, რისთვისაც გადადებულია 13.000 მანეთი. 15 დეკემბრისათვის შენობაში გადატანილი იქნება ზემოხსენებული დაწესებულე-

სახელმწიფო ვაჭრობა

ვაშლი და პარკი

სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გემ „ტადლათი" კონსტანტინოპოლში გაგზავნა 593 ფუთი ვაშლი. იმავე გემით გაიგზავნა 10 ტონა კაკალი მარსელისათვის. იტალიურ ბანკ „კომერჩიალესთან" დადებულ ხელშეკრულების ანგარიშში მილანში იგზავნება 3.300 ფუთი აბრეშუმის ხმელი პარკი.

მოსკოვის წარმომადგენლობის მუშაობა

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის მოსკოვის წარმომადგენლობის ბრუნვა გასულ წელში უდრის 1.668.000 მან. ამჟამად სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მოსკოვის წარმომადგენლობის საშუალებით შეძენილი აქვს 335.000 მ. სხვადასხვა საქონელი. შეძენილი აქვს სიდ ფართლეული, შაქარი, საგალანტერეო, ლითონის და სხ.

გასულ საანგარიშო წელში მოსკოვის წარმომადგენლობამ გაასაღა 1.313.000 მან. ხილი, ბამბა და ბრინჯი.

„ზაკპოგრუზის" რეორგანიზაცია

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კანონპროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები დატვირთვა-გადმოტვირთვის მუშაობის მოსაწესრიგებლად საპაიო ამხანაგობის მოწყობის შესახებ, სატრანსპორტო და საექსპორტო-საიმპორტო ორგანოების მონაწილეობით და დაადგინა მოახდინოს სააქციო საზ-ბის „ზაკპოგრუზის" რეორგანიზაცია საპაიო ამხანაგობად.. ამხანაგობის საპაიო თანხაში უნდა სჭარბობდეს სატრანსპორტო და საექსპორტო-საიმპორტო ორგანოების მონაწილეობა. რისთვისაც ამხანაგობა „ზაკპოგრუზში" უნდა შევიდეს ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობა, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის და ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო სამმართველო. ამ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ საპაიო თანხის არანაკლებ 51 პროც. და უნდა ხელმძღვანელობდენ მის მუშაობას.

სააქციო საზ-ბა „ზაკპოგრუზის" რეორგანიზაციის კონკრეტიული გეგმის შედგენა დაევალა ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს (თავმჯდომარე), ამიერ-კავკასიის რკინის გზათა, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის, ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ნავთსადგურების სამმართველოს წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისიას.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ამხ. ბერიას დანიშვნა

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმმა გაანთავისუფლა თანამდებობიდან საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. **ეპიფანე კვანტალიანი** მისი ამიერ-კავკასიაში ს. ს. რ. კ. ფოსტა-ტელეგრაფის რწმუნებულად დანიშვნის გამო.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. **ბერია.**

შუამდგომლობის შეწყნარება

„წალკის სასწაულმომქმედთა" საქმეზე გასამართლებულებმა—4 ყოფილმა მღვდელმა **კონსტანტინე პარასკევოვმა, თედორე ყარიბოვმა, ნიკოლოზ სიმონოვმა** და **ნიკოლოზ გრიგორიადისმა** შემოიტანეს ს. ს. ცაკ-ში განცხადება, რომელშიაც აღიარებდნენ, რომ მათ ხელი აიღეს მღვდელმსახურებაზე, რელიგია და სასწაულმოქმედება მიაჩნიათ სიყალბეთ, გაიხადეს ანაფორა, გაიკრიჭეს და პირდებიან ხელისუფლებას, რომ მომავალში იმუშავებენ საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით ხელისუფლების განსამტკიცებლად. ხსენებულ მღვდლებს მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით თითეულს და გადასახლება თბილისის, დუშეთის, გორის და ბორჩალოს მაზრებიდან. ხსენებული განცხადება განიხილა ს. ს. ცაკ-ის პრეზიდიუმმა და დაადგინა განთავისუფლებულ იქნენ ისინი სასამართლოს მიერ დადებულ დარჩენილ სასჯელის მოხდისაგან.

პრეზიდიუმის დადგენილებით განთავისუფლებულ იქნენ აგრეთვე იმავე საქმეზე გასამართლებულნი ძმები **ათანასიევები.**

კატასტროფის შემდეგ

ავადმყოფების მდგომარეობა

ამხ. სიმ. ჯუღელს გუშინ ხელ-ახლა შეუხვიეს ჭრილობები სახეზე. გართულებას ადგილი არა აქვს. ავადმყოფი თავს კარგათ გრძნობს. საერთო მდგომარეობა კარგია.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე თავს კარგად გრძნობს, ავადმყოფს ჭრილობები უშუშდება.

ამხ. თ. ღლონტი თავს კარგათ გრძნობს, თუმცა ტკივილებს არ გაუვლია. დღეს ხელ-ახლა შეუხვევენ ჭრილობებს.

პროფ. **გ. მუხაძის** განცხადებით, სხივის გადატეხილი ძვალი ამხ. თ. ღლონტს შეეზრდება სამ კვირაში. ტემპერატურა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ეხლა იმყოფება ავადმყოფი, ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ავადმყოფი მოითხოვს ბინაზე გადაყვანას, რაც—პროფ. **მუხაძის** თქმით მოსახერხებელია ერთი კვირის შემდეგ.

საერთოდ ავადმყოფის მდგომარეობას საგრძნობი გაუმჯობესება ემჩნევა.

თანაგრძნობის დეპეშა

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის სახელზე ლენინგრადიდან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„გამოვსთქვამთ გულწრფელ თანაგრძნობას უბედურ შემთხვევის გამო, რაც ეწვია პასუხისმგ. მუშაკებს, რომლებმაც ენერგიული შრომა გასწიეს საქართველოს უდიდეს ელექტრო-სადგურის შენებაზე".

ლენინგრადის „მაშინოსტროი"-ს თავმჯდომარე **მიხაილოვი.**

თანაგრძნობის წერილი

სპარსეთის გენერალურმა საკონსულომ თბილისში, შემდეგი შინაარსის თანაგრძნობის წერილი გაუგზავნა ამხ. **სიმ. ჯუღელს:**

„სპარსეთის გენერალურ საკონსულოს თბილისში, ამით პატივი აქვს გამოგიცხადოსთ თქვენ თავისი გულწრფელი თანაგრძნობა იმ უბედურ შემთხვევის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ავტომობილის კატასტროფის დროს. გამოვსთქვამთ სიხარულს თქვენი მშვიდობიანად გადარჩენის გამო".

გენ. კონსულის თანამდებობის აღმასრულებელი **ა. მასაჯერი**

პური ამ.-კავკასიისათვის

რამდენი პური იქნება შემოტანილი

ამ დღეებში ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა პურის შემომზიდველ ორგანიზაციების წარმომადგენლთა თათბირი. თათბირს უნდა განეხილა პურის შემოზიდვა-განაწილების საკითხი.

თათბირმა მოისმინა ამხ. **ნოვიკოვის** მოხსენება პურის ბაზრის მდგომარეობის შესახებ. იგი შეეხო პურის შემოზიდვის საქმის მდგომარეობას, მის განაწილებას ორგანიზაციებს შორის და პურის რეალიზაციის საქმეს. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე საოპერაციო წელში პურის შემოზიდვა სუსტი ტემპით მიმდინარეობს. ამის მიზეზად, ნაწილობრივ, ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ შემოსაზიდი პურის განაწილება ორგანიზაციათა შორის უნდა გადასწყვეტილიყო და დამტკიცებული ყოფილიყო ცენტრში.

დამტკიცებულ გეგმის მიხედვით უნდა მომხდარიყო შემოსაზიდი პურის განაწილება შემომზიდველ ორგანიზაციებს შორის.

ცენტრში დამტკიცებულ გეგმით, პურის შემომზიდველ ორგანიზაციებათ ამიერ-კავკასიაში ითვლებიან — „ხლებოპროდუქტი", სახელმწ. ბანკი, „კავპური" და ა.-კ. კოოპერატიული ცენტრალური კავშირი.

ახალი გეგმით ამიერ-კავკასიაში შემოზიდულ უნდა იქნეს 11 მილ. ფუთი პური. მათ შორის „ხლებოპროდუქტი" შემოიტანს 6.600.000 ფუთ პურს, სახელმწიფო ბანკი—2 მილ. ფუთ პურს, „კავპური"—1.600.000 ფუთს და ა.-კავკასიის კოოპერატიული კავშირი — 600.000 ფუთ პურს.

გარდა ამისა, ა.-კავკასიაში შემოზიდული იქნება 1.500.000 ფუთი პური. ბაქოს რაიონებისათვის პურის შემოზიდვას აწარმოებენ იგივე ორგანიზაციები, ისე რომ, „ხლებოპროდუქტი" შემოიტანს—600.000 ფ. პურს, სახ. ბანკი — 300.000 ფუთს, „კავპური"—200.000 ფუთს, ხოლო, ა.-კ. ცენტრ. კოოპ. კავშირი—400.000 ფუთ პურს.

შემოზიდული პური რესპუბლიკებს შორის (გარდა ბაქოს რაიონებისა) განაწილდება შემდეგ. ნაირათ: **საქართველოში** შემოზიდული იქნება 3.950.000 ათასი ფუთი პური, **სომხეთში**—1.400.000 ფ., **აზერბეიჯანში**—5.650.000 ფუთი პური, ცალკე რესპუბლიკების პურის შემოსაზიდათ ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიამ დაამტკიცა შემდეგი გეგმა, რომლის მიხედვით, **საქართველოში** „ხლებოპროდუქტი" შემოიტანს—2.580.000 ფ. პურს, სახელმწ. ბანკი—350.000 ფ., „კავპური"—700.000 ფ. და ა.-კ. კოოპ. კავშირი—32.000 ფ., **სომხეთში**—„ხლებოპროდუქტი" შეიტანს 720.000 ფუთ პურს, სახელ. ბანკი—150.000 ფ. პ., „კავპური"—450.000 ფ. პ. და ა.-კ. ცენტ. კოოპ. კავშირი—80.000 ფუთ პურს.

აზერბეიჯანში—„ხლებოპროდუქტი" შეზიდავს 3.300.000 ფ. პურს, სახელ. ბანკი—1.500.000 ფ. პ., „კავპური"—650.000 ფ. პურს და ა.-კ. კოოპ. ცეკავშირი—200.000 ფუთ პ.

ხანძარი

ტყიბულის მაღაროებში

ა.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებული ცნობებით, ტყიბ. ქვა-ნახ. მაღ-ში ხანძარი გრძელდება. ცეცხლის სრულ ლიკვიდაციის შეუძლებლობის გამო მიღებულია ზომები, რომ ცეცხლი ქვა-ნახშირის დანარჩენ ფენებს არ მოედოს. ცეცხლის გავრცელება დანარჩენ რაიონებში არ არის მოსალოდნელი.

ხანძრის გაჩენის დღიდან ადგილი ჰქონდა მუშების თავბრუდახვევის 26 შემთხვევას. თავის დროზე მიღებულ ზომების წყალობით, მუშების ჯანმრთელობას საფრთხე არ მოელის. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ქვა-ნახშირის ამოღება თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება.

ელექტროფიკაცია

გორის ქალაქის ელექტროსადგური.

გორის ქალაქის აღმასკომს აქვს ელექტროსადგური, რომელიც წელს საფუძვლიანად იქნა შეკეთებული და ხელახლა მოწყობილი ახალი იარაღებით. შეკეთების შემდეგ სადგურის ძალოვნება 20 ცხენის ძალიდან 100 ცხენის ძალამდე გაიზარდა. ამჟამად აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება აწარმოებს მუშაობას ქალაქის ელექტროქსელის გასაფართოებლად. უკვე დამზადებულია ბოძები, მავთული და სხვა მოწყობილობანი ქალაქის ელექტრონული ქსელის კაპიტალური შეკეთებისა და გაფართოებისათვის. ქალაქის მთავარ ქუჩებზე უკვე გაყვანილია ელექტროგანათება. ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა ქალაქის განაპირა უბნების. განსაკუთრებით იმ უბანს, რომლის შენება დაწყებულია 1920 წლის მიწისძვრის შემდეგ. ელექტრონის ქსელის გაყვანა განაპირა უბნებში დამთავრდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

რიონის

ჰიდროელსადგური

ს. მ. უ. ს. ტეხნიკურმა განყოფილებამ მიიღო ქუთაისიდან იმ ნიადაგის ნიმუშები, რომელზედაც უნდა აშენდეს რიონის ჰიდრო-ელსადგური.

ტეხნიკურ განყოფილებაში ამ ნიმუშებს შეამოწმებენ. იმის გამოსაკვლევათ თუ რამდენათ გამძლე იქნება ნიადაგი სადგურის ნაშენობებისათვის. გამოკვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რიონიდან წყლის გასასვლელ გვირაბის ნიადაგის ნიმუშებს. როგორც ვიცით, რიონიდან წყალი გადაშვებული იქნება წყალ-წითელაში გვირაბის საშუალებით, რომელსაც ექნება ერთ კილომეტრზე მეტი სიგრძე. გვირაბი მოგებული იქნება ცემენტით, რომელსაც ქვეშ დაგებული ექნება ქვა.

სპეციალისტების აზრით, ნიადაგის ნიმუშები საუკეთესო ღირსებისაა.

პროფჰიგიენა

თბილისის პროფტეხნიკურ წრეებში და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა პროფჰიგიენის სწავლების საქმეს. ამის გამო, შრომის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო შემოიღოს პროფჰიგიენის გაკვეთილები ყველა პროფტეხნიკურ წრეებში და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში. პროფჰიგიენის გაკვეთილების წარმოება დაეკისრათ სანიტარულ ინსპექტორებს ცალ-ცალკე რაიონებში.

ბათომის კეთილმოწყობა

ბათომის ქალაქის აღმასკომის საგანგებო კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ჯანმრთელობის კომისარიატის და წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლები, გამომუშავა ქალაქის კეთილმოწყობის და გაჯანსაღების გეგმა. სხვა ღონისძიებათა შორის,—გეგმაში შედის მალარიის ბუდეების—ორდაგანის ყაზარმებისა და პირველ საბჭოთა საავადმყოფოსთან მდებარე დაჭაობებული ადგილების ამოშრობა. გეგმით იმ ადგილებში გაყვანილი იქნება ოთხკუთხიანი კოლექტორი, რომელშიაც იდენს მთებიდან ჩამოდენილი წყალი და იმ მიდამოებში მოსული ატმოსფერული ნალექები. კოლექტორი განტვირთავს ადგილების ამოსაშრობად გაყვანილ საგანგებო არხებს, რომელიც ამჟამად ვერ იტევს დაგუბებულ წყალს და ჭაობიანდება. ზემოხსენებული პროექტის განსახორციელებლად დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვა 200000 მანეთის რაოდენობით.

დაახლოებით დეკემბრის შუა რიცხვებისათვის დაიწყება მუშაობა ქალაქის დაჭაობიანებული ადგილების ამოსაშრობად. სამუშაოდ მოწვეული იქნება ბათომის ბირჟაზე აღრიცხული უმუშევრები სულ—450 კაცი. მთელი ეს სამუშაოები ჩატარდება საზოგადოებრივ სამუშაოების ორგანიზაციის საშუალებით. წელს ამ სამუშაოზე განზრახულია დაიხარჯოს 60.000 მანეთი.

ბინა და სასადილო

უმუშევრებს

საერთოთ უმუშევრობა თბილისში მასიურ ხასიათს იღებს, განსაკუთრებით შემოდგომაზე და ზამთრის პერიოდში. უმუშევრების საერთო გაჭირვებას ზედ ერთვის პურის ფული და ღამის გასათევ ბინის უქონლობა. განსაკუთრებით ამ მხრივ გაჭირვებას განიცდის პროვინციიდან ჩამოსულები და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული უმუშევრები.

რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში დიდი ხანია უმუშევრებისათვის არსებობს თავშესაფარი და სასადილოები. თბილისში კი ასეთი დღემდის არ არსებობდა. უკანასკნელ დროს შრომის ბირჟის კომიტეტმა შეადგინა ხარჯთაღრიცხვა: სასადილოს, სჩაიეს და ღამის გასათევი სახლის. აღნიშნული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 500 უმუშევარისათვის დახმარების აღმოჩენა. სულ ეს საქმე მოითხოვს 168 ათას მანეთამდე.

აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა წარედგინა შრომის სახალხო კომისარიატს და თბილისის ქალაქის აღმასკომს დასამტკიცებლათ და უკანასკნელის ხარჯთაღრიცხვაში შესატანათ.

თონეების მექანიზაცია

თბილისის ზოგიერთ თონეებში უკვე სწარმოებს პურის გამოცხობა მექანიკურის საშუალებით, ახლად გამოგონილი მანქანებით. მუშკოოპის თონეებში აწარმოებენ პურის მექანიკურად გამოცხობის ცდებს.

საქ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ დაავალა სანიტარულ ინსპექტორებს აწარმოონ სანიტარული მეთვალყურეობა პურის მექანიკურ გამოცხობაზე თბილისის თონეებში.

ქრონიკა

ინგლისის მემაღაროეთა სასარგებლოთ

საქართველოს პროფსაბჭოს მიერ სრულიად საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს სახელზე პირველ დეკემბრისათვის გადაგზავნილია 117.291 მანეთი ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა სასარგებლოდ.

უტექსტო დეპეშების აკრძალვა

ყველა საფოსტო - სატელეგრაფო დაწესებულებებს აეკრძალათ უტექსტო დეპეშების მხოლოდ მარტო მისამართით მიღება საზღვარგარეთ გადასაგზავნად, რაც წინად ნება-დართული იყო.

რიგს გარეშე გასაგზავნი დეპეშები

ფოსტა - ტელეგრაფის სამართველოს მიერ ყველა საფოსტო - სატელეგრაფო დაწესებულებებზე გაცემულია განკარგულება, იმ დეპეშების რიგ გარეშე გაგზავნის შესახებ, რომელიც ადამიანის სიცოცხლის საფრთხისაგან დაცვას შეეხებიან.

შრომის ინსპექტორთა თათბირი

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით მომავალ 1927 წლის იანვარში მოწვეული იქნება ყველა რაიონულ, საუბნო და სამაზრო შრომის ინსპექტორთა თათბირი.

თბ. აღმასკომში

◆ **მცხეთის რაიონში** მდ. მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად საგეგმო კომისიას დაევალა შეადგინოს ხარჯთ - აღრიცხვა და გეგმა.

◆ **ორთაჭალის** მამულებიდან წელს წინასწარი ხარჯთ - აღრიცხვით შემოვა 80,100 მ.

◆ **შეკეთება.** კომუნალურ განყოფილებას წინადადება მიეცა დაკვრითი წესით შეუდგეს ხანძრისაგან დაზიანებულ ცენტრალურ სამკურნალოს შენობის შეკეთებას.

◆ **საგარეჯოს 9 წლედის** საცდელ - საჩვენებელ არეს გასაფართოებლად და საერთოდ სკოლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსდა კომისია ამხ. **ლ. სუხიშვილის** თავმჯდომარეობით.

◆ **წყალი.** გასულ წელს წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 408 ნახ. მილიონი ვედრო წყალი.

შრ. სახალხო კომისარიატში

◆ **უმუშევრობასთან საბრძოლველად** შრ. კომისარიატის ცნობით, სახელმწიფო ბიუჯეტით წელს გადადებულია 126 ათასი მანეთი.

◆ **შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა** მოიწვიოს შრომის ინსპექტორების რესპუბლიკანური თათბირი შრომის დაცვის საკითხების გასარჩევად.

◆ **სოცდაზღვევის ორგანოებმა წელს უმუშევრობასთან ბრძოლის საქმეზე დახარჯავენ**—42.000 მან.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **მრეწველობის გასაფართოებლად საქართველოში** მიმდინარე წლის პირველ მეოთხედის ანგარიშში საკავშირო მთავრობამ გადასდო 645.000 მან.

◆ **ხალიჩების ოპერაციების გასაფართოებლად** ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ ცენტრიდან მიიღო ნახევარი მილიონი მან.

კოოპერაცია

◆ **საქონლის შემოტანა.** ა.-კ. კოოპერატიული კავშირი წელს ა.-კავკასიაში შემოიტანს 3 მილიონ მანეთის პირველ მოთხოვნილების საქონელს.

◆ **მატყლი.** ა.-კ. კოოპერატიული კავშირი ამზადებს 40 ათას ფუთ მატყლს.

სხვადასხვა

◆ **იუბილე.** კვირას, 5 დეკემბერს, ექიმთა საზოგადოების დარბაზში (ყოფ. გიორგიევის ქ.) დღის პირველ საათზე გაიმართება კამოს სახელობის საავადმყოფოს მთავარ დოსტაქარის ექიმის გაბრიელ ნერსესიძე ტერ-ნერსესოვის 25 წლის საექიმო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე.

◆ **რკინისგზის კვანძის პროფ-აქტივის კონფერენცია.** 30 ნოემბერს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა რკინისგზის კვანძის პროფ-აქტივის კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება სად. გურჯაანის კლუბის გამგეობის ექვსი თვის მუშაობის შესახებ, 2) სად. გორის კლუბის გამგეობის მოქმედება 6 თვის განმავლობაში, 3) პლეხანოვის სახელობის კლუბის მუშაობა, და 4) უბნის პროფკავშირის კულტ-განყოფილების საქმიანობა.

შემთხვევები

წყალზე დამხმარე საზოგადოება

ნოემბრის განმავლობაში მდინარე მტკვარზე იმ რაიონებში, სადაც მუშაობს თბილისის წყალზე დამხმარე საზოგადოების სადარაჯოები, ადგილი ჰქონდა 7 უბედურ შემთხვევას: ოთხი ადამიანთა და სამი ცხოველებს შორის.

ოთხი თვითმკვლელიდან გადარჩენილია სამი; დაიხრჩო ერთი მოქ. ხანდმოვი, რომელიც თავის დახრჩობის მიზნით გადავარდა მტკვარში ვერის ხიდიდან, თავით დაეცა ქვებზე და იმ წამსვე გარდაიცვალა; შველა შეუძლებელი შეიქნა.

ცხოველებიდან გადარჩენილია ყველა.

ბანდიტების დაპატიმრება

ამ რამოდენიმე დღის წინათ ახალ - ბაიაზეთის ციხიდან (სომხეთი) გაიქცა ორი პატიმარი: არშაკ ოვანესიანი და დავით მინასიანი.

ოვანესიანს და მინასიანს ბანდიტიზმისათვის მისჯილი ჰქონდათ უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

გუშინ ზემოთჩამოთვლილი ბანდიტები დააპატიმრეს თბილისში.

თავდასხმა კაპიტნის ხევში

თამარა ბეჩუკიშვილს და სხვებს კაპიტნის ხევში (ავჭალის რაიონი), თავს დაესხა რამოდენიმე ბოროტმოქმედი და გაძარცვეს. წაართვეს 2 ცხენი და ნივთები.

ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

თავდასხმა ღრმა-ღელის შარა გზაზე

გუშინ, საღამოს, თბილისში მიმავალ თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარეს **ივანე ცომაიას** ღრმა-ღელის შარა გზაზე თავს დაესხა 2 შეიარაღებული პირი. ბოროტმოქმედებმა ამხ. ცომაიას სიკვდილის მუქარით წაართვეს 20 მანეთი და „ნაგანის" სისტემის რევოლვერი.

შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები მეძებარი ძაღლებით.

სიმულიაცია

მოქ. ხვედრიანე ქარსელაძემ განაცხადა ს. ს. მილიციაში, რომ ამა წლის 17 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, ჰაჯევაძის ქუჩაზე მას მოპარეს 116 მანეთი. ეჭვით დააპატიმრეს **გრიგოლ ლოლაძე.**

ს. ს. მილიციის გამოძიებით გამოირკვა, რომ ქარსელაძისათვის ფული არავის მოუპარავს. ყოველივე ეს მან განზრახ მოიგონა.

გამოირკვა, რომ ქარსელაძეს და ლოლაძეს უსიამოვნება მოსვლიათ ერთმანეთში სიმთვრალის დროს.

მკვლელის ცდა

გუშინ, საღამოს, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მესამე კურსის მსმენელმა კონსტანტინე ტაბიძემ მოკვლის მიზნით სამჯერ რევოლვერი ესროლა ამავე უნივერსიტეტის სასადილოს გამგეს მოქ. **მიხაილოვსკის.**

არც ერთი ტყვია მიხაილოვსკის არ მოხვედრია. ტაბიძე დააპატიმრეს.

უბედური შემთხვევა

გუშინ, საბჭოს ქუჩაზე ტრამვაის ვაგონიდან გადმოხტომის დროს მძიმედ დაშავდა **ერვანდ მანაველოვი.**

დაშავებული მოთავსებულია საავადმყოფოში.

ლოლაძე პატიმრობისაგან განთავისუფლეს.

◆ **შეპყრობა.** „არმენტორგის" მაღაზიაში ქურდობის დროს შეიპყრეს შურა მარქაროვი.

◆ **ცეცხლი.** 30 ნოემ. ლაზარევის ქ. № 28 ბიჯიბიანის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

◆ **გვამის პოვნა.** სოფ. გულატის ახლო ხევში აღმოჩენილი იქნა დამხრჩვალი 11 წლის ბავშვის გვამი, რომელიც აღმოჩნდა ანანია არზევი. ბოროტმოქმედნი არსენ და ვასო ტიკურიშვილები შეპყრობილნი არიან.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** პირიგოვის ქუჩა № 3 ალექსანდრე კოზუმოვის ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები და რევოლვერი.

◆ **ტრამვაის ვაგონში** რუსთაველის გამზ. იოსებ პაპაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 17 მან. და ერთი ოქროს ბეჭედი.

◆ **ქურდობა.** 30 ნოემბ. სასამართლოს ქ. № 22 გაქურდეს სიმონ ელერტოვის ბინა.

— იმავე დღეს ზურაბოვის ქ. № 17 გაქურდეს ანა გაიდოევის ბინა.

— ამავე დღეს მედლის ქ. № 1 გაქურდეს აზაიაკ ოგანეზოვის ბინა. წაიღეს 90 მან. ნივთები.

◆ **კარების შემტვრევის** საშუალებით ნიკოლოზის ქ. № 26 გაქურდეს პეტრე [illegible] ბინა.

— ამავე დღეს [illegible] ქ. № 19 გაქურდეს ნიკოლოზ გამრეკელიძის ბინა.

რკინეულობის პოვნა

მარტყოფის რაიონში (თბილისის მაზრა) შარა გზაზე მოქ. ი. იტაშვილმა იპოვა 3 ფუთი და 20 გირ ნალის რკინა. პატრონს სთხოვენ გამოცხადდეს ს. ს. მ. ოთახი, № 12.

ხელოვნება

სანიტ-აგიტის თეატრი

ამიერ - კავკასიის რკინისგზის ჯანმრთელობის სამმართველოსთან დაარსდა სანიტარულ-საგიტაციო თეატრი.

თეატრის ქართულ დასში შედიან შემდეგი მსახიობები: ქალები—ანკარა, კოლხიდელი, კვალიაშვილი, ლოლუა არეთა და ჩარკვიანი; ვაჟები: ბალანჩივაძე ვასო, გვარამაძე ნიკო, გუდიაშვილი, ლოლუა ალექსი, ფრონისპირელი, ჭელიძე გრ. და ციციაშვილი.

რეჟისორთა კოლეგიაში შედიან: გვარამაძე ნიკო, ფრონისპირელი და ალექსი ლოლუა.

დასი წარმოდგენების გამართვას შეუდგება ამ დღეებში.

◆ **„ამერიკელი ძია".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება (პრემიერა) შიუკაშვილის კომედია „ამერიკელი ძია". დადგმა ახმეტელის, დეკორაციები შავიშვილის.

◆ **„თავადი იგორი".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „თავადი იგორი".

◆ **„ხატანა".** სომხეთის კინო-მრეწველობამ დაამთავრა ახალი კინო-კომედიის „ხატანა"-ს გადაღება.

◆ **კონცერტი.** 5 დეკემბერს კონსერვატორიაში გაიმართება მომღერალ ვრონსკის კონცერტი.

◆ **„ზოიას ბინა"** დღეს უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება მუშათა თეატრში.

◆ **„იბლავლე ჩინეთო".** 3 დეკემბერს ოპერის თეატრში მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „იბლავლე ჩინეთო".

◆ **მუშათა თეატრის ქართული დრამის სეზონი** გაიხსნება 15 დეკემბერს.

◆ **„ამერიკელი ძია" ბათომში.** 5 დეკემბერს გაიხსნება ბათომის ქართული დრამის სეზონი. წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძია".

◆ **პროლეტმწერალთა შორის.** კვირას, 5 დეკემბერს ხელოვანთა სასახლეში, საღამოს 8 საათზე გაიმართება საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საჯარო ლიტერატურული საღამო. შესავალ. სიტყვას იტყვის ბ. ბუაჩიძე ქართული პროლეტარული ლიტერატურის შესახებ მოხსენებას გააკეთებს დ. რონდელი. პოეზიის განყოფილებაში მონაწილეობენ: ი. ვაკელი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, ე. პოლუმორდვინოვი, კ. [illegible], შ. ნავთლუღელი, შინატეხილი და დ. რონდელი.

◆ **„დინა-ძაძუ".** ახალ-სენაკის მუშათა ცენტრალურ კლუბთან არსებულმა კინო-სექციამ სახკინმრეწველიდან სადემონსტრაციოთ მიიღო სურათი „დინა-ძაძუ", რომელიც პირველად მიდის ახალ-სენაკში.

სასამართლო

ცოლისა და ძმის მკვლელი

(ხ. მანთაშაშვილის საქმე).

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ მანგლისში ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ქუბანეიშვილის და მეგრიაშვილის. პროკურორ ჯანჯღავას და მდივან სებუას მონაწილეობით გაარჩია ხუმბათ მანთაშაშვილის საქმე.

მანთაშაშვილს ბრალდებოდა თავისი ცოლისა და ძმის მოკვლა ეჭვიანობის ნიადაგზე.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ მან მკვლელობა ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს.

ბრალდებულმა მანთაშაშვილმა დაწვრილებით უამბო სასამართლოს, როგორ ჩაიდინა მკვლელობა და რითი იყო ის გამოწვეული.

ბრალდებულმა ილაპარაკა 3 საათი. ჩვენებას აძლევდა სრულიად დამშვიდებით.

ბრალდებული აცხადებს, რომ მან ცოლი შეირთო 1925 წლის დასაწყისში. ამა წლის მაისამდე ცოლთან კარგ განწყობილებაში იყო, უყვარდა და დარწმუნებული იყო იმაში, რომ ცოლსაც უყვარდა. უკანასკნელ ხანებში შეამჩნია, რომ მისი ცოლი მარო კარგ განწყობილებაში იყო ძმასთან. მაგრამ არ იყო დარწმუნებული, რომ ცოლი მას ღალატობდა. ეჭვები გაუძლიერდა მას შემდეგ, როცა დედამ ურჩია მას ყურადღება მიექცია ცოლისათვის. ბრალდებულს ეჭვები თანდათან უძლიერდებოდა. ერთ დღეს კი ყველაფერში თავისი თვალით დარწმუნდა.

ბრალდებულმა გადასწყვიტა მოეკლა მისი ძმა სიდრაკ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

ამა წლის 2 მაისს, ბრალდებულმა ღამით ცოლთან ვიღაც კაცი შეამჩნია. გამოირკვა, რომ ეს კაცი მისი ძმა იყო. ამ ნიადაგზე ძმასთან ლაპარაკი მოუვიდა. ცოლმა მორთო ტირილი და სთქვა: „სიდრაკ დღე და ღამ მოსვენებას არ მაძლევს და ძალდატანებით იქონია ჩემთან სქესობრივი კავშირიო".

ძალზე აღელვებულმა მანთაშაშვილმა ძმას თერთმეტჯერ ჩასცა ხანჯალი. სიდრაკ, მძიმედ დაჭრილი, დაეცა იატაკზე. მიღებული ჭრილობებისაგან ის გარდაიცვალა.

ამავე დროს ბრალდებულმა იმავე ხანჯლით მოჰკლა თავისი ცოლი.

ცოლისა და ძმის მოკვლის შემდეგ ბრალდებული მიიმალა, მაგრამ სამი დღის შემდეგ დააპატიმრეს.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულმა მანთაშაშვილმა ცოლისა და ძმის მკვლელობა ჩაიდინა წინასწარი განზრახვით, ეჭვიანობის ნიადაგზე, რისთვისაც მიუსაჯა მას ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

„ჯანუი" ეკლესიაში

(მღვდელ სააკიანის და სხვათა საქმე).

დღეს, 2 დეკემბერს, სახალხო სასამართლოს მორიგი კამერა ამხ. **გაბუნიას** თავმჯდომარეობით გაარჩევს მღვდელ **სააკ სააკიანის** და მის „მეგობრების" საქმეს. პასუხისგებაში მიცემულია 6 კაცი.

გაუფრთხილებლობის მსხვერპლი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გაარჩია შოფერ ავგუსტ ზელენსკის საქმე.

ზელენსკის ბრალდებოდა ავტომობილით მოხუცი ქალის სამელინის გასრესა.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ზელენსკის არ მიუცია გამაფრთხილებელი ნიშანი. ასე, რომ უბედური შემთხვევის მიზეზი შოფერის დაუდევრობა ყოფილა.

სასამართლომ ბრალდებულ ზელენსკის მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ერთი წლით აუკრძალა შოფერობა.

ექიმ გოგნიაშვილის საქმე

(პროცესის მესამე დღე).

გუშინდელ სხდომაზე სასამართლომ დაჰკითხა მოწმე მეუნარგიას (ბავშვთა სახლის ექიმი).

მოწმე აცხადებს, რომ ის ეთანხმება ექიმ მამულიას იმაში, რომ მარტიროსოვის ბავშვის სიკვდილი არ იყო გამოწვეული ფიზიოლოგიური ხსნარის მიღებით.

მოწმე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ფიზიოლოგიური ხსნარი ბავშვს მცირე დოზით ჰქონდა მიღებული.

ბავშვის განკვეთა არ მოუხდენიათ, რადგან დარწმუნებული ყოფილან, რომ ბავშვის სიკვდილი გამოწვეული იყო მისი ორგანიზმის საერთო სისუსტით.

მოწმე ერისთავის ქალი (ბავშვთა სახლის თანამშრომელი) ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბავშვი ფიზიოლოგიური ხსნარის მიღებამდე ძლიერ დასუსტებული იყო.

მოწმე **მარტიროსოვი** (გარდაცვლილ ბავშვის მამა) აცხადებს, რომ მართალია—მას შეეკითხენ განკვეთონ თუ არა ბავშვის გვამი, მაგრამ მან ამის ნება არ მისცა.

მოწმე ალაშტუზელი (ბავშვთა სახლის თანამშრომელი) ადასტურებს მოწმე მეუნარგიას ჩვენებას.

შემდეგ დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები, რომელთა ჩვენებიდან ირკვევა, რომ მარტიროსოვის ბავშვი იმდენათ დასუსტებული იყო დიზინტერიით, რომ შესაძლებელია, ამის გამოც მომკვდარიყო.

მოწმეები ახასიათებენ ბრალდებულს, როგორც ენერგიულ და ბეჯით მუშაკს.

მოწმეების დაკითხვის შემდეგ ექსპერტებს მიეცა მთელი რიგი კითხვები.

მოკვლის ცდა გაძარცვის მიზნით

სასამართლო კვლევა - ძიებით გამოირკვა, რომ ბრალდებულ გობეჯიშვილის და ტრეტიაკოვის და სხვათა მიერ ბოროტმოქმედება ჩადენილია [illegible] განზრახვის მიზნიდან რადგანაც მათ ბრალი ედებოდა კლიუჩნიკოვას ქალის მხოლოდ მოკვლის განზრახვაში, ამიტომ სასამართლომ დაადგინა: საქმე გადაეგზავნოს გამომძიებელს ზემოთჩამოთვლილ ბრალდებულებისათვის სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის შესაფარდებლად, რომლითაც გათვალისწინებულია მოკვლის ცდა გაძარცვის მიზნით.

რკინის გზებზე

მატარებელი ა.-კ ცაკის სესიისათვის

ა.-კ. რკინის გზების სამმართველო აწყობს სპეციალურ მატარებელს ა.-კ. ცაკის სესიისათვის. მატარებელი შესდგება ხუთი რბილი რონოდისაგან და ივლის თბილის-განჯას შუა, სესიის მუშაობის დამთავრებამდე.

მატარებლის დამტვრევა

გუშინ 1 დეკემბერს, დილის 4 საათ. ზაზალი-განჯას შუა დაიმტვრა საბარგო მატარებელი, დატვირთული მშრალი ტვირთით. მთავარ კონდუქტორის განცხადებით, დამტვრევა მოხდა მატარებლის გაწყვეტის გამო. დაზიანებულია შვიდი რონოდა მატარებლის ბოლოში, აქედან ოთხი—გადავარდნილია ფერდობზე. დამტვრეული რონოდები დატვირთული იყვნენ ფართლეულით.

დილის 7 საათზე შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი და ორი ცარიელი რონოდა დამტვრეულ რონოდებიდან საქონლის გადასატვირთად.

მოძრაობა აღდგენილ იქნა დღის 12 საათზე.

შემთხვევა ლენინაკანში

29 ნოემბერს სადგ. ლენინაკანის ახლოს მიიყვანეს შეშით დატვირთული 16 ლია-რონოდა. რონოდები გზიდან დაქანდენ. ვაგონების ერთმანეთზე მიჯახების გამო ლიანდაგს ასცდა ერთი რონოდა და ერთიც გადაბრუნდა გვერდზე. ლია რონოდებს გარდა გვერდზე გადავარდა ერთი ცარიელი ცისტერნა.

ჩავარდნილი რონოდები ამოიღეს. სწარმოებს მიზეზების კვლევა-ძიება.

სადგ. იორში

29 ნოემბერს კახეთის მატ. № 8, სადგ. იორის სემაფორთან მისვლის დროს დაეტაკა ძროხას, რის გამო მატარებლის შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა რბილი რონოდა. რონოდა ადგილობრივი ძალებით ამოიღეს. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ფეხბურთი

ნაკრები გუნდის გამგზავრება

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც 30 ნოემბერს უნდა გამგზავრებულიყო ბაქოში ამიერ-კავკასიის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, გაემგზავრა გუშინ.

გუნდის შემადგენლობა ასეთია:

პაპკოვი, ლაზარევი, ბიბაევი, ფრუიძე, პოლოსოვი, ანიკინი, ქოიავა, იაკიმენი, თაჩულია, ჟორდანია და ქებაძე. სათადარიგო მოთამაშეები: ბალდოევი, ფოჩხუა, იმნაძე და ვაჩნაძე.

ფიზკულტურის საბჭოდან გუნდს წარმომადგენლებად წაჰყვნენ ფიზკულტურის თბილისის საბჭოს მდივანი—ამხ. კვინიხიძე და ამხ. სამუშია.

საქართველოს ნაკრებ გუნდს ბაქოში ექნება ორი შეჯიბრი: სომხეთის ნაკრებ გუნდთან და აზერბაიჯანის გუნდ „პროგრეს“-თან.

გუნდის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ კვირაში.

ქსოვილების ლატარია

ზალიკო ქიქოძის სახელობის შინამრეწველობის ქალთა საინსტრუქტორო სკოლის მიერ მოწყობილი ქსოვილების ლატარიის გათამაშების დროს მოგებები ხვდა შემდეგ ბილეთებს:

სერია 1-ლი

ბილეთების №№: 25, 35, 36, 41, 63, 60, 92, 40, 61, 85, 54, 79, 88, 64, 76, 52, 80, 92, 133, 839, 925, 552, 803, 414, 137, 911, 125, 384, 98, 785, 302, 759, 555, 725, 230, 1000, 337, 119, 443, 514, 963, 605, 601, 799, 165, 482, 268, 420, 667, 101, 596, 629, 128, 150, 120, 292, 533, 741, 904, 730, 938, 476, 405, 943.

სერია II.

ბილეთების №№: 746, 776, 928, 164, 460, 901, 409, 538, 729, 73, 803, 510, 377, 699, 705, 868, 790, 301, 52, 771, 854, 544, 742, 251, 6, 235, 670, 495, 728, 555, 819, 759, 506, 867, 956, 702, 592, 989, 750, 560, 418, 843, 555, 425, 33, 54, 60, 64, 68.

სერია III.

ბილეთების №№: 701, 909, 806, 197, 218, 348, 748, 811, 733, 1, 845, 238, 102, 132, 926, 158, 961, 880, 6, 980, 806, 150, 430, 973, 616, 995, 456, 740, 104, 814, 762, 108, 711, 499, 80, 879, 933, 171, 53, 830, 474, 690, 663, 320, 809, 696, 263.

სერია IV.

ბილეთების №№: 83, 596, 984, 780, 17, 510, 980, 383, 787, 197, 457, 27, 845, 173, 18, 614, 931, 112, 813, 707, 363, 989, 854, 932, 635, 676, 209, 388, 465, 899, 606, 844, 78, 875, 803, 104, 361, 258, 241, 145, 726, 414, 461.

სერია V.

ბილეთების №№: 183, 935, 645, 206, 114, 28, 805, 753, 271, 780, 330, 403, 246, 656, 539, 261, 45, 627, 410, 597, 774, 418, 253, 799, 880, 582, 827, 510, 302, 777, 971, 297, 396, 287, 920, 904, 58, 50, 530, 633, 239, 789, 608, 692, 463, 642, 647, 515, 16.

სერია VI.

ბილეთების №№: 950, 941, 419, 554, 489, 614, 204, 968, 866, 397, 516, 713, 103, 417, 879, 587, 861, 153, 490, 437, 162, 122, 832, 445, 56, 233, 625, 226, 195, 482, 54, 823, 332, 403, 150, 464, 145, 44, 222, 612.

სერია VII.

ბილეთების №№: 856, 177, 717, 95, 399, 276, 607, 528, 391, 150, 589, 973, 78, 407, 797, 749, 10, 967, 345, 557, 96, 215, 429, 565, 646, 729, 942, 500, 434, 851, 136, 435, 337, 637, 881, 462, 567, 246, 420, 684, 812, 207, 837, 682, 935.

სერია VIII.

ბილეთების №№: 266, 273, 438, 88, 387, 909, 643, 98, 804, 295, 364, 229, 570, 665, 285, 524, 996, 34, 513, 886, 155, 436, 2, 834, 356, 689, 951, 426, 496, 464, 993, 832, 447, 321, 940, 974, 326, 655, 948, 675.

სერია IX.

ბილეთების №№: 313, 731, 95, 968, 664, 780, 272, 267, 334, 625, 789, 532, 872, 749, 505, 190, 906, 22, 361, 384, 119, 683, 266, 26, 904, 791, 473, 262, 362, 665, 139, 342, 746, 852, 622, 604, 93, 896, 148, 237, 306, 343, 30, 584, 952, 992, 40, 290, 132, 538, 536, 574, 804, 805.

იურიდიული დახმარება

ქმარმა ცოლშვილი უსახსროდ და უპატრონოდ დაგვტოვა, როგორ მოვიქცეთ

კითხვა

7 წლის წინეთ გავყევი ქმარს, რომლისგან მყავს ორი ვაჟი. ქმარი იყო ღვინის მოყვარული და აგერ 3 წელიწადია, რაც მოგვშორდა. ჩვენ სრულიად უმიზეზოდ. იგი არის სოხუმში და მის რაიონებში და იქ განაგრძობს ლოთობას, ჩვენ კი არავითარ დახმარებას არ გვიწევს და ვცხოვრობთ დროებით ჩემ დედ-მამასთან, მაგრამ ეხლა დედ-მამაც არ მაყენებს, ქმრის დედ-მამა სრულიად არაფერში გვეხმარება.

გთხოვთ გვიპასუხოთ, როგორ მოვიქცეთ. მაქვს თუ არა უფლება მოვთხოვო სარჩო ჩემი და ჩემი შვილებისათვის როგორც ჩემს მშობლებს, ისე ქმრის მშობლებს. მასთან როგორ შემიძლიან ჩამოვიყვანო ქმარი, რომ საბოლოოდ ან დამიბრუნდეს, ან განმშორდეს და ან ბავშვები თვითონ ჩაიბაროს, ან სარჩო მომცეს?

№.

პასუხი

თქვენ უნდა მიმართოთ თქვენი ბინადრობის მიხედვით სახალხო სასამართლოს და მოსთხოვოთ თქვენ ქმარს შვილებისათვის სარჩო - საბადებელი, თანახმად დეკრეტი № 28-ის—მუხ. 117 და 118-ისა. გაქვთ უფლება მოითხოვოთ პირადათ თქვენთვისაც სარჩო - საბადებელი, როგორც უმწეოს, რომელსაც არა გაქვთ საზრდო მინიმუმი, თანახმად იმავე დეკრეტის მუხ. 96-ისა. ქმარს ვერ მოსთხოვთ, რომ მან ოსათუოდ იცხოვროს თქვენთან. (იხ. იქვე მუხ. 93)—შეგიძლიათ სასამართლოს წესით მოითხოვოთ განქორწინება. (იხ. იქვე მუხ. 87). არც ქმრის და არც თქვენ მშობლებს ვეღარ მოსთხოვთ თქვენი და თქვენი შვილების საზრდოს.

აქვს თუ არა სახლის პატრონს უფლება გამომასახლოს ბინიდან

კითხვა

ვცხოვრობ ფოთის ქ., სახ. № 11-ში მე და ჩემი ამხანაგი, რკინისგზის მეისრე. ორივენი ერთ კავშირის წევრები. პირველად იმ ოთახში ცხოვრობდა ბიძა ჩემი (ისიც მოსამსახურეა) და მეც მასთან გადავედი ერთი წლის წინედ და იმის შემდეგ ვცხოვრობდით ერთად, შემდეგ ბიძამ შეირთო ცოლი და გადავიდა სხვაგან ცოლთან. ახლა კი ამჟამად ვცხოვრობთ ოთახში მე და ჩემი ამხანაგი, რომელიც ჩემთან გადმოვიდა უბინაობისა გამო.

ახლა სახლის პატრონი ურჩევს ბიძა ჩემს, იმისათვის, რომ მან მე გადმომცა თითქოს თავისი ოთახი და თვითონ წავიდა. ამას გარდა, სახლის პატრონმა წამართვა იმ ოთახთან არსებული „სარაიას“ ხაბაკიბი გამომიყარა გარეთ და პირადად მეც მემუქრება, გარეთ გაგდებით.

გთხოვთ გვიპასუხოთ, აქვს თუ არა უფლება მას გამაგდოს მე და ჩემი ამხანაგი გარეთ უბინაოდ. არის თუ არა ჩემი იქიდან გადასაგდებად საბუთი ის, რომ ბიძა ჩემი ცოლის ოთახში გადავიდა. მე კი ჩემ ამხანაგთან ერთად დავრჩი იქვე. და მასთან.სახ. პატრონს ქონდა თუ არა უფლება „სარაიას“ წართმევის. მე ვარ ამჟამად უმუშევარი, კავშირის წევრი და ვსწავლობ მუშფაკში.

ტ. ოდიშარია.

პასუხი

თუ თქვენ ბინის ქირას დროზე იხდით, სახლის და მის მოწყობილობას არავითარ ზიანს არ აყენებთ და სხვა მდგმურების მყუდროებას არ არღვევთ, თქვენ სახლის პატრონი ვერ გამოგასახლებთ.

პარტ-კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აღმრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება პარტბილეთების მისაღებად იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

1) ჩალაიანი არუსიაკი, 2) ფრიდონაშვილი იოსები, 3) ტონშიანი გეორგი და 4) ლორთქიფანიძე ხულუო.

საკანდიდატო ბარათების მისაღებად: 1) გელიანიძე ან-ს, 2) პოლოსიან არტაშესს, 3) ოსიპოვ ვართანს, 4) სარვაზიან აგორონს, 5) ტოგონიძე ანტონს და 6) ხორკოვ ალექსანდრეს —სამი დღის განმავლობაში.

ქალაქის რაიკომი.

— საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ პარასკევს 3 დეკემბერს, დილით 10 საათზე შესდგება **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

— საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს 4 დეკემბერს, საღამოს 4 საათზე შესდგება ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის **საკონფლიქტო კომისიის სხდომა.**

— საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს 2 დეკემბერს, დღის 2 საათზე შესდგება თბილისის კომიტეტის **მიმღები კომისიის სხდომა.**

სავალდებულოა დასწრება კომკავშირის იმ კანდიდატების, რომელთა ანკეტები თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიამ უნდა გაარჩიოს.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ **საგიტაციო - საპროპაგანდო კოლეგიის მორიგი სხდომა** შესდგება ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს 3 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება **მიმღები კომისიის სხდომა.**

— ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ 2 დეკემბერს საღამოს 5 საათზე ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას აგიტ-პროპ განყოფილებაში.

აბაშისპირელი მიშა, ბობოხიძე კ., ბუხნიკაშვილი, ბუაჩიძე ბ., გოგიაშვილი მ., გუგუნავა გ. დევიძე. დობროვილსკი, კალაძე კ., კარსანიძე, ლორთქიფანიძე კ., ლივიტი, ლუარსაბიძე, მინადორაშვილი, მეგერი, მაშაშვილი, მახარაძე ე., მდივანი, ნესტორიშვილი, ნაროუშვილი, პლაშვილი, პოლუმარდვინოვი, რონდელი, რადიანი, სულავა ა., სტორი, ფილდისშვილი კ., ქარიშხალიშვილი შ., ქიქოძე ე., ხოშტარია ი., ჩაჩიბაია ვ., შანიძე ა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის გაერთიანებული ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე მოწვეულია ცალკე უჯრედების ბიუროების გაერთიანებული კრება აქტივთან ერთად.

ბიუროების წევრები და კანდიდატები დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდნენ.

დღის წესრიგში დასმულია ფრიად საინტერესო საკითხები.

ღრმად დამწუხრებული თედო ღლონტი აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მისი მეირფასი და დაუვიწყარ მეუღლის

ვერა მიხეილის ასულის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე, თავის ბინაზე, პეტრიაშვილის ქუჩა, (ყოფ. საუფლისწულო № 8). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 291

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მიხეილ იოსების-ძე და ალექსანდრა ნიკოლოზის ასული საღარაძენი, ქმარი თედო ღლონტი, დები ეკატერინე მიხეილის ასული სლუსარსკისა, თამარა და ალექსანდრა მიხეილის ასულნი საღარაძეები, სიძე ლივუდვიკ სტანისლავის-ძე სლუსარსკი და დისშვილი კოლია, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ტრაგიკულად დაღუპული მათი ძვირფასი და დაუვიწყარის შვილის, ცოლის, დის, ცოლისდის და დეიდის

ვერა მიხეილის ასული ღლონტის

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ყოველდღე, თავის ბინაზე პეტრიაშვილის ქ. (ყოფილი საუფლისწულო) № 8 საღამოს, 5 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ნ. 292

გულშემატკივარი ამხანაგები ნ. ჩირგაძე, ვ. ხმელიძე, შ. თორთლაძე, ა. კვიცარიძე, გ. ნარეშელაშვილი, ა. კაკუშაძე, ი. ძოძუაშვილი, ე. ლელაძე და კ. ძიგავა, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ დაუვიწყარი და საყვარელი ამხანაგის - სტუდენტის

ვალიკო თადეოზის ძე ჯიქიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

ქვ. 770

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა მინადორა, ძმები: იპოლიტე, ვიქტორი და ქრისტეფორე და რძლები: მარიამი და ელენე ქუთათელაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს, რომ 30 ნოემბერს ტრაგიკულათ გარდაიცვალა უძვირფასესი და დაუვიწყარი პირველის შვილი, მეორენის და, და მესამენის მული

ბარბალე გრიგოლის ასული (ბაბო) ქუთათელაძე

პანაშვიდი ხუთშაბათს ა. წ. 2 დეკემბერს საღამოს 7 საათზე აკ. წერეთლის (ყოფ. განოვის) ქ. № 3 | 5. დაკრძალვა ა. წ. 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე ვერის სასაფლაოზე.

(ღ.)

ღრმად დამწუხრებულნი კლემენტი დავითის-ძე, ანდრია და გიორგი კლემენტის-ძენი, ალექსანდრა ილიას ასული და ნინო გრიგოლის ასული ლორთქიფანიძენი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 29 ნოემბერს, გარდაიცვალა პირველის მეუღლე და მეორეთა დედა, დაუვიწყარი

პელაგია გრიგოლის ასული ლორთქიფანიძისა

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, სლეპცოვის ქ. (ვაშლოვანის) № 5, დაკრძალვა ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.

733 3-3

ულრმესად დამწუხრებული და საუდამოთ გულ მოკლულნი მშობლები: დარისპან და მაკრინე თევზაძენი, ძმები: რაჟდენ, არტემ და ნიკიფორე, რძლები: ჟენია და ნინა, დები: თეკლე და პისტი, სიძეები: მელიტონ ჩხიკვაძე და კაპიტონ სარიშვილი, ძმისშვილები: კიტა და შოთა, დის შვილები გრიშა და ბენია, დიდი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ თბილისში 1 დეკემბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარ, მუდამ მხიარული ახალგაზრდა სტუდენტი

ნოე დარისპანის ძე თევზაძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოქვეყნებული

ქვ. 769

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტზე“ დეკემბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—„ეპოს“ წიგნის მაღაზია.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკი**—განყ. გამგე **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. **ბათომი**—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. **ზესტაფონი, ჩხარი, ხვირი, აჯამეთი.** ათ. ცხომელიძე.
11. **დიდი ჯიხაიში**—წიგნის მაღაზიაში **გიორგი ბიბილეიშვილთან.**
12. **ოზურგეთი**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. **თელავი**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. **სიღნაღი**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
15. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—**კილასონიასთან.**
16. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **შიშნიაშვილი ესტატე**
18. **ოჩემჩირი**—ვ. ხოსელიას განყოფ. გამგეს
19. **სად. ბორჯომი**—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
20. **ბორჯომ-ბალი**—იაშა ტერტეროვთან
21. **ცხინვალი**—ვასილი ფავლენიშვილთან.

0—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 2 დეკემბერს, მეორეხელ

თავადი იგორი

მონაწილეობენ: ბოგოლეპოვა, სკიბიცკაია, ქარცივაძე, მესნიაევი, შარაშიძე და სხვები.

დირიჟორი: სახალხო არტისტი ფალიაშვილი

პარასკევს, 3 დეკემბერს პირველად ა. ეიხენვალდის ახალი დადგმით

მაზეპა

ნ. 295

აპოლო არფასტო სოლეი დარბაზი (ყოფ. გლობუსი)

შესანიშნავი სურათი. გრანდიოზული დადგმა

„ვენეციის ლომები“

მხატვრული დრამა 8 ნაწილად.

სეზონის ახალი სურათი. პირველად თბილისში

„შეკვეცილი ფრთები“

ლიუსი დორენის მონაწილეობით.

უკანასკნელად თბილისში

„ქალი გზა ჯვარედინზე“

2 სერია 12 ნაწილი ერთად. ვ. მარგერიტის ცნობილი რომანის „მონიკა ლერბიეს“ მიხედვით.

ა. დიუმას ცნობილი რომანი

გრაფი მონტე-კრისტო

მე-3-ე და მე-4-ე სერია ერთად

ნ. 157 0—20

შალვა გომართელი

„წარსულის ზვეულებში“

(რევ. მოთხრობა)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ნ. 295

ფასი 50 კაპ.

მოწაფეთ საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.

ნ. 297

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20

25—21

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.)

25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე

კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებებით).

დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს

ექიმი **ზ. ა. ტარუმოვი**

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა სნეულების** ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59,

---

შრომის სკოლის სახელმძღვანელოების გამოცემის შესახებ

განათლების სახალხო კომისარიატი და სახელმწიფო გამომცემლობა

სახელმძღვანელო წიგნების შემდგენელ-ავტორთა საყურადღებოდ აცხადებენ, რომ მომავალი 1927 | 28 სასწავლო წლისათვის შრომის სკოლის ყველა საფეხურისა და ჯგუფებისათვის სახელმძღვანელო წიგნები და მეთოდიური ლიტერატურა შემდეგი რიგით გამოიცემა:

1. სკოლებში სახელმძღვანელოდ დაშვებულ წიგნების ავტორები თავიანთ ნაშრომს ხელახლა წარმოადგენენ განსახილველად (შესწორებულს თუ შეუსწორებელს).

2. როგორც ძველი წიგნები, ისე ახალი ხელნაწერები წარმოდგენილ უნდა იქნეს სამეცნიერო პედაგოგიური სექციის საგანგებო მეთოდიურ ორგანოში განსახილველად არა უგვიანეს 1927 წ. 1 მარტისა. ამის შემდეგ წიგნები განს ახილველად არ მიიღება.

3. ავტორები, რომლებიც დაიწყებენ მუშაობას ახალი სახელმძღვანელოების შესადგენად ან ძველის შესასწორებლად, ამის შესახებ წინდაწინვე გაუცხადებენ გან. სახ. კომისარიატს ზოგადი დირექტივების მიღების მიზნით.

4. წიგნების განხილვას აწარმოებს სამეცნიერო-პედაგოგიური სექციისაგან გამოყოფილი მეთოდიური ბიურო, სპეციალისტების მონაწილეობით. (რეცენზენტების გარდა, 2 – 3 სპეციალისტი მიიღებს მონაწილეობას თვითეული ნაშრომის შეფასებაში).

5. წიგნის მიღების საკითხს საბოლოოდ პედაგოგიური სექციის ბიურო სწყვეტს; დაბეჭდვა სოციალური აღზრდის მთავარმმართველობის გამგის განკარგულებით სწარმოებს.

6. მომავალ 1927 | 28 სასწავლო წლისათვის შემდეგი წიგნები გამოიცემა:

I. ჯგუფ. 1. საანბანო და პირველი სამუშაო წიგნი.

II. ჯგუფ. 1. სამუშაო წიგნი.

III. „ 1. სამუშაო წიგნი.
2. სამუშაო წიგნი მათემატიკაში.
3. რუსული ენის სახელმძღვანელო (3, 4 ჯგუფ.)

IV. ჯგუფ. 1. სამუშაო წიგნი ქართული ენისა და საზოგადოებათმეცნიერ.
2. სამუშაო წიგნი ბუნების-მეტყველებისა და გეოგრაფ.
3. „ „ მათემატიკაში.

V. ჯგუფ. 1. ქართული ენის სახელმძღვანელო.
2. მათემატიკის სამუშაო წიგნი.
3. ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო.
4. გეოგრაფიის „
5. საზოგადოებათმეცნიერების „
6. რუსული ენის „ (5—6 ჯგ.)

VI. ჯგუფ. 1. ქართული ენის სახელმძღვანელო.
2. მათემატიკის სამუშაო წიგნი.
3. გეოგრაფიის სახელმძღვანელო.
4. ბუნებისმეტყველების „
5. საზოგადოებათმეცნიერების „
6. ფიზიკის „

VII. ჯგუფ. 1. ქართული ენის სახელმძღვანელო.
2. რუსული ენის „
3. მათემატიკის სამუშაო წიგნი
4. ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო
5. გეოგრაფიის „
6. ფიზიკის „
7. საზოგადოებათმეცნიერების „

VIII. ჯგუფ. 1. ლიტერატურის სახელმძღვანელო (ქრესტომატია).
2. რუსული ენის „ (8 – 9 ჯგ.)
3. ფიზიკის „ (8 – 9 ჯგ.)
4. ქიმიის „ (8 – 9 ჯგ.)
5. მატერიალ. ფსიქოლოგ. „ (8—9 ჯგ.)
6. გეომეტრია (8 - 9 ჯგ.)
7. ალგებრა-ტრიგონომეტრია (8 – 9 ჯგ.)
8. საზოგადოებათმეცნიერ. სახელმძღვანელო.
9. ფიზიკური გეოგრაფია.

IX. ჯგუფ. 1. ლიტერატურის სახელმძღვანელო (ქრესტომატია).
2. საზოგადოებათმეცნიერების სახელმძღვანელო.
3. ბიოლოგიის „
4. ს.ს.ს.რ. და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის ეკონომიური გეოგრაფიის სახელმძღვ.

ქართული ენის სახელმძღვანელოები არაქართული სკოლებისათვის:

1. მე-3 მე-4 ჯგუფებისათვის.
2. მე-5, 6 „
3. მე-7 „
4. მე-8 და 9 „

სახელმძღვანელო და მათემატიკური ლიტერატურა მასწავლებელთათვის პროფესიონალურ განხრიან ცხრაწლედებისთვის:

1. მშობლიური ენის მეთოდიკა 1 საფ. შრომის სკოლაში.
2. მათემატიკის „ „ „ „
3. საზოგადოებათმეცნიერება.
4. ბუნებისმეტყველების (პრაქტიკული მუშაობანი).
5. ქართული ენის შესწავლა შრომის სკოლაში (დაკვირვება, ენის კანონები, მართლწერა და სხვა).
6. ბუნებისმეტყველების პრაქტიკ. შრ. სკ. მე-2 საფეხური.
7. შრომის სკოლის პედაგოგიკა.
8. კოოპერაცია (თეორია და პრაქტიკა).

შენიშვნა: ჯგუფებისთვის საგანში შეიძლება ორი სხვადასხვა სახელწოდების წიგნის გამოცემა.

7. განსახილველ წიგნებისა და ავტორთაგან ყოველგვარი განცხადების მიღება სწარმოებს გან. სახ. კომისარიატის კოლეგიის მდივანთან ამხ. დომინიკა მეძმარიაშვილთან.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.
სოციალური აღზრდის მთავარი მართველობის გამგე მარიამ ორახელაშვილი.
სახელმწიფო გამომცემლობის გამგე ბ. ბიბინეიშვილი.
საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე.

ნ. 277 3—2.

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

25—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

25—16 25—5

ქუთაისში

ექ. ა. მ. ასათიანმა

ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა

25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63.

25—1-

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

კარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან

25—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში

პლეხანოვის პროსპექტი № 1(6), საღამოობით 4—6 საათამდის **ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ.**

12—5

ექიმი-ქალი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7.

ტელეფ. 14—56

13—

ექიმი **არჩილ სავანელი**

განაახლა ავადმყოფების მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს.

125

ექიმი

მ. ს. არჯევანიძე

გადავიდა

ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

მედიცინის დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

25—1

ყველასათვის ხელმისაწვდომი სამშობიარო თავშესაფარი

ს. ივ. არარატოვისა

რესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. საიშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე.

25—

ექიმი

მებრაბიანცი

ფილტვების, ბლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23,

25—1

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

1925 წ. აპრილში სახლიდან გაიპარა **კარპო (იგივე საშიკო) ზაქარიასძე კეკენაძე,** 16 წლის, ნიშნები: თვალები, ფართო წარბები გაერთიანებული, მნახველს ვთხოვ გვაცნობოს ქ. ჭიათურაში ვასილ კეკენაძეს

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1149 ციცინო ვლადიმერის ასული დოლიძის სახელზე, ჩ. გ.

759

დავკარგე სამთომადნო პროფკავშირის წიგნაკი № 192 და ტ.ს.უ. პოლიტექნიკური ფაკულტეტის მოწმობა № 71 გრიგოლ კიკვაძის სახელზე, ჩ. გ.

762

დავკარგე სატრაქტორო კურსების მსმენელის მოწმობა № 188 ხარიტონი კოკელაძეს სახელზე, ჩ. გ.

758

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1114 გიორგი ჯინჯარიშვილის სახელზე, ჩ. გ.

757

დავკარგე აღრიცხვის ფურცელი ცაცუ ქურციკიძის სახელზე, ჩ. გ.

764

დავკარგე პირადობის მოწმობა № 8 მოცემული ქუთაისის მაზრის სეპაიშოს თემაღმასკომის მიერ კალისტრატე არსენას-ძე ადეიშვილის სახელზე, ჩ. გ.

763

დავკარგე ღვინის გად. მოწ. რვ. № 13789—1925 წ. ბეგა ოგანეზოვის სახელზე, ჩ. გ.

754

დავკარგე ღვინის გად. მოწ. რვ. № 7110 იაგორ იაგორაშვილის სახელზე, ჩ. გ.

755

დავკარგე ღვინის გადასატანი მოწ. რვ. № 19420 25 წ. ზაქარია ქინქაძის სახელზე, ჩ. გ.

756

დავკარგე პირადობის და ოჯახური შემადგენლობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 579 დავით იოსების-ძე გვარამაძეს სახელზე, ჩ. გ.

765

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, მოცემული სამხედრო კომისარიატიდან შალვა პეტრეს-ძე ელისაშვილის სახელზე, ჩ. გ.

763

დაიკარგა პასპორტი პუსიკ ოსიპის ასულის ჯანინიანის სახელზე, № 115 ჩ. გ.

761

დავკარგე პირადობის მოწმობა დოვენტი როსტომის-ძე ფაილოძის სახელზე, ჩ. გ.

766

დავკარგე საპენსიო წიგნაკი, გაცემული მარიამ ნაზარეტიანის სახელზე № 3371, ჩ. გ.

76

დავკარგე წითელ არმ. გრძელვადიანი შვებულების წიგნაკი მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის სარტილერიო ლეგიონიდან მიღებული რაჟდენ ჩიხეილის-ძე ბახტაძის სახელზე, ჩ. გ.

768